

გიორგი ჭყონია

# დახშული სივრცე

*ვუძღვნი ჩემი ძმის, ამირან ჭყონიას  
ნათელ ხსოვნას*

თბილისი  
2010

რედაქტორები: **მისეილ ქურდიანი**– ფილოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი, გელათის აკადემიის ნამდვილი წევრი  
**ნატო თხილაგა**– ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მწე-  
რალი, მთარგმნელი

დიზაინი: ილია ნახუცრიშვილი – მხატვარი, პროფესორი

სპეცრედაქტორი: მერი შენგელია – მთარგმნელი

ტექნიკური რედაქტორი: **ოთარ ჭულუხაძე**,

**კორექტორი: მერი ჭულუხაძე**

## რეგული I

### ენკენია

„ვითარცა იხილეს საკვირველი იგი  
ნათლითა ბრწყინვალე სვეტი ჩამოვიდოდა  
ადგილად თვისად, რეცა ვითარცა ზეცით  
და დადგა ხარისხსა მას ზედა და დაემყარა  
ხელით შუახეზლად კაცთაგან.“

*ლეონტი მროველი  
ცხოვრება მეფეთა  
ამბავი ქართლისა*

**ნათლისღება (საგალობელი)**

ეკლინება იორდანეს  
 ნათლისღება იოვანეს...  
 ღვთიკურთხეულ წყლის სავანეს  
 სულიწმიდა დაივანებს...

და წმინდანი განცვიფრდება,  
 მოფრინდება როს ლურჯფრთება.  
 ნეტავ რისთვის იკურთხება  
 უცოდველის ნათლისღება?..

თვით უფალი არშემცოდე  
 მას ამის ქმნას მოუწოდებს.  
 იოვანე გაიოცებს,  
 ზედავლენს თრთოლვით ლოცვებს.

და ხელს მიჰყოფს მორჩილებით  
 აღსრულებას უფლის ნების.  
 მამის ხმა როს გაისმება  
 კრძალვით, შიშით აღივსება.

ნათლის გამოცხადებაა,  
 სამების გაცხადებაა,  
 უცოდველ-უზადობაა,  
 წმინდა დღისთვის მზადებაა.

ანგელოსთა გალობაა,  
 ძის ნათლობის წყალობაა,  
 წყალ-კურთხევის ზეობაა,  
 სულიწმიდის მზეობაა.

ანგელოზთა გალობაა,  
 ძის ნათლობის წყალობაა,  
 ვაჟობაა, ქალობაა,  
 მონათლულთა მრავლობაა.

ნათლისღებავ უფლისაო,  
 მყავ საყდარად სულისაო.  
 სხივო მზის ერთ-სამისაო,  
 მიმეც წყალს სიამისაო.

ნათელი მეც იოვანე,  
 სიტყვა საქმით ათაყვანე,  
 სულს ჭრილობა განუბანე,  
 სასუფეველს გამიყვანე.  
 წმინდა თავი იოვანეს  
 სალომეას მიუტანეს.  
 შეინანე, შეინანე.  
 იორდანეს განიბანე.

19.01.2008 წ.

### გამოცხადება (ზღვის ქალწული)

ზღვას დაენთება შუქის ჩუქურთმა  
 მზიურ ზედაშეს ფერ-სიანკარედ.  
 ქალწულ ასულის ტალღოვანი თმა  
 დაეფინება კარიბჭის მთვარეს.

სხივებს მოიწნავს ლაჟვარდი ფაფრად  
 და მიძინების შთავა ნაღველი.  
 დაისი გაშლის მეწამულ აფრას,  
 ქორაკანდელში\* ლაღის ნაღვენთი.  
 შემოცურდება რხევით ათონთან  
 მონანიეთა უკარებ ხატად  
 თვალი, ივირონს ცრემლს რომ ათოვდა,  
 თორნიკს\* რომ ერგა გულში ამანტად\*.

01.05.2008 წ.

### არ განიყოფის

ქვა-სამარხები საუნჯე-ლართ  
 შემოგზნებია მცხეთას და ათბობს.  
 ვაზს შეიმოსავს იჩქითად\* ჯვარი  
 და ეახლება კერპთა სატახტოს.  
 სადაც ზადენი\* აბოდებს ბომონს  
 და ოქროს ხარშავს არმაზი მზეში,  
 იქ ტყვე ქალწული შემუსრავს დემონს,  
 რომ გაისტუმროს ჟამთ სამარეში.  
 ახლაც მაისი ბადახშობს ვარდით,  
 სად სვეტიცხოვლის ღაღადებს ზარი:  
 „არ განიყოფის აროდეს კვართი,  
 სიდონიას მკერდს სასოდ შემდნარი.“

24.05.2009 წ.

### წარღვნის მოტივით

ჭაობად იქცა თითქოს ქალაქი,  
 ისე გაწყალდა მყის უმოწყალოდ.  
 გულს მოსდებოდა ღია-ტალახი,  
 საწუხარს ცრიდა ცა საგაღალოდ.  
 ღრუბლებო, ზეცა რომ გადაფარეთ,  
 თითქოს მზე მოკვდა და დასამარდა,  
 ქვეყნიერებას ცრემლი აკმარეთ,  
 სამგლოვიარო ახადეთ ფარდა.  
 მერესში\* ხსოვნას რა ედარდება  
 უსაშველობის, თქვენ ეს არ იცით  
 და უმწეობას რა ემართება,  
 როდესაც ცა სჯის სავანეს მიწის.  
 ვის რა სურდა და ვინ რაზე წუხდა, –  
 გული იმ წვიმის ცრემლით სველდება,  
 დაუნდობლად რომ წვიმდა და ქუხდა,  
 როგორც განწმენდა და მოსვენება.  
 და სასოებით აღთქმულ ირისეს\*,  
 ამოიზრდება სულში ვედრება  
 მათი, უხილავ, მკვდარ ნაპირისკენ  
 ვინც გადარიყა წარღვნამ ცხედრებად.

26.10.2008 ♪

## სამაროვანთან

და მდუმარება სამაროვანთან\*  
 სუფევდა შემდგომ ჭექა-ქუხილის.  
 გზა-კვალს მისდევდა ჭაბუკ მხცოვანთა  
 ტაძრის ძირძველი, წმინდა წუხილი.  
 ქარი ასკდება კლდოვან აკლდამას  
 და უდაბნოთა მოაქვს ძახილი –  
 „სოფლისთვის ეცვა ჯვარს და ეწამა,  
 იყავ მორჩილი, იყავ მოსილი.“  
 ტბას ფარავნისას თვალნი ესარკნენ  
 თაბორის ნათლით გამოცისკრული.  
 ზეციურ პურის უყრიდა საკენკს  
 და ემხოზოდნენ კერპები კრული.  
 მას სული ჰქონდა სარდა-საროსი\*  
 და მკერდს უგლეჯდნენ ამბარჩა\*-გაზით.  
 ის განიბანა სისხლით წყაროსი  
 ძელს მოხვეული მეწამულ ვაზის.  
 ვლიან წამები, რბიან წამები  
 უხსოვარ ჟამის სამაროვანთან.  
 შენ ეწამები, ო, ეწამები,  
 თვალს დაგინამავს დეღე გლოვათა.  
 დუმიდა სავანე ფერ-გარუჯული  
 სანთლის კროთმაში ბნელ სოხასტერის\*,  
 უტყვი გოდება ცხოველი რჯულის –  
 ამ მზის წინაშე უდაბნოს მტვერის.  
 მატლი დასცვივა ანდამატებად,  
 ზე-ძალა სვეტად გააუკვდაგებს.



ყოველ სიყვარულს აღემატება,  
 როგორც უყვარდათ მოციქულთ თავებს.  
 რას მწუხარებენ კვიპაროზები  
 სევდის ჩრდილებით სამაროვანთან?  
 მრავალი ახსოვთ ავ ტაროსების  
 შავ ღღედ დატყდომა თავს გულ-მგლოვართა.  
 ო, ნათლიერო წმინდა აღესებავ,  
 მეტყველ-მდუმარე ღმერთო საბაოთ,  
 კვლავ შენს ძველ ხატად და ძველ მსგავსებად  
 გერთვის ადამი დაუსაბამოს.  
 ზართა ღაღადი არყევს გუმბათებს  
 ანგელოზური საყვირის მძლავრ ხმად  
 და უნეტარეს სიხარულს ბადებს  
 მზის ბრწყინვალეობა ბნელეთის გაღმა.

17.07.2008 წ.

### თუ გახსენდება?!

სამეუფოა ზეშთა იდეა  
 და ყოველივე შეიქმნა წამით.  
 რა სიწმინდეა, რა სიმშვიდეა,  
 ქაოსის შემდგომდროინდელ უამის.  
 სულ იყო ბაღი, საუნჯეთ მოთხე\*,  
 მზეოსნობა და სხვა იდილია,  
 როცა დამწუხრდა იგი სამოთხე  
 და ნეტარება ცით დაილია.  
 რა იყო იქ ის, არავინ იცის,  
 არდაბრუნებას რაც წუხს ოდითგან.

თუ გახსენდება ფერი იმ მზის ცის,  
პირველ პაემნის ხე სადაც იდგა?..

11.01.2009 წ.

### ქართული საგალობელი

გამჭვირვალე მზის ფერია  
ხმა გალობის ჟღერების.  
ანგელოზთ შესაფერია  
ლოცვა ყელმოღერებით.

სამ ხმას ერთად და ერთს სამად  
სულთქმას ჰანგში მოქარგავს,  
რომ გასცილდეს არსთა სამანს  
ის, რაც მიწიერს არ გავს.

ციურ მიმოსვრაში ბგერის  
სხივ-დიადემა კრთება,  
სული ალყა-ანაბგერი\*  
ლოცვად რომ აინთება.

ნათლისფრად იხუჭურთმება  
ტარიგივით მორჩილი,  
ქალწულის წიად ირთვება  
უმანკოებით ჩვილის.

სერაფიმებად კრთებიან  
სახმო ძალთ შუქ-ჩრდილები,

წმინდანივით მწუხრდებიან  
ვაზის ჯვარს შეზრდილები.

სანთლის ალივით კამკამებს  
სასოება სამ ხმათა,  
სასუფევლის როს ხსნის კარებს  
საცხოვნებლად მამათა.

მონოზენად იმოსებიან,  
მესვეტეს წმინდა ხატად,  
სიყვარულით ივსებიან,  
რწმენას რომ აღემატა.

სიმშვიდე ასაამურებს  
ვნება-დამცხრალ გულების,  
სად ქერუბიმს ამსახურებს  
მზე ფროთოსან ერთგულებით.

ერთი ისე გასამდება,  
რომ არ განცალკევდება  
და სამი ისე ერთდება,  
რომ კვლავ რჩება სამებად.

სამ ცრემლად მიმოიღვრება  
სამი ხმა სინანულის,  
ჯვარს ეცმევა უსაზღვრობა  
ჰიმნის მესიანურის.

ო, ვინ შექმნა ეს სიწმინდე  
ძნობის\* ძლისპირთ\* წიაღში,  
დაჰანგული კიდით კიდე  
ჰარმონია ღვთის ბაღში?..

გქონდეს სული საგალობლის,  
 სამებით ერთმუდერადი,  
 შთაბერილი სიტყვით მშობლის  
 ღოცვა, ღოცვა მღერადი.

11.07.2008 წ.

### მაისის მისტერია

წაიღე ზეცის მშვენება  
 და უანგარო მზის გული.  
 ოცნებას აედევნება  
 ხე ასფოდელოსს\* დარგული.  
 უმანკოებით შემოსავს  
 თაჯი\* რხეულ ტანს ალუბლის,  
 როგორც მარტვილს და ღვთისმოსავს,  
 ნათლად რომ ადგას ძე უფლის.  
 სხვა რა გაგონებს წმინდა მსხვერპლს,  
 თუ არ მაისის ტაროსი\*.  
 ქარი გაჰფანტავს ვარდთა ფერფლს  
 მრისხანებით ტარტაროზის.  
 საზორავს\* შორი ედემის  
 სინანული აქვთ საკლავებს.  
 სულ-შეჭირვებულთ ზღვა ცრემლი  
 ღოცვებად უწვიმთ საფლავებს.  
 მოილოცავენ ტაძრებში  
 მიცვალებულთა ხსენებას.  
 წუხს იუდეის მხარეში  
 გეთსამანიის ჩვენება.

რომ ვნების კვირას სისხლიანს  
ვარდებად აჩნდეს წყლულები,  
იესოს ხმობდნენ სამხმიან  
ვალობით მტილს\* ბუღბუღები.  
რომ ფიქოსანი\* აღვები  
ველებს მკერდს ლემხით\* ურწყავდნენ,  
ნატისუსალნი გვალვებით  
მტრით გამომშრალ სუელს ითქვამდნენ.  
რომ იღვრებოდეს სურნელი  
ლივანოტ\* იასამანის,  
ვით სისხლი საკურნებელი  
სუელთა ტაძარის და ვანის\*.  
რომ მარტოობის იგი ხმა  
სულამოთქმული მამისთვის,  
ხშირად გვასმინოს მაისმა,  
მეორედ მოსვლის ჟამისთვის.  
რომ ჯავარ-სრული\* ზე-ცეცხლი  
გულის კერეონს\* შეუგზნო,  
ავაზაკურმა გულ-სისხლის  
სინანულმა შენს ხსნას უგზოს.  
შენც მოილოცავ იმ საფლავს,  
სადაც ესვენა იესო.  
გაზაფხულს ჯვარცმა თუ ახლავს,  
სიყვარულითვის მიეზღო.

11.04.2008 წ.

## აპოკალიფსი

## I

სამოსს იცილებს, ყრის გამეტებით  
 და ტანს იშიშვლებს ქალი მეძავი.  
 მოვლენ მაგიის შავი მეტრები,  
 აენტებიან ბნელეთს მზესავით.  
 რომ ყოველ სულდგმულს ჩაჰყვეს სიზმრებში  
 სიკვდილის წინა აგონიები.  
 ცოცხლად დამარხეს დღეს სამარეში  
 ქალი პერანგში მაგნოლიების.  
 მერე მოვიდა ვიღაც უცნობი  
 და ჯადეგური\* აღმართა ჯოხი.  
 მეძავი ქალის მიერ ნაშობი  
 სდუმდა და საფლავს ამოსკდა ჩონჩხი.  
 მოგვები გაჰყვნენ უცნობს ტაძრისკენ,  
 ჯვრები იწვოდნენ მწვანე ხელებში.  
 „ოსანა მეფეს და ანტიქრისტეს“ –  
 ისმოდა ღამის საბრძანებელში.

## II

ის გახდა ნაზად უსათნოესი  
 და მოხიბლულ ხალხს მოძღვრავდა მშვიდად –  
 „მე ვარ მემკვიდრე ამბა\* ნოესი,  
 დავითის ძე და მესია წმინდა.“  
 ოქრო-ვერცხლის და ფულის ზვინები,  
 ლემის სიმყრალე, გვამთა გროვები,  
 როგორც შედეგი ბოროტი ნების,  
 შეჰვლადებდა ცას ზარ-გოდებით.

უმოლხინესი\* გახდა სოდომი,  
 წყალი გასისხლდა და მზე გაშავდა.  
 მიწა იწვოდა, ვით ერთდროს რომი,  
 არ იყო ხსნა და არც არსით ჩანდა.  
 მოკლეს ილია, მოკლეს ენუქიც,  
 მხილების გამო ცრუ მოძღვარისა,  
 მაგრამ კვლავ აღდგნენ სამშხის ზე-შუქით  
 და გაიელვა ნიშმა ჯვარისამ.  
 სადღაა იგი ვინც იხეშებდა  
 ზე-კაცობას და გვირგვინს ძე-ღმერთის?  
 სამნახევარ წლით ისე გამეფდა,  
 რომ შემდეგ იქცა ყმად ჯოჯოხეთის.  
 არც ლონდონის და აღარც მემფისის,  
 ყველაფერს ჰქონდა სულ სხვა იერი  
 და მზიურ რახსით\* აპოკალიფსის,  
 ახალ ცას აჰყვა მზე მშვენიერი.

28.03.2009 წ.

### ხილვა

მიწა გადაფერდებული, ქეში\* წვიმით სველი,  
 ბად-ვენახის სამარაგლო\* ხალიჩის ლობდანიტ\*,  
 ოქროსთმად გადაფენილი დაღეშხილი სთველი\*,  
 კურთხეულ იყო ზესთ-არსის ხელთა შემკობანით.  
 ქარაგოზივით\* მოიცვა გული ლოცვამ ტკბილმა,  
 ცეცხლი შემოეგზნო, გალღვა ქარით ნასუსხარი.

„მიწყალე მე ღმერთო“ – წარსთქვა, როგორც მრწემმა\*  
შვილმა

და სიმეზზე დაადვენთა სულის საწუხარი.  
ფიქრმა კვლავ გაინაპირა ქედშავ ბიამანზე\*,  
სუროსავით მოეხვია ვნება გრძნობა მთვრალი,  
დაღონებული სიხუქრის\* თეთრ იასამანზე,  
ის კვლავ შეიმოსა ძოწით სოფლის საფიქრალის.  
თითქოს შავი ანგელოზის მიყვებოდა ჩრდილი,  
შიში ემოსა ცხელ თავზე ბერის კუნკულივით\*.  
ველი სინესტეში ხვევდა ნისლით დაცრემლილი,  
მიდიოდა საზვერეთი დამფრთხალი სულივით.  
სახლები, როგორც გვამები არაფრის მეტყველი,  
სიკვდილის მდუმარე ნიღბით ცივად შორდებოდნენ.  
და ტადარი უდაბნოში, ვით ნაზარეველი  
გოლგოთის ჯვარს, შემოენთო ნათელღებულ ბოდბეს.  
თვალეზზე ამოეზარდა ჯვარცმა სისხლ-მდინარე,  
სხივის ხელეზზე დაყრდნობით იწყო აღმა აღსვლა,  
ღველფ-ხორშაკის კიბით გასცდა უოხჭნო\* სიმწარეს  
და თეთრ სიღურჯეში გაქრა ცეცხლით დაგვა, დაღლა.

თვალში ჩამდგარი ცრემლები, ვით ემბაზში წყალი,  
კანკელის ბაზმის\* ჩამომდნარს ირეკლავდა ნათელს.  
გული ირხეოდა, როგორც საფსალმუნეს\* ძალი\*,  
რომ გალობდა, რომ ანთებდა ხმას, ვითარცა სანთელს.

27.10.2008 წ.



## „მიწყალე მე უფალო“

მსხვერპლი ღმრთისა არს სული  
 შემუსრვილი, გული შემუსრვილი  
 და დამდაბლებული ღმერთმან  
 არა შეურაცხოს“  
*დავით წინასწარმეტყველი(ფს. 50.19)*

კანკელში კრთება ხატი,  
 რვა-ქიმიანი ბრწყინავს.  
 ცრემლიანია ტახტი,  
 ათძალი\* მოთქვამს, გმინავს.  
 ფსალმუნს გალობენ სიმნი,  
 ლოცვის იშლება კვნესა.  
 ცას შეწირული ჰიმნით  
 დავითი უფალს ესავს.  
 ბერსაბეს დასდევს ჩრდილი  
 და ვნება ეკიდება –  
 დაცემულ-წარწყმედილი  
 დავითი კვდება, კვდება.  
 ნათანის სიტყვა დაჭრის,  
 გამოფხიზლებულს შეძრავს.  
 გულს სინანულად დაღვრილს  
 ცოდვის ტკივილი სერავს.  
 მწუხარებს, ღუმს ებანი,  
 გლოვის თალხები მოსავს.  
 ესმის ხმა კიდობანის  
 გულ-დამძიმებულ მგოსანს.  
 „მიწყალე მე უფალო“ –  
 ამოსთქვამს ჩუმად ალყა\*.

*რვეული I – ენკენია*

დავითი ისევ გალობს,  
ფსალმუნს უფალთან აჰყავს.

05.07.2008 წ

**ენკენია**

ენკენია\*, ენკენია,  
განმიახლე სული.  
გულს ტკივილი შერჩენია  
აღვის ფერწასულის.  
ლიტანია\*, ლიტანია,  
განმიქარვე სევდა.  
ის გზა ვერ ამიტანია,  
ბნელში რაც მითრევდა.  
მარტვილია\*, მარტვილია,  
სული მომაფინე.  
რა მწარეა, რა ტკბილია,  
თვალს ცვრად რაც მადინე.  
აღვსებაო\*, აღვსებაო,  
ვარ აღთქმის მსსოვარი –  
ყველაკაი აღდგებაო,  
როგორც მაცხოვარი.

11.07.2009 წ

**ორი ნება**

ყოველდღე მზე ხომ ეცმევა ჯვარზე,  
 ჩადის შავეთში, მერე მალდება.  
 ასე იცხოვრე შენც ქვეყანაზე,  
 რადგან სიკვდილი ასე მარცხდება.  
 მსხვერპლის გაღება არ არის ძნელი,  
 თუ კი სიყვარულს იკმევ ღმრთის რწმენით.  
 იმ თასის დაცლა არს საშინელი,  
 დამტვეის ყოველთ ცოდვის და სენის.  
 მან შეაძრწუნა კაციც, ვით ღმერთი  
 და მაინც მამის ნებას ემონა.  
 თვითნებობაა ის ერთადერთი,  
 რაც სულს გარდაქმნის ცოდვის დემონად.  
 საკუთარ ნებას მაშინ აქვს ნაკლი,  
 სულში თუ მხოლოდ ერთადერთია.  
 ორთა შერწყმით თუ გარდმოდის მადლი  
 და მისთვის ღია გულში ღმერთია.

03.03.2009 ♪

**გამოსვლათაი**

„მხვერპლი არს ესე უფლისაი.“

(გამოსვლა I 12;27 )

უდაბნოში გაგიყვანს  
 უარყოფა მოზესი\*,  
 სინას მთაზე აგიყვანს  
 მოსაობა მოსესი.

მხოლოდ სიფხიზლე იცავს  
 რწმენით თავდავიწყებას.  
 ზესთა სიბრძნეს მოიცავს  
 ორმოცწლიან გზის წყება.  
 ტალღა გაშლის მარაოს,  
 მეწამულ ფრთებს შეისხამს,  
 მოგეწევა ფარაო\*,  
 მაგრამ ღმერთი შერისხავს.  
 მიესწრაფვი შორ მიწას  
 ღრუბლით ნათელ-მეგზურით.  
 მისრეთისგან\* დაგიცავს  
 სიგლახაკე მეზვრული.  
 დაგეცვარა მანანა  
 ხორცად ჯერარხილულის.  
 მოსემ გამოგატანა  
 მცნება ქვად ჩაკირული.  
 და უზორავ ცხოველებს  
 ოქროდ გაკერპებულებს.  
 გამოგიჩენთ ცხოველ ძეს  
 მამა ცოდვით შეკრულებს.  
 აღთქმულ მიწას იხილავს  
 დათაფლულ, რძიან ხედით,  
 აღთქმა რომ შეიწირავს  
 რწმენას რჯულის-მოქმედის.  
 სევდა მოეძალება  
 მხცოვან, მაშვრალ წინამძღვარს,  
 ისე დაიკრძალება,  
 ვერ გადალახავს საზღვარს.  
 მიაშურებ სენაკებს,  
 უგალობებ იმიერს.

ამა სოფლის ყველა კერპს  
ტოვებ მრავალჯამიერ.

29.04.2008 წ.

### პირველი სინანული

ხატი გამოკვერილი ოქროსფერი ზარნიშით\*,  
მირონის ცრემლს დაადენს „შენ ხარ ვენახის“ თვალებს.  
იგი გამოცხადება უზენაესი ნიშით,  
რას მანიშნებს, მაფრთხილებს, წინათრგრძნობით  
ნაწვალებს?

ატაცებას ცეცხლოვან ეტლით წმინდა ილიას  
იხსენებდნენ ღოცვები სანთელჩამოდვენითილი.  
ფრთების სწრაფვა ზეცისკენ სულში არ დაილია  
მარტოობის კელინში\* ფიქრით გამოკეტილის.  
წყვილიადის კრეტსაბმელმა დანთქა თვალხილულობა,  
ოდესღაც რომ მქონია ზეცით მომადლებული  
და მომძახის ედემით პირველი ორგულობა:  
„ო, შემინდე სამყაროვ, ბუნება დაცემული.“

იქ სხვა ღოცვით გალობდა ჩემი წმინდა არსება  
და ყოვლისმცოდნე გონი არ ვიცნობდი კაემანს.  
„ო, შემინდე მსოფლიოვ, სიკვიდილი და წამება,  
რომ შენი მომავალი მივყიდე გველშავ ეშმას.“

09.2009 წ

## ოსანა

პალმის რტოებს, პალმის რტოებს  
 ფენილს იგი გზაზე ტოვებს.  
 ჯვართან მიაქვს სიმარტოვე  
 სიყვარულში უსათნოესს.  
 ქალაქს უმზერს და ღონდება,  
 მომავალი აგონდება,  
 თუ ვით შემუსრავს განგება,  
 მიწისაგან აღიგვება.  
 გასცდა გალაუნის ბჭის სამანს,  
 მზე აღმოხდა აღმოსავალს  
 და უცადნი\* როგორც ნანას  
 ხმობენ ოსანას, ოსანას.  
 ოჰ, რა სიხარული მოსავს  
 ყოველ წარმართს თუ ღვთისმოსავს.  
 იერუსალიმად მოსვლას  
 ძისას მამა ზეცით ღოცავს.  
 საღმრთო ქალაქს ორთქლი ასდის,  
 ვაჭრობაში ნაჯაფ-დაღლილს.  
 შეურაცხყოფისთვის ტაძრის  
 იგი ყოველს, ყოველს დასჯის.  
 სასამართლოდ გადაექცათ  
 დიდების დღე კაცთ უმეცართ.  
 რისხვის ზარით ძრწოდა ზეცა –  
 „ჯვარს ეცვას იგი, ჯვარს ეცვას.“  
 განგება წიგნში ინიშნავს  
 მის მსვლელობას მრავლის მნიშნავს.

მოელოდე დღეს საშიშარს  
განსჯილი მსაჯულის ნიშად.

15.04.2008 ♣

### ხელისუფალი

„ღმერთო, მომეცი ცოდნა და სიბრძნე“ –  
სთხოვდა, სამეფოს როს შეჰყურებდა,  
რადგან გულით და გუმიანით იგრძნო,  
მართვა რას და ვის ემსახურება.  
ღვთისმსახურება მიზნად დასახა  
და ქვეყნის მართვა-მრწყემსვის საფუძველად,  
რადგან ამ რწმენით ის დაინახა,  
რაც სხვას სიბრძნით სულში ჩაუკლავს.  
როგორ დაშორდა შემდგომ მსოფლიო  
ამ ღმრთივგანბრძნობილ გულის სინათლეს,  
მმართველთა შფოთვით საამსოფლიო,  
უფლის სიბრძნე რომ ვერ დაინახეს.  
და იწოდება სოლომონ ბრძენად,  
ვინც ცხოვრების არსს ჭერეგტს წუთისოფლის,  
სიტყვას რომ უსმენს, ესმის ის ენა,  
რაც ხსნის თვით მიზეზს ყოფნა-არყოფნის.  
რა ქაოსია ადამიანში  
და რა სინათლეს აუძღვრეველი.  
იპოვნეთ იგი თქვენსავე თავში,  
ჭეშმარიტების მდადადებელი.  
შესაძლო არის, რომ იგი შეცდეს,

ვინც ზესთა სიბრძნით მართავს უსაზღვროს?  
 მისმა მფლობელმა რა უნდა მოხდეს,  
 რომ სახელმწიფო კარგად ვერ მართოს?  
 კანდელს რომ ვანთებთ ღვთისმშობლის ხატთან,  
 ხომ ხატებაა სამშზის სინათლის?  
 მართეთ ქვეყანა ხატ-სალოცავთა,  
 წმინდა, მწყალობელ სულის სიმაღლით.  
 და გამოიღებს ნაყოფს ის ღვაწლი,  
 სიბრძნით მოქმედებს რაც სოლომონის,  
 რომელიც მართავს უფლის სიმართლით,  
 არ მაცდურობით ანგარ მამონის.

4.10.2008 ♣

### ისხარის ცრემლი

ღრუბლის ფთილებით გადანაცრული  
 ცა სხვა სხივფერად ნათლიერდება,  
 ჭინკებს რომ აფრთხობს ელვის არული\*,  
 ისხარის\* ღვარი რომ ძლიერდება.  
 გულში ჩაგიკრავს წარღვნის შეთება\*  
 და მარტოობის დანგთქავს ერთობა,  
 ზე-სინანული თუ ეწვეთება  
 სიკვდილს და ცოდვას, ცხოვნებას, შობას.  
 თეთრ ბინდის ნათელს მზერა ადნება  
 და მთელ სამყაროს იტევს სურვილი,  
 გქონდეს ციერის ელვური გზნება,  
 ზღვა სიხარულის ცეცხლით ურვილი.



თითქოს გადმოღვრილ წყლიან ეთერში  
 გადმოძახილი გესმის იმ მხარის –  
 ერთიანია ყველა იმ ერთში,  
 ყველა ცრემლია ცრემლში ისხარის.

14.06.2009 ♪

### დაბრუნების ელეგია

სხივების ვუმზერ ცაზე ლელიანს,  
 ხატთან სანთლები წვანან უნთები.  
 გზა უეჭველად გასავლელია,  
 თუკი გადაწყვეტ და დაბრუნდები.  
 შორეთს დახშული, კარ-მეუღლები  
 დარჩა ტადარი მოულოცველი  
 და მოდიოდი შვილი უძღები,  
 როგორც ობლობა ხრიოკი ველის.  
 რისთვის დამტოვე, რატომ არ ჩანდი? –  
 ასე გიხმობდა ციურთ ქენება,  
 ნატურის ლოდინს რომ დაუგვიანდი,  
 ტკბილი სიზმარი და მოჩვენება.  
 შენ ბრუნდებოდი და შეცოდება  
 წუხდა წარსულში მამის სიშორეს –  
 ღმერთს, სიყვარულად რომ იწოდება,  
 ნუ უღალატებ, ნუ განიშორებ.

19.02.2010 ♪

**უხილავი ჭიდილი**

ერთადერთ სანთელს ანთებდა ღოცვა,  
 სააღმსარებლო კართან ნაღვენთი.  
 შენ სინანულის სტიქარი გეცვა,  
 თვალს გაღვენებდა სასოს წარმკვეთი.  
 განთავისფლდი ნაზიარები  
 და ცოდვის ქარიც ჩადგა უეცრად.  
 შენ მაინც ღია დაგრჩა კარები  
 სახლის, ცხოვრობდი სადაც უმეცრად.  
 შენ ბრუნდებოდი... ძნელია თმობა  
 ძველი სახლ-კარის უძვირფასესის,  
 მსხვერპლს ითხოვს რადგან ეს მოსაობა  
 ფასდაუდებელ განძ-საფასესი.  
 სხვა რა ბრძოლაა უურთულესი,  
 ვიდრე საკუთარ თავთან ჭიდილი,  
 გამარჯვებულა რაც საგულეში,  
 დამარცხებულა რითაც სიკვდილი.  
 გულის ხაროდან სიცარიელე  
 საყდრის ზარივით რეკდა ჯიუტად.  
 იქ მაცხოვარის წყლულიან ხელებს  
 ბოღმით სისხლს წოვდა მკვდარი იუდა.

26.03.2010.წ

## სასოება

## (მზე)

საფეხურიდან უმდაბლესით უმაღლესამდე  
 ფეხის გადადგმა, აცილება ღრმულის და ბზარის...  
 ხმა ორფეხისა გადაფარა ზეცით ლეთამდე,  
 სამსჭვალის მწარე ტკივილებით გოდებამ ზარის.  
 მიკროს და მაკროს გაბრძოლებით წრიულ ბრუნვაში,  
 ნუთუ შენ ვერ გრძნობ მოძრაობას დიადო ნებავ?  
 ღვთიური ცეცხლი გიზგიზებდა ალბათ ბრუნოში,  
 არ შეუშინდა მიწიერ ცეცხლს მისი ბუნება.  
 დაღეწე სულის ბორკილები... სხვაა ბორკილი,  
 როცა განგება სჯის გულზეად ამპარტაგნებას.  
 არის სიცივე მადანის და სიციცხლე რკინის,  
 არის ამბოხი უტიფარი და ცისთვის ვნება.  
 ო, ნუთუ ვერ გრძნობ აისებში სიალეს ბრძმედის,  
 გარუჯულ კანქვეშ პირველშობის იდუმალებას?  
 ყველაფერში თუ მზეს ვერ ხედავ, რაა იმედი,  
 რაა სიცოცხლე, მითუმეტეს გარდაცვალება?  
 მხიბლავდა ძალა ტიტანური, მზის სიყვარულის,  
 ნაბიჯ-ნაბიჯ რომ მიდიოდა პირველმოსვლამდე,  
 მაგრამ გაცხადდა მისტერია ღმრთივდაფარული,  
 რომ საუკუნოდ ერთ ჭეშმარიტ მზეს იმოსავდე.  
 დიდხანს ზეობდა ამონის\* თუ სხივ-ოქრო მითრას\*  
 მზე მოაბედურ\* ჩვენებებით დანისლულ სივრცის,  
 მაგრამ ყველა მზე გააოცა და გააფითრა  
 მზემ სხვა სიმართლის სუფევის და სხვა უწმინდეს ცის.  
 ვმადლობდი ზეცას, გამაჩინა ადამიანად,  
 ყოველი დღე ხომ წმინდა ზატიკს\* უახლოვდება.

ვიქნებით ერთად ევიანად, ადამიანად  
 მთელი სამყარო, მზე-ქრისტეში ოდეს ცხოვნდება.  
 და ყოველთ ცრემლი, რაც დაღვრილა, გადმოიდვრება  
 ჯერ განუცდელი სიხარულის გასხივოსნებად.  
 მოვლენ მტრები და ჩაგვიკრავენ გულში მოყვრებად,  
 როგორც შენდობა, სიყვარული და მზეოსნება.

01.2009 წ

### ჭეშმარიტება

„ჭეშმარიტება რაი არს“? – ჰკითხა  
 პილატემ უფალს და გაეცალა.  
 შეკითხვა ყინვის სუსხით შეირხა,  
 ისრაელს მისთვის რომ არ ეცალა.  
 მერე, მიმწუხრზე მიწა რომ იძრა  
 და კრეტსაბმელი განიპო კარზე,  
 მოვიდა კითხვა უეცარ ფიქრად:  
 „ვინ იყო იგი გაკრული ჯვარზე“?  
 ავ წინათგრძნობად უბედურების,  
 გულში ჩასახლდა უსაზღვრო შიში.  
 მომასწავებლად განადგურების,  
 არ ასვენებდა ღმრთსმკვლელებს ნიში.  
 თითქოსდა უნდა მოენანია,  
 მაგრამ შეჩერდა ზღურბლს ანგარების –  
 ფარისევლისთვის გარეკანია  
 ღვთისმოსაობა თავ-ნაყვარები.

და დააყენეს მცველნი საფლავთან  
 ურწმუნოებით განგებულების.  
 ოდეს იესოს წინათქმა ახდა,  
 უფრო განრისხდნენ ცოდვით კრულები.  
 და აღშფოთება მართალი სიტყვით:  
 იმ სიძულვილში გადაიზარდა,  
 რაც ღმერთსაც მოკლავს პირველობისთვის,  
 რომ არ მართავდეს კაცთ სხვა მის გარდა.  
 ვერ აიტანა ამპარტავნებამ  
 ის რომ ამხილეს ღმერთის გამობაში  
 დაულაღავი, აგხორცი ვნება,  
 დანთქმული პირად განდიდებაში.  
 და ბოდმის ღვარძლად ამოიზარდა  
 პატივმოყვარე ღიღების ველზე,  
 სადაც იმ გველის წიწილნი ზარდა,  
 გესლი აღვარა ვინც ადამს მკერდზე.  
 და ებრძვის ყველას, ვინც ესავს ქრისტეს –  
 ამ ბრძოლაშია ჭეშმარიტება,  
 რადგან სიყვარულს ოდენ ის იტევს,  
 სიყვარულისთვის ვინც თავს უკვდება.  
 და რადგან მას ეს არ შეუძლია,  
 არ იყოს კერპთან სულშენაერთი,  
 მისთვის მთავარი მკვდარი რჭულია,  
 არა ცხოველი, ხილული ღმერთი.  
 ერთხანს ჰაერში ეკიდა კითხვა,  
 უფლის პასუხი რომ არ ინება  
 და მაშინ, ოდეს ძე ჯვარზე იცვა,  
 გაცხადდა იგი ჭეშმარიტება.

## რეჟული II

### შორი იაგუნდი

„მე არავინ მიცნობს,  
მაგრამ არის ცა – ის მიცნობს მე.“  
*ლაო ძი*

## შორი იაგუნდი

გულში იმ სევდად გადაიშალა  
 უკაცრიელი სიშორე ჩოლის\*,  
 წამით რომ გაკრთა და წაიშალა  
 ვენერას ლანდი თეთრ ბოტიჩელის.  
 განსაცდელებით დახუნძლულ გზების  
 ხმალი და ჯვარი, როგორც სისხლის ღვრა,  
 იკვალებოდა მზის მიმოზებით  
 ზღვაზე დაისის მეწამულ სიზმრად.  
 რახსთა ჭიხვინი, ბრძოლის კიჟინი  
 სმენას ასკდება ყურის წამლები,  
 ისევ გრგვინავენ სიცოცხლის ჟინით  
 სისხლში მცურავი ზეცის თაღები.  
 ქალაქს ემოსა კვამლის ძაძები  
 ჩამოქცეული ცათამბჯენების.  
 სიმწრის ცრემლების წყევლა-დაგებით  
 იერუსალიმს მოწყდნენ ბჭეები.  
 სასწაულებს ჭვრეტს კვლავ საუკუნე,  
 რომ ეპარება ქაფარს\* სიბრძავით.  
 ნოე ვერ გასცდა წარღვნის უკუნეთს  
 და იგვიანებს აღთქმული ზავი.  
 ტანჯვის მორევში მსრველი ქაოსი  
 სისხლ-გაუმძლარი აღმართავს ეშვებს,  
 როგორც ქიმერა სააქაოსი,  
 ახალი წარღვნით რომ გადმოეშვას.  
 ახლა ის მიქრის ტექნოლოგიურ  
 სრულყოფილების აზარტულობით.  
 პროგრესი ასცდა გათვლებს ლოგიკურს

გიორგი ჭყონია – „დახშული სივრცე“

ჩიხში მოქცევით უსასრულობის.  
 ბიზნეს-სამყარო მიღწეულს ოფლით  
 ზე-სასწაულებს გაუთანაბრებს.  
 სასწაულები მიწაზეც ყოფნის,  
 სული კაპიტალს რომ არ ანადვლებს.  
 და აწვიმს ვეგასს ღვარი დოლარის,  
 განცხრომა ლოშნის ოქროს კომფორტის.  
 მოხვეტს მსოფლიო ცხელებით ლარის\*  
 ზღვა მილიარდებს „მაიკროსოფტი.“  
 თანამედროვე ბაფეტებს, ფორდებს  
 მოიყვანს ახალ დროების წყება,  
 რომ სიზმრად გაჰყვეთ მეომარ ლორდებს  
 რომანტიული თავდავიწყება.  
 ცეცხლოვან მუზად აიზილება  
 დიონისურის თანაზიარი,  
 სხვა დელ ფიორედ\* აიზიდება  
 გენია გალას და რენუარის.  
 რომ კვლავაც ჟღერდეს ფერში მუსიკა,  
 სულში შემწყდარი მომაკვდინებლად,  
 როცა პროტმა გადაუხნიქა  
 სიცოცხლეს წელი, გაცლა ინება.  
 და მოზვაგება ბგერების თოვლის,  
 მირიად ფიქრის ოხვრა-ჩურჩულში,  
 დაგწვავს უმქრალი ალობით ლტოლვის  
 სილამაზისკენ მზე-კოლხურ სულში.  
 მოფრინდა სიტყვა და საოცრება,  
 როცა აყვავდა ლურჯ ბადნარებად,  
 სიზმარი გაქრა, როგორც ოცნება  
 და გედარდება და გენატრება.



არას ქირქილში, რომ არ ყოფილა,  
 თვლემდა მუმიან – კითხვა წარსულის,  
 სდუმს სარკოფაგის მწუხარე ფილა  
 ოდესღაც მზისსწორ ღმერთკაცის სულის.

30.08.2008 წ

### მისტრალი \*

ზღვა არის წყნარი... მზის კვალი წყალზე  
 და სილუეტი შიშველი ქალის,  
 ამოიქარგა ცის დასავალზე, –  
 ქარვამოსილი და იღუმალი.  
 პალეგონიდან\* პოეტი მთვრალი,  
 მზე რომ ქალს ზღვაზე მიემწუხრება,  
 მოვა მისტრალი, უცხო მისტრალი,  
 მოვა სიმღერით და დამწუხრდება.  
 მოუსვენარი დახეტიალობს  
 ობოლ ნაპირზე დაფერფლილ სივრცის,  
 გზის უსაზღვრობით ოხერ-ტიალობს,  
 \*რას?.. რატომ?.. რისთვის?.. მხოლოდ მან იცის

05.09.2008 წ

## ღამე

ფარმა გასერა ქუჩის სიბნელე  
 და ათამაშდნენ შუქის ლანდები.  
 მათ მოლოდინის დრო გაანელეს  
 ჟონგლიორული სხივურ ფანდებით.  
 მუხრუჭის მჭახე ხმა უეცარი  
 შეასკდა ჰაერს და გაიფანტა.  
 შეკრთა სიჩუმე – ხმების ცხედარი,  
 ამოიხენეშა მძიმედ და ზანტად.  
 და ქალის ჩრდილი ულამაზესი,  
 გველივით სხივზე რომ გაიზღაზნა,  
 ქალაქი იწვა, როგორც რამზესი  
 და თავზე ედგა ღამე-ავაზა.

23.10.2008 ♣

## პარნასიდან

კლდოვან შხერებს ეხეთქება ეგეოსის სევდა  
 და ბგერების ყვავილებით სუნთქავს ზღვის ბაღადა.  
 თეთრი გედი შეეზარდა სხივ-მომანგე ლედას\*,  
 სილამაზის სიყვარულის ფრთებით მოძალადე.  
 არ დაცხრება ეს დუღილი სისხლიანი ვნების,  
 მშვენნიერების ნაზ კანზე დაფერფლილი კედომის.  
 მის საუფლოს შეეწირა უზევსი მიზნები,  
 კერპ-ღმერთებად აღმართული ათენის და რომის.  
 პროპორციის სინატიფეს აფრქვევს აფროდიტე,

თეთრ წყვილადში კრთის სინაზის სხეულის სისრულე.  
 შენ უყვარდი რაფაელო, სიწმინდეს ჩვილ ქრისტეს  
 და მადონას დახრილ თვალთა მორჩილებას უღევს.  
 რა ამღერებს სხეულებში მზის აღტებს ან ჩელოს,  
 ფერების სივრცეებიდან გადმოსხმულ შუქ-ჩრდილებს?..  
 არ ჩამოდის ხარაჩოდან კვლავ მიქელანჯელო,  
 დავითს აცლის მარმარილოს სიცივის თეთრ დილეგს.  
 სიმახინჯის წარმტაც თვალებს აჭკეცს შიშის ბოსხი,  
 აღამიანში შეყუჟულ ჭინკის გადმონთხევა.  
 აქ გვემაა ჯოჯოხეთით დაცემულ სამოთხის  
 და ტანჯვის ბორკილებს იღებს მომაკვდავი ევა.  
 თუ ღიმილის პირბადის ქვეშ ბაგის ქარვა დარდობს,  
 ქალის თვალებს სერაფიმის კდება ეფერება,  
 წმინდა ანას თვალ-შენატვრით ჭვრეტს ჩვილს ლეონარდო,  
 ისე იღუმალი, ვით საიდუმლო სერობა.  
 სხივთა კიბეს მიყვებიან და თრთიან ლანდები  
 ნაზ ვუაღში პარნასიდან გადმოღვრილი შუქის.  
 ო, მინერვა შეუცნობლის, შენ არ მინავლდები  
 გულში მაძებარი ფიქრის ცეცხლით და ქარბუქით.

23.08.2009 წ

გიორგი ჭყონია – „დახშული სივრცე“

### წამის ელეგია

შეხვედრა სხივთან... დახრილ წამწამზე  
 გადმოღვენთილი გიშრის ოცება\*...  
 შეხედეთ წამით ჩამავალ ამ მზეს,  
 იარა მისი არ იხორცება.  
 არ იცი როგორ, შეყრა მზერათა  
 მოდის მაისში მეხური ელდით,  
 აღარ არსებობს ბედისწერა და  
 არც სინანული ამ ვნების გვერდით.  
 ოჰ, იყო, აღარ განმეორდება,  
 ის იყო ერთხელ და სამუდამოდ,  
 ქარივით მოქრის და თან გშორდება  
 მარადიული სევდით უუამო.  
 და არყოფილი. ცოცხლობს ვით ის ხე,  
 რომ მიინაგლა ბავშვობის ჩრდილში.  
 ოცნება მზის ტანს ლექსით შეირხევს  
 ამ სიყვარულით უტკბეს სიკვდილში.

17.02.2010 ♪

**დროის ელეგია**

თოვა, თოვა-თოვით  
 ზამთრის თეთრ სიზმრების,  
 მოქსოვს ფიქრთა ქსოვილს  
 განცდა მონატრების.  
 დროის უნდო ქართო,  
 წლების გამფანტავი,  
 ისევ მივიჩქარი  
 ზრახვა ძველ ნეტავის  
 და აწ იასამნის  
 ფერ-ეშისცვალება  
 წვავს ბუხარში აპნისს\*  
 წარსულით წვალებას.  
 რომ სადღაც მაისის  
 ვარდს ფურცლები წყდება,  
 რომ თვალები მისი,  
 შენ არ გაგიწყდება.  
 რომ მოკლეა დრო და  
 წლები ხილვებს წვდება,  
 სადღაც იწყებოდა  
 ის, რაც გთმობს, გშორდება.

15.02.2010 წ

## დემიმონდენი \*

შადრევენებმა დანისლეს მოგონების ნაპირი:  
 მიირხევა მაგიდებს შორის დემიმონდენი.  
 რესტორანი ნაღვლიან ტანგოთი ანატირი,  
 სახლებ-გამონაცვალ გზის ავ შუქჩრდილებს მოდენის.  
 ბროლში ტყდება ვარდების დასისხლული თვალები,  
 ჭადის შუქზე ბარბაცებს ღოთი ფრანტის აჩრდილი.  
 ამ ბომონდურ კარუსელს ჯიუტად ეალები,  
 გარყვნილებით ნაფერი სნობის ნაზი მანდილი.  
 მკერდეზე ჩამოღვენთილი კოცნის ბეჭდებს იმოსავს  
 შარტრეზით\* გაჟღენთილი ნიკოტინის ხრჩოლება.  
 ანგარების წყალს გისხამს ჭკნობა-შეპარულ სოსანს,  
 საყვარლების ფინია, ავხორცი მორჩილება.  
 მეტროდოტელ-კონსიერუებს იცვლის დღეთა დინება  
 და ზმანებებს ისევენ ღამის პორტიერები.  
 დაღლილი დღის დივანზე განცდას არ ეძინება  
 განშორება-შეხვედრის გულცივი იარების.  
 ნორჩ მინდორში მიქროდა ბავშვის გაცისკროვნება,  
 თმებში ჩაწნულ ყვავილის პირველყოფილ ალერსით.  
 ბალიშზე შემშრალ ცრემლებს მარად ემახსოვრება  
 პირველი სიყვარულის ზეცა უნეტარესი.

**დამალევინეთ!**

ძველ ბართან დაღვრილს ძინავს მთვრალ წუხილს,  
 ნავისკარ გულის სევდიან სნებას.  
 იმედგაწყვეტილ ნისლებში მწუხრის  
 თავდავიწყება მიესვენება.  
 ზმანებამოსილ გზების ხრიოკში  
 ხსოვნას შემორჩა დამშვიდობება:  
 ბლუზი ნამდერი კლუბ „ნიუ-იორკში“  
 და საქსოფონის მოთქმა-გოდება.  
 ისევ ჭიქა და ვისკიც გაშეთდა\*,  
 ამდენ დალევას იტანს ექსტაზი,  
 სიყვარულად რომ გულში აფეთქდა  
 ხმა-მობარბაცე ამსტრონგის ჯაზის.  
 პარიზულ ბულვარს ემონალიზა  
 გადაჩრდილება უნაზეს ქალის  
 და გული მინელს ემონა ლიზას,  
 როცა კაბარეს გაბრწყინდა თვალი.  
 დამალევინეთ! მე ვსვამ იმ ღამის  
 თენების, რაც კი ფანტავს ამ სევდას –  
 სიყვარულს ედიტ პიაფის შხამის,  
 ცაში რომ გაჰყვა მომაკედავ სერდანს.  
 დამალევინეთ! მე ვსვამ უდარდო,  
 დარდიმანდ დღეთა ტრფიალით გზნებას –  
 კამელიების სიყვარულს გარბოს,  
 მისთვის სიკვდილი ვინაც ინება.  
 დამალევინეთ! რომ არ გაიპოს  
 გული სიმძიმით დაღლილი ბედის.  
 მე ვსვამ სიყვარულს დამთვრალ ედგარ პოს  
 ცაზე ციმციმით შორ ანნაბელ ლის.

**სხვა სიზმრებს**

გზნება ისევ ეტანება პარიზულ კაფე-შანტანს,  
დახვეწილი უხამსობით მოდილინე შანსონეტს.  
მონპარნასის მოგონება სენის ზვირთებს გაატანს  
ძველ-ბოჰემური ცხოვრების მონატრებით მთვრალ სონეტს.  
ნეტავ ისევ თუ აბოლებს ლექსის ჰაშიშს ბოჰემა,  
ისევ თუ მიელტვის უცხო ქვეყნებს გედი მაღარმეს,  
ნავსაყუდელი თუ ჰპოვა რემბოს ზღვით მთვრალმა გემმა,  
ახლაც მისტრალით მონაბერ ოცნებებს რომ აწამებს?  
ქუჩებს ათრობს გიჟი ყოფა, არც თუ ისე იაფი,  
„მულენ რუჟით“ დატყვევებულ პარიზს არ ესვენება,  
რომ აღარც იტაცებს მონმარტს ხმის მეტალი პიაფის,  
რომ სენა სხვა ქარის ქროლვით სხვა სიზმრებს მიენება.

02.08.2009 წ

**ვით გალატვა**

ინთებიან ნეონის ელვარე ჩირაღდნები,  
ლაჟვარდოვან ნაპირის თვალ-მარგალიტ ნიცაში.  
სუნამოს ზღვად ატალღებს ძველ გრასს\* ვარდის ბა-  
ღები,  
რომლის გაუსაძლისი ხიბლით დნება მზე ცაში.  
ფუფუნებას მპირდება სასტუმრო „ოლიერი“\*,  
პროვანსალურ კერძით და ბორდოს ფერნაზი ღვინით,  
სინატიფით როკოკოს ეპოქის მოლიერის.  
თუ ჰანგის ბრწყინვალეობით ვიტალური როსინის.



ეკალიპტის და ფიჭვის ზურმუხტოვანი კდემა  
 წმინდა მარგარიტას მანგ კუნძულს ადიადემებს.  
 აქ სილაჟუარდის სუნთქვა წყლის ბივრილებს ედება  
 და კეთილ ქარს უგზავნის ზღვაში ჩაკარგულ გემებს.  
 და ნიციდან მოქროლილ მისტრალის მილოცვებით  
 ტალღებს ესურნელება ჰაერის „მოლინარი“\*,  
 რომ ჩურჩულში უთეთრეს მარგარიტას ლოცვების,  
 კანის უბე ბრწყინდება, ვით გალატეა\* წყნარი.

09.2009 წ

### პარნასი

თუ კვდომაა ბულონის ტყის ფერმიხდილი ძველ ლიანის  
 და ფერ-მსხივარი გედები ეცემიან სენის ზვირთებს,  
 ეს სევდაა ქალის თვალში ჩამდგარი მოდილიანის,  
 ტილოს უძირო წიაღი ვისაც ბანგის ვნებით ითრევს.  
 თუ ფიგურალურ ჩონჩხებში ზე-დისჰარმონია ასობს  
 და სამყაროს კვეთილ ფორმებს ამსხვრევს ხაზების  
 ტორნადო,  
 ეს თვალების მიგნებაა უცხო სივრცის მჩენ პიკასოს,  
 რომ ოცნების კრეტსაბმელი შეხსნას ფარულ ელდორადოს.  
 ელისეს მინდვრებზე ნისლის მელანქოლია ნუ არის,  
 რევოლუციის ქარ-ცეცხლით ნუ დაღონდება ვერსალი.  
 ყვავილებს ასიხარულებს მზის დიბებში\* რენუარი  
 და ნიტარებას ასხივებს წითელ ვარდთა ნაღვერდალის.  
 ყოველ სიხარულის, გზნების, სისხლის განცდის, ვნებათ  
 ურვის

ზღვებს მოაღვრის გულს ოსტატის გრძნეული  
 ფუნჯ-საჭრეთელი  
 და მოგვძახის სიღამაზის ქეჯაოზე\* მჯდარი ლუვრი –  
 „მე ვარ სიყვარულის მთოვი პარნასი დაუშრეტელი.“

08.2009 წ

### საფო

უნდა ტაღლის მისწრაფებას გაეჯიბრო, დაეწაფო,  
 რომ გაიგო მღელვარება ლექსის ლესბოსელი საფოს.  
 სიკვდილის ნაფეხურები კვალავს ქვიშის სველ ნაპირებს,  
 სიყვარულის მონა ქალი თავის მოკვლას თუ აპირებს.  
 ეგეოსის ტაღლებს მიაქვს ახლაც მკვლელ ტაეპის ჩქამი,  
 საფო, სიტყვით დაიჭირე გაელვებულ ტრფობის წამი.  
 ციურ ღოცვით გამოიხმე სული მზისფერ აფროდიტეს,  
 რომ შემორჩეს უკვდავება სიყვარულის ჰიმნად მითებს.

03.02.2010 წ

### ორთა მადრიგალი

გზის მიმოსხვევა მაღნარის ტევრში,  
 მთაზე არხვივით შემდგარი ციხე  
 და უდაბნოს ხმა ლურჯ მონასტერში,  
 სულის ქერეთში\* ხსოვნით გავრიყე.  
 ლოს-ანჯელესის ილუმინანტებს  
 აფრქვევს ელექტრო-ჰეგემონია  
 და აღმასების ანძებად ანთებს  
 ცათამბჯენები კალიფორნიას.  
 აქ შარდენიდან იქ ავენიუს  
 მეხუთეს გასდევს სხვა დრო და სივრცე  
 და ოკეანეს, ორთა მედიუმს,  
 სურს კონტინენტი სამოთხედ იქცეს.  
 დანახშირებულს იქნევს ყვავი ფრთას  
 და იქუფრება მიდამოეთი,  
 ლურჯი ატლანტის ოქროს ნაპირთა  
 ზეცას აწყდება მიეთ-მოეთი.  
 სხვა დედამიწის მიღმა სად ვნახო  
 მშვენიერება უბივრილესი,  
 აქ საქართველოს ჯვარ-სავენახო,  
 იქ კანიონურ სინამდვილესი?  
 სულში სამყაროს შემოირკალებს  
 ეს გაქანება ედემის მდომი  
 და სიყვარულის მხსნელ მადრიგალებს\*  
 ტემზას გაატანს ძველი ლონდონი.

## მოგზაური

დღე ასეთი არ ყოფილა, ასეთი სხვა და ძვირფასი...

სიოები ირხევიან სიხარულად მაშვრალ სულში.

გამიყოლებს მოლოდინი ლურჯ ხილვებით თვალ-სხივბასრი,  
შორეთისკენ მონატრებულს ჯერ განუცადს\* დაფარულში.  
ვიტრაჟები მოფრინავენ ჩემსკენ ცათამბჯენთა დასის  
ქუჩებად დაძარღვულს, შიშველს ვეკლები რუს ქალაქის  
ტანს.

ზღვების საფირონში ბუდობს წყალ-ჯავარი\* დას-ვეგასი,  
ჩემს ოცნებას ელდორადოს ცხელებით რაც გადაიტანს.  
ტალღებია გლუვი, ისე გამჭვირვალე, როგორც ბროლი,  
დაღუპვის გზას ადგას გემი, წყლის ტევრს მიაპობს  
ძალუმად.

მარტოობას მიატალღებს მეზღვაურის გზნება მქროლი,  
ტიტანური შებრძოლებით, სიკვდილთან ვიტო დიუმას\*.  
ო, რამდენი იყო ნატვრა თუ ოცნება შეუქმთოვარი,  
ყველამ ფესვები გაიდგა სულში დემონ-აღელვებით.  
მისწრაფებავ, გაფრენილო ხილვად უცხო, ზღაპრულ  
მხარის,

ისევ ცოცხლობ ჩემში ზეშთა ციურ-ცეცხლით და ელვებით.  
ობიექტივი ისრუტავს პეიზაჟებს ქალაქების,  
თეთრ ტაძრებზე ანგელოზებს იჭერს, მოედნებზე  
მტრედებს

და ეგზოტიკურ ქაოსში გული ფრინავს გალაღებით,  
სამრეკლოების მიღმა რომ ნისლავს მოლას მინარეთებს.  
ბორბლები მძიმედ დაეშვა ბეტონზე აეროპორტის,  
და გულს ჩამოყვა თბილისი მეიდანურ ქულბაქობით.  
პარიზი კი მომხიბვლელი, ვით სეზანის ნატურმორტი,  
ნოტრ-დამიდან ხედებს ფენდა სინატიფის სულის მშობი.

რეკავს საათი ბიგ-ბენი და ლონდონი ინისლება,  
 ტრაფალგარზე იმპერიის მიმოქრიან აჩრდილები,  
 ტაუერის ბურჯებს ტემზა ბარდული ჟინით ესლება  
 და ბრწყინავენ ჰაიდ პარკის მწვანით მოსილი ვილები.  
 იერუსალიმს მაღლდება დაუსაბამო მზის კერა,  
 ლომთა კარიბჭეს კვლავ ესმის ოხვრა ვია დოლოროსას\*.  
 მხოლოდ გარდმოსული ცეცხლის წმინდა სასწაულისსჯერა,  
 ჯვარცმის სახებას იხსენებს წარსული საფლავთან როცა.  
 ქუხს რომი და კოლიზეუმს წვავს სანახაობის ცეცხლი  
 და ვატიკანის საყდარი იხსენებს ინკვიზიციას,  
 სისხლით ნაყიდი დიდება ბრწყინვალეობით ოქრო-ვერცხლის  
 ჭვრეტს ნანგრევებს დრომ ანტიკის მუზეუმად რომ აქცია.  
 და კვლა მოჰკივის მსოფლიო მარიხის\* სულისკვეთების  
 პონტოს სამეფოს რომ უტევს კეისრული მრისხანებით.  
 ჩაკარგულან ტრამალებში აჩრდილნი მებრძოლ სკვითების,  
 გაფანტულან შავ-ღრუბლები ურდოების მგელ ხანების.  
 „მე მოვდივარ წარსულიდან აწმყო შეზრდილი მომავალს“ –  
 იმეორებს შენში შავის თეთრთან ბრძოლის ისტორია.  
 ყველა ძეგლი გისახსოვრებს დაუვიწყარ რაღაც მთავარს  
 და მსოფლიო ომით ნგრევა-მშენებლობის მინდორია.  
 მაგრამ სიყვარულზე მძლავრი, მონატრება მშობლიურის,  
 უკან გაბრუნებს სითბოთი თავად ღმერთის დედის კალთის.  
 ვბრუნდები უძლები შვილი სინანულით, ბიბლიურით,  
 ვბრუნდები სვეტიცხოველთან, სიწმინდეში ქრისტეს  
 კვართის.  
 ო, რამდენი იყო ნატვრა, თუ ოცნება შუქ-მთოვარი,  
 ყველამ ფესვები გაიდგა სულში დემონ ადელვებით,  
 მაგრამ მისწრაფებავ ჩემო, ედემისკენ მშობელ მხარის,  
 ისევ ცოცხლობ უხსოვარი უამის ხსოვნის გაელვებით.

## მწუნარე ფატუმი

ცივი ეწერი\*, რკინა-ბეტონის  
 გიგანტ ჩონჩხებზე მისრწნილი სივრცე,  
 ფერისცვალებით ქამელეონის,  
 ჰედონისტურ ტახტს გრძნებით მიირწევს.  
 ავტოსტრადიდან ავარდნილ ბოლის  
 დრაკონის მიერ ნანთხევი კუპრი  
 აზმორებს ღამეს ელექტრულ ტბორის  
 შუქურმანგებით მოსირმულ ქუფრით.  
 ეთერი ფეთქავს რეკლამის პულსით,  
 ქუჩა ჯაზ-როკულ ტრანსში შობს ექსტაზს,  
 მხოლოდ დოლარის მერყევი კურსით  
 აძლევს ცხოვრებას უზენაესს აზრს.  
 ავხორცი ჯაღდა\* ავენითა  
 ქსოვს დიადემებს ოქრომწთოლვარეს  
 აქ ღამე ყიდის მზეს, ვით იუდა  
 და იცვამს სხვა შუქს მცინარ-მკროლოვარეს.  
 ჯავარ-ბროლება ნიაგარული  
 ლეწავს ზურმუხტის ბჭეებს ჯუნგლების.  
 ტომნი აბრამის და აგარული  
 ერთმანეთის სისხლს სვამენ ვით მგლები.  
 და ტრაგედიას სპირიტუელსებს\*  
 წირავს „სავაჭრო ცენტრის“\* ფატუმი,  
 ზე სიყვარულის მოუხმობს ელჩებს,  
 რომ გაატანოს ღოცვები ჩუმი.

21.07.2009 წ

## სიკვდილის სიცოცხლე

ფეთქავს, ფეთქავს, ყრუ ბგერებად ისმის მაჯის ცემა.  
 მერამდენე წრე შეიკრა უხილავი ბრუნვით?..  
 ერთის მეორით შეცვლაში მხოლოდ გადაცემა,  
 გადაცემა სიცოცხლისთვის გარჯისა და ზრუნვის.  
 სივრცემ მზის სხივზე გაფინა გახვრეტილი ფილტვი,  
 პირზე კუპრმორეულ ბაგით დაინერწყვა კანი.  
 შიშის ნიღბოსანი ჟამი გიჟივით მიილტვის,  
 კომმარულ ფირს ატრიალებს კინომანი კანი.  
 დეპრესია შეაშტერდა ყრუ-მუნჯ საკნის კედლებს,  
 ფიქრი წარსულს ჩააფრინდა როგორც მეტასტაზი.  
 „სავაჭრო ცენტრში“ აჩრდილი ცას სიკვდილს ავედრებს  
 და სიცოცხლეს უაზრობის შავი დალი აზის.  
 ცეცხლმა ზეცა გადასერა უსხივ-კაბადონო,  
 სიკვდილმა სიკვდილს მოაჭრა უარსებო ფრთები.  
 აქ ჭლექი და სინესტეა, ბნელთა საბატონო,  
 შენ ცოცხლდები, შენ ცოცხლდები, კვდები, კვდები,  
 კვდები.

11.01.2009 წ

## სასწაული

აბადონზე\* ჩამოცრილი შუქის ერთი წვეთი  
 ყოფნის განცდას დაცვილული, მხცოვან ტაძრის კედლის,  
 გაიხსენოს კვლავ აღდგომა კოშმარიდან მკვდრეთით,  
 სარკოფაგის ნიღაბს ამწყდარ საფირონის ეტლის.  
 გაფრენილი გულის ფეთქვას შავი ნისლის ფრთები  
 შეესხა და ფრენა ცეცხლზე სიარული გახდა.  
 სისხლნანთხევი სუნთქვის ღვერფლის\* აღიმართნენ მთები,  
 მათი სიმაღლიდან უფსკრულს სული გადაახტა.  
 სამურავის\* ლაბირინთში სიკედილს ვუღიმოდი,  
 ზმანებები მომაჯარა შავმა ხერეღმა შიშის,  
 ტოტის\* სკრიპტით მაცილებდა ქურუმთა სინოდი,  
 არ მახსოვდა როდის მოვკვდი, ედემში რომ ვიშვი.  
 ტანჯვის ნაპრალებში შავ მძივოს\* ღვრიდა ბელზებელი,  
 სასოწარკვეთის გოდება კვეთდა ცათამბჯენებს,  
 ქუხდა მოლოხი\* მზის დარი წვით მაფეთქებელი  
 და ჩვილს აცლიდნენ უზადო ავტომატის ჯერებს.  
 ციდან ცრიდა ფერფლის წვიმა, ვით უსუსურობა,  
 ღაღარ მიწას ასკდებოდნენ მკვდარ ცოცხალის ოხრით\*,  
 ღაზავათურ „ვარდებს“ ყრიდა მარსის მიჯნურობა  
 ომისადმი და ქალაქებს წირავდა ქედმოხრით.  
 ნიშებმა ელვურ კირთებით სამყარო მორკალეს,  
 ზღვებმა ზღვებს გადმოადგარა გვამთა მყრალი ღავა,  
 ავხორცობა იხრჩობოდა წყლულებში მორტალეს-ს\*  
 შავმა ანგელოზმა საშოს კვერცხში იბანავა.  
 სიბნელესთან კანდელაბრში ზარმა იწკრიალა,  
 შპრიციდან ვენაში შავი ჯარბი ზანტად შეძვრა,  
 სიზმარიდან სისხლმა წყევლით ამოიხრიალა,



დაბანგულ ღამის ქიმერა კვილის ხმამ შეძრა.  
 ბნელ სარდაფში წირვაა და ჩვილი იწირება,  
 მას თავი გააყოფინეს სისხლის ბლანტ საბელში.  
 „ო, სიკვდილის სისარულო, გვწამს ცოდვის დიდება,  
 შენ აღსდგები ლუციფერის მზის საბრძანებელში.“  
 მირონმდინარ ხატს სურნელი ლოცვებად აღმოხდა,  
 ხატიდან ჩვილი გადმოდგა და გაფრინდა უცებ.  
 არვინ უწყოდა ტაძარში უჩინრად რა მოხდა,  
 მხოლოდ სახე გაეფითრა ცისკენ მზირალ ხუცესს.

02.04.2009 ♡

### გლობუსში

წვერზე ინის საღებავი, წამწამებზე ტუში...  
 გაოცება ნიღბებს ისვრის ტალღოვან სარკიდან.  
 სანახაობის და პურის მოქუხს ტაში-ტუში  
 და ბრბო დიდებას მოელის ვარსკვლავის არკიდან\*.  
 კიბეებზე სისხლის გუბე შეძახილით – „შენცა?“ –  
 უბოროტეს არიმანსაც\* შეადრწუნებს ალბათ.  
 მარტის მოირას\* თვით იგი მზეც\* კი ვერ გაექცა,  
 ამაოების უმკაცრეს ომეგას და აღფას.  
 ყველა სანახაობათა შორის უმოწყალოს  
 და საშინელს მოითხოვდა მრისხანება მასის,  
 სიკეთემ კი შესვა ცოდვის ულვეი საწყაო  
 და იპოვნა ზღვად დანთქმული სამეფო აღმასი.  
 რეჟისორი არ ივიწყებს მგზნებარე სპექტაკლებს,  
 ხელახლა დგამს განსხვავებით ყალბი თეატრისა.

ის ვნებით აღსავსე ძრწოლას მსოფლიოს არ აკლებს  
 ნამდვილი სიკვდილის მთესველ ჟინის სიაფთრისა.  
 და გრძელდება წარმოდგენა სისხლის ორგიული,  
 მსოფლიო ომების ველზე საზარბაზნე ხორცის:  
 ამერიკულ-ავღანურ, რუსულ-გეორგიული,  
 როგორც მისიების ფონზე სიკვდილის ხორხოცი.  
 ყველა მოსრა მსახიობად ვინც კი დაიგულა,  
 ათამაშა, ადაზევა, მერე უცებ დასცა:  
 ნერონი, ჰიტლერი, ლენინ-სტალინ, კალიგულა,  
 ცინიკურად ისტორიის ნაგავს რომ გადასცა.  
 ახალ, ცხელ მოთხოვნილებას არგებს დროის ქარგას  
 და უმაღლეს შეხვედრებზე კვლავ აცხადებს ანონსს.  
 ტრაგედია აკრიტიკა და გადააბარვა  
 და გვთავაზობს კომედიას არასაზიანოს.  
 სცენა პარტერს ერწყმის, რადგან ყველგან თამაშია,  
 თეატრს ხომ „გლობუსი“ ჰქვია და ბრუნავს უწყვეტად.  
 მთავარ როლს ვინ ითამაშებს, საქმე ამაშია,  
 არის ბრძოლა, შური, ღვარძლი და ნერვების წყვეტა.  
 სიკვდილის შიშიც გამჭრალა სიყვარულით როლის  
 და რიგდება, იყიდება ნიღბები ფერადი.  
 თავისუფლება უსაზღვრო და მასზე კონტროლი –  
 აი, ყველაზე დიადი მისი მასკარადი.  
 ზის სამხატვრო საბჭო არქი-დემონთ-ასსიახის\*,  
 ათი ანარეკლი ათი სფეროს-აცილუტში\*.  
 ხმობენ შემქმნელს მსახურთაგან გენიალურ სახის,  
 სამი ექვსიანის ხსნიან ფარდას ჭრელ სალუტში.  
 ათი სფეროდან მოწვეთავს ჯილდოების ბუმის,  
 ოსკარის ოქროს თვალიდან გადმოღვრილი ცრემლი,  
 სასიკვდილო ბუფონადით მოლაღე აღლუმის  
 სისხლი-მტერის სამსხვერპლოზე შეწირული მრევლის.

სცენის ცენტრში დგას ცეცხლოვან არგნით ლუციფერი,  
 მოჭრილ თავებს მათ ნაკადში ნიღბებს აგლეჯს და ყრის.  
 ბრბო აწყდება აღტაცებით ნიღბებს, კივის, მღერის,  
 ათი სფერო ბრუნავს და თან ახალ ნიღბოსნებს ჭრის.  
 და სცენაზე გამოდიან ის პერსონაჟები,  
 ვინც პირველს ყველაზე მეტად მოაწონა თავი.  
 იშლებიან დოლარების სივრცე-შირაჟები:  
 თეთრი სახლი და „ლუქსორი\*“, ქოხი და ნაგავი.  
 ეცინებათ კარლ მოროს და ჰამლეტს, მონტე კრისტოს,  
 იქნებ ცრემლს მაღავენ ამით, რადგან ვეცოდებით,  
 კულისებში ჯერჯერობით კვლავ დგას ანტიქრისტე,  
 მომლოდინე სცენად გასვლის ნიშან-მოწოდების.  
 დასაბამით თამაშდება საუფლო პიესა,  
 რომლის დასაწყისიც იყო მეტად ტრაგიკული,  
 კვანძის გამხსნელი კი არ ჩანს, დასცქერის იესო  
 მოთმინებით სპექტაკლს ბნელი და ცრუ ორაკულის.

06.01.2009 ♡

## ულტრა\*

ხმა ქაოსური ცის მსხვრევა-ნგრევის  
 მოქრის, მოღელავს გრძნეული ზავით,  
 ხმა ხმის ჩამხშობი ჟამთა სანქრევის\*,  
 მარადიული ზეაგების ზამთრის.  
 აქ კი სხივთ ღველფი წვავს ჩემს გონებას  
 და ფიქრებს ხარშავს ზარ-შიშის ბრძმედში,  
 რომ ყოველივე აიწონება  
 ყოფნა-არყოფნის სურვილით ღმერთში.  
 რომ ყველაფერი მზით წარხდება და  
 მით აღიგვება პირისგან მიწის,  
 რაც გებადა და რაც არ გებადა,  
 ყოველი მტვერი დემონური ცის.  
 დარჩება სული, სულს ნატვიფარი,  
 წყლულის ყვავილის მეტყველი დადი,  
 უკანასკნელი ლოცვების ფარი,  
 ოცნებით პირველ პაემნის ბაღის.  
 ქროლვით აგრძელებს ხმა წყევლის შიშინს,  
 ხახიდან გესლს ღვრის ხსოვნის იარა,  
 კომმართ კრატერში თუხთუხებს შიში,  
 ეჭვების კირთით გზაზე კი-არას.  
 ამოდ უნთებ სანთლებს ბნელ წარსულს,  
 იგი ბრუნდება ახლაც მომავლად,  
 მას არც წასვლა და აღარც მოსვლა სურს,  
 ფატა-მორგანა\* გულს მიენავლა.  
 ო, გამეღვიძოს სხვა სამყაროში,  
 მხედველს ყავლგასულ, გახრწნილ სპექტაკლის,  
 სული იხრჩობა გვამთ მაღაროში,  
 სადაც არც მზეა, არც ცა, არც მადლი.

## ემპირეა

ამ ქუჩიდან ის სადგური ახლოს არის ძლიერ,  
ასფალტისგან ნაბიჯი თუ აშორებს ღიანდაგს.  
მარად უხმობს შორეული შეხვედრას წამიერს:  
გელოდები, გელოდები, შენ დაგაგვიანდა.  
მრუმე სარკემ შეიწოვა გავლილ-გამოვლილი  
ევთიები\* ხელში გულით სისხლ-ძარღვ-ჩახეული.  
იდგა სტელა-მარმარილოს მოგონება თლილი,  
ანგელოზის ფრთების ჩრდილში წმინდას და რჩეულის.  
რამდენი ხმა ექოსებრი, როგორც ჩვილის სუნთქვა,  
პარტენონის უამთა წყურვილს ღოცვად დაედვენთა:  
პირველი-უკანასკნელის შეუღლების სულთქმა  
არდაბრუნების ნაღველთან მივიწყებულ ღმერთთა.  
ხსოვნავ, ტკბილი საუფლო ხარ უხსოვარის თაღზე,  
მხცოვან სინორჩეში მქნარი\* ჩქამით ემპირეას\*,  
სადაც სასოება აღნობს ნათელს მზეთა ჭაღზე,  
სადაც ხარების ფრთასავით ღურჯი სითეთრეა.  
და მზის ზღუდეებზე წუხდა საზღვრის მონატრება,  
უსხეულო სიმშვიდეში უქუფრო ვანებას.  
ემპირეა, ემპირეა, სული ცეცხლით თვრება,  
შენ ჩემი სიშორე გელტვის და გეთაყვანება.

16.01.2009 წ

**ეშმაკის და ნარკომანის გასაუბრება**

რა გინდა, სხვა რა? – მე? მხოლოდ შავი.  
 – კეთილი მოდი, მე გაგიკეთებ.  
 – მე? მე რა მინდა? შენი საფლავი,  
 რომ სამუდამოდ გაშავდე ეგებ.

27.03.2010 ♡

**გლორია**

მესმის დღეების მიმორხევის სულთქმა-შრიალი...  
 სიხარულს გჩუქნი მწუხარებავ გადაქროლილო,  
 ვით აღტაცებას გრადაციით თეთრ როიალის  
 და ყვავილების გრაციებით დელვაში ლილოს.  
 მიმაქვს ვედრება დაბრუნებულ ჟამის ლოცვების,  
 ძველ მოლოდინით სიმ-ნარხევი გრძნობის ფერების:  
 ბავშვობის ტყისპირს თვალმკდემარე ნორჩი მოცვების,  
 დედის აღერსში მონანავე ხმის მოფერების.  
 ახლა მე სხვა მაქვს ოქროცურვილ თევზისთვის ნატვრა,  
 მხატვრის სურვილში დაუნჯებულ თვალის ნაკადის,  
 რომ მეგულება ფეერია უცხო თეატრად,  
 სადაც ვნახავდი მას, ვისაც მე არასდროს ვგავდი.  
 თეთრ შავში სისხლის წვეთით სული სრულყოფილია,  
 სისხ-წყლად გადინდა გულში წმინდა გაქცევის გზნება.  
 დღეს-ხვალ და გუშინ, რახანია რაც ყოფილია,  
 უდაბნოს გაჰყვა სიყვარულით თავდავიწყება.  
 მშვენიერებას ჭრილობების წუთხი ჩამოსდის,  
 საუფლო სიტკბოს ძმარ-ნალველის გემო გადაკრავს.  
 მოულოდნელ დღის უსასრულო ლოდინით მოდის

ის, ვინც მოსულა, მაგრამ წასულს წყვდიადი აკრავს.  
 ტოტებ-მოკვეთილ ხის ტკივილის კელავ კრუნჩხვა  
 მქენჯნის,  
 სიმებ-გაწყვეტილ არფის ფეხთან ჭკნება მიმოზა.  
 ისევ მთელდება ნელი გვემის ნამსხვრევი მენჯი,  
 ისევ ქირქილებს, გესლს ღვრის გველი-მეტამორფოზა.  
 ცა ინავლება, შორით აფრქვევს არაფრის ჩანჩქერს,  
 მასზე დღეები კიაფობენ: ნისლის გლორია.  
 ის, რაც მიყვება მარტოობას და ხსოვნის ღანქერს,  
 განშორებული ერთმოსილის მარად ორია.

16.01.2009 წ

### გაელვება

ჰაერი დნება შუქში ბრმის გაგიჟებულ ნდომით  
 ტბის ბროლის გირღანდებით გასხივოსნებულ თვალის.  
 არც ნაღველის დრო არის, არც მფარველთ ფრთების  
 კედომის.  
 ერთიანია სულში წარმავალ-წარუვალი.  
 ვერ გამოადნე სიტყვა გრძნობის მზისსადარ ღველფში,  
 მოგაქვს ლოდინი ზამთრის, შეხვედრას გამომცდარი.  
 იცანი ორეული ღამის უნაზეს ელფში,  
 ის არ ყოფილა ღანდურ სიზმრის ნისლებით მცდარი.  
 სიმაღლის სიმსუბუქით შეიფრთხიალა ნერვმა,  
 არაფერია, გარდა სულში ეთერის კრთოლვის.  
 სიმების ჩქამში თრთოდა ფოთოლივით მინერვა\*  
 და შენ მიგქონდა წმინდა ბარძიმი უცნობ ლტოლვის.

01.2009 წ

**შექმნა**

როიალი ელოდება, ელოდება ხელებს,  
 როგორც თითების შეხებას სიყვარულის აღი.  
 ვინ შემოვა სულში ნეტავ და ვინ აამღერებს,  
 ვინ დაარღვევს უანკარეს დუმილს წარუვალის?..  
 მან სიჩუმის მელოდია ვერავის ვერ ანდო,  
 მუსიკაზე წმინდა მხოლოდ გალობაა ჟამის –  
 დაუსაბამოდ წელვადი უწყვეტი გლისანდო\*,  
 მიღმიერი მდინარებით მარადიულ წამის.  
 სიმმა იგრძნო გულის ძგერა რხევით თანამქლერი.  
 იყო მხოლოდ ამოკვნესა სიჩუმის და შეება.  
 როიალთან ადაჟიოს წირავდა მალერი  
 და ჟღერდა მუსიკა, როგორც პირველ დღის ქმნილება.

06.01.2009 წ

**მუსიკა**

კლავიშები დუმან, დუმან, დუმან  
 და დუმილში უხილავ ხელს ხმობენ,  
 რომ ელიან ნათელ, ფერმკრთალ შუმანს,  
 რომ ელიან ობოლ, ყრუ ბეთჰოვენს.  
 მელოდიამ აიკეცა ფრთები  
 და შეირხა სიმთა გაოცება.  
 ელეგიად ისევ გაფითრდები  
 ჭრილობების ძნობით შეხორცება.  
 როიალის ჟღერდა შავი სენი,  
 როცა ბაღში ფოთლები ცვიოდა.



ჩქეფდა სევდა მინორში შოპენის  
 და მუსიკას ბგერები ტკიოდა.  
 პასაჟების სიო დო-დან დო-მდე  
 კლავიშებზე გასრიალდა სხარტი.  
 სიმები ისროდნენ თეთრ აკორდებს  
 რექვიემში მწუხარე მოცარტის.  
 კათედრიდან განფენილი მესა  
 ორდანის ხმოვან სვეტებზე დადნა.  
 ის მუსიკას, როგორც უფალს ესავს,  
 როგორც თეზევსი ძაფს არიადნას.  
 ცა თუ ჰქონდა მზის ვარდთა ნანახი,  
 ასეთ განცდას ბგერა-გრძნეულ სმენის,  
 ანდრომედას ლურჯ სპირალში ბახი,  
 როცა ხვევდა ფუგას არსქმნის ენის.  
 შენ ჩამძირე შავო როიალო  
 ტოპაზებში კლავიშების შუქთა,  
 სადაც სიყვარული ისე გალობს,  
 როგორც დასი უსხეულო სულთა.  
 ხმების ქაოსში დანთქმული ნოტი  
 ხუთ ხაზს აჩნდა იმ უძველეს ცოდვად,  
 გალობაში უფალ საბათის,  
 რითაც ორთა ძნობა იქცა ბოდვად.  
 სინანულს თუ შერჩა მხოლოდ ის ხმა,  
 გადაწყობილ სიმთა ბედისწერად,  
 ახალ აღთქმის ჰიმნი რომ მოისხა,  
 სოდომიდან ლტოლვილ გულის ძგერამ.  
 ქარატეხილ ზღვებზე წვიმის თქეშის  
 აბორგება მის მოტივს იხსენებს,  
 რადგან მოკლულ ჰანგის სამარეში  
 ზეშთა ჰარმონია განისვენებს.

გიორგი ჭყონია – „დახშული სივრცე“

რადგან უფლით იბადება სული  
და მასში ჰპოვებს სიცოცხლეს იგი,  
არის ქვეყნად, ქრისტეს სიყვარული,  
როგორც სიყვარული ზესთ-მუსიკის.  
ვიოლები შრიალებდნენ ჩუმად  
ხეების ჩრდილებზე ბაღში ვენის.  
დაკარგული ჰანგი წვაავდა შუმანს,  
მას ეძებდა ქვეყნად ბეთჰოვენიც.

22.12.2009 წ

### ზამთრის პირას

ქარვისფერი გზა მზის თმით ქსოვილი  
შორ დასალიერს ედაისება.  
შემოდგომაა ქარით ლტოლვილი,  
მიდამო ფოთლის თოვლით ივსება.  
მან მისახსოვრა ბრწყინვალე გამა  
ნარინჯში ლალის მწოთოლვარე ფერის:  
ყვითელი სევდის წყლის ამაღვამა,  
სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლით ნაჯგერი.  
აჰა, ფოთოლი ღვერფლის ასფალტზე,  
ო, ბედი არის ავი და მკაცრი.  
ფიფქი გაჰკივის ყინულის ალტზე –  
„სიცოცხლეს ყოფნას იგი არ აცლის.“  
აჰა, ხეები გაძრცვნილი ბაღის,  
ლუტი\* სიშიშველე წუწუნებს ქარში –  
„მზეს სხივის დარჩა აქ ყაისნალი  
და შემოდგომის ლანდი სიზმარში.“

06.12.2009 წ

## ქარის მეგობარი

მარტი მოვიქნევ ფრთას გამწარებით,  
 „უნდა წახვიდე“ – შემიტევს ქარი.  
 „დროა ავდრების დასამარების,  
 სამძიმარს მოვა ყვავილთ ამქარი.“  
 „რაო ტაროსო\*, რატომ მეცველები,  
 იქნებ ვერ მგუობ ჯიშს უზამბარის?..\*  
 ისე არ წავალ, გარდავიცველები,  
 ზამთრის არა ვთქვა შესანდობარი.  
 თუ გაზაფხულზე ვერ ვიმაისებ,  
 ვერ ვაკმევ მუშკ-ამბრს\* ვარდთა კალათით,  
 ზღვის ტევრში მაინც ჩავიდაისებ,  
 რომ დავთვრე სხივთა ტკბილ სამსალათი.  
 მდგარი შეხვედრა-განშორებების  
 კართან წინაშე მზის, ცოცხალ-მკვდარი,  
 კვირტს ყვავილად რომ ამოვეყრები,  
 მე მესაფლავე დამმარხავს ქარი.  
 მრისხანებაში სინაზეს ვმაღავ,  
 ატმის ყვავილში მწთოლვარე ნექტრის,  
 პეპლების ვქარგავ ფრთებს იდუმალად  
 და ცისმშვილდს ფერთა მამზებელ\* სპექტრით.  
 მე გოდება ვარ ამბოკარ\* ქარის  
 და მარტობის მისი ვედრება,  
 წუხილით ზამთრით დამზრალი ქალის,  
 არდაბრუნება რომ ეტირება.  
 მე თავს ვიგიჟებ როგორც სალოსი\*,  
 კაცი თვითმგვემი, ძაძებმოსილი,  
 რადგან მკლავს ტრფობა ქალწულ საროსი,  
 მზის ყვავილს რომ შლის, რტო-ჩამოქნილი.

გიორგი ჭყონია – „დახშული სივრცე“

არ დაიჩივლებს ჩემს სიბოხოქრეს,  
 მორჩილს და მშვიდს მხდის სულს თავქარიანს,  
 კითხვაზე, ვინ ვარ, ამოიოხრებს  
 და იტყვის, ქარის მეგობარია.  
 სტავრიტ\* შემმოსავს ნუშის ყვავილის,  
 ჩემს ონავრობას მადლად შერაცხავს  
 და დამენტება მკერდზე აპრილი,  
 როცა უსულოს ჯვარს გადამსახავს.  
 სიგიჟე ჩემო, და დაღონებაჲ,  
 შემინდონ, რაც კი შემიცოდია,  
 ჩემი სიცოცხლე რომ ემონება  
 ქარს, უსაზღვრობის ამ რაფსოდიას.“

### დამწვარი გვარნერი

ის მოვა მთავარანგელოზის ფრთასავით თეთრი,  
 მე დაეუხედე ჩემს ბუნაგში გამოკეტილი,  
 სისხლ-დათრთვილული და გულისხმით იმ ერთადერთით,  
 თუ დაესმევა ძველ სიცივეს ნეტავ წერტილი?..  
 მიწას შეყინულ ჭირხლივით კვლავ შემოვრჩი ზამთარს,  
 საწუთისოფლოს ვკვლავ ნოტების ხმა-შეწყობაში,  
 მდგარი შეხვედრა-განშორების შეუღებ კართან  
 და ველი, ველი მის გაღებას მარტოობაში.  
 კარი იღება, ვიდაც მოვა – სიცარიელე,  
 წავა და კარი იკეტება – ფეხის ხმა მხოლოდ.  
 მაესტრო, უაზრო მიმოსვლას ჩვენსას უშველე,  
 შენი ორკესტრის ყველა წევრის თავნება სოლოს.  
 მე კი დაგვარგე ვიოლინო ჩემი გვარნერის.

ეს დანაკარგი მე ძალიან ძვირად დამიჯდა.  
 ვინ ვარ, რიგითი ორკესტრანტი, იქნებ ვაგნერი,  
 მათხოვარი, მთელი ცხოვრება ხიდთან რომ იჯდა?..  
 ტროტუარზე თეფში და ჭიქა ნატეხით პურის –  
 აი, საგზალი და გამთბარი სიცივე არყით,  
 მონატრებაში უცხო ქვეყნის ვიზა-საგზურის  
 და გასვლის იქ, შორს, სხვა წარსულში სუეცის არხით.  
 ვზივარ მავთულზე შეთოვლილი ბელურასავით,  
 მანანასავით ისევ მიყრის ზესთარსი საკენკს,  
 ვჭიკჭიკებ გულში ატკივებულ – „საით, ო, საითს?“  
 ის კი მპასუხობს – მიტოვებულ სამშობლოსაკენ.  
 და ვეძებ ისევ ჩემს დაკარგულ სიმებს გვარნერის,  
 გულს კვლავ შემორჩა გაფრენილი ბგერების რხევა,  
 როგორც მძიმე ხვედრს მარად მდუმარ შემოგარენის,  
 სიტყვის თქმის ამო სურვილი და ძალისხმევა.  
 ვერ მივასწარი, ნაგვის ველზე ცეცხლს შეუკეთეს  
 გვარნერი სიმებ-გაწყვეტილი, გატეხილ ხემით.  
 ასე ნაგავში კვლავ დაფერფლა ცოდვამ სიკეთე  
 და გააცილა სატანური ნაღარის ცემით.  
 მიდის ძიება ჩვეულებრივ მონაცვლეობით  
 დღისა და ღამის მზე კი არ ჩანს, გმადლობ შენ ზეცავ  
 გზისთვის მუდმივ განსაცდელების და გამძლეობის,  
 და სიკვდილისთვის, რომ სასოობს მოსვლას უეცარს.

06.01.2009 წ

## ემპირია \*

მარად მომყვება შორი მუსიკა ბგერების აღზევებით,  
 ძველი სამყაროს ტალღებში დანთქმულ  
 მოთქმა-გოდების ექოდ.  
 ისევ მომელის ის უხილავი სხვა ცის ეთერულ ზღვებით,  
 მე რომ ხსოვნისთვის ციურ ქალაქის, მგზნებარედ  
 უნდა მექო.

მე ვირეკლავდი მითების სხივებს მარად მახსოვარ სულით,  
 მტვრად ვედებოდი გაუკვდავების სურვილს  
 მზის-სამარ ფილის.  
 ჩემში მქუხარებს ციხეთა ვნება ნასისხლარ გარდასულის,  
 ჩემში მწუხარებს ფრთაშეუსხამი ოცნება არყოფილის.

მე გამოვფრინდი ქაოსებიდან პირველ სინათლის სხივად,  
 საუკუნეებს გადაწვდენილი ხმა ვედრების და წყევლის.  
 პირველი ფიქრის ზღვა სიხარული დაცემის  
 გრდემლით მტკივა,  
 აღმოვთქვამ სისხლის ჰიმნებს და სიმით გაღადრული  
 მაქვს ყელი.  
 შევიწოვ სევდას, როგორც განგებას – ყოველივეა ერთხელ,  
 რომ ერთი არის აღფა ომეგა გამთლიანების არსში.  
 სულის მერდინში ვცრი ფერებს, როგორც სიტყვებს  
 წმინდას და მკრეხელს,  
 გადმოძახილით წარმავალზე და წარუვალ სანუკვარში.  
 უსუსურობის ფრთებზე ვგრძნობ ბუმბულს უძლიერესი  
 სხვა ფრთის  
 და მას ვავედრებ ლექსში გაფრენას ვარსკვლავს  
 გაყოლილ რწმენის

იქ, სადაც ვიყავ მე დასაწყისი ნირვანის და არაფრის, ჰანგებისათვის განხმული ყურის და უჰანგებო სმენის. მომეცა სამი გაუკვდავება: გრძნობა, ფიქრი და სული და მათ სიტყვაში მსურს რომ შევასხა მზემწვარ ფენიქსის ფრთები.

რა არის ლექსი, თუ არ ძიება დაკარგულ სიყვარულის, რა არის ჰანგი, თუ არა განცდა უუამო ცის მითების. მაიის მღვრიე მირაჟში ვეძებ ფარულ შემომქმედ ხელებს, ვინც უხილავად გამომზარდა და მაჩუქა საჭრეთელი, ვინც ფიქრის ძაფზე ამოსხმულ გრძნობებს ქროლვით მიმარტოხელებს,

სულში შთაბერვით საფირონალის ცეცხლის დაუშრეტელის. ციხე-ნანგრევთა ბურჯების მიღმა გზა ილანდება სისხლის, მივდივარ ცრემლის თავსხმა მერეხში და მტირალ ლექსებს ვფანტავ.

ვერასდროს დაეცლი ვნების ფიალას,  
სულში რომ გადავისხი,

ვერ ავიგლიჯავ სახიდან თიხით ნაძერწი კაცის ფანტომს.  
უშორეს მიღმურს სიტყვის ნაპერწკლებს ესვრის  
ცეცხლი უშრეტი

და მიბრუნდება ექო სულების რექვიემული ჰანგის.

მზით სულმონაბერ ირმის ნახტომში\* მხოლოდ არაფერს  
ვჭკვრეტდი,

რითაც პირველად აჟღერდა ზემთა შესაქმეს წმინდა ჩანგი.  
მის სიმზე ვხარობ, როგორც სიმღერა მიუწვდომელის  
წვდომით,

საზღვარ-ხლართების თავისუფლების მკვლელი  
წყურვილით მკვეთი

და ბუკთა ზარში მარადიული დაბადების და კვდომის,

მე მოვდიოდი უფსკრულის პირას განრთხმულ  
გზით ადამეთის.

და ერთობაში ყოველივესი, მესმოდა მარტოობა,  
განცალკეებულ ერთობლიობის მუსიკის სევდით კვნესა,  
ტაძრებ-დამხობილ ცოდვილ სოფელში სულის  
მიუსაფრობა,

უარყოფილი სიყვარულისთვის აქლერებული მესა.

ყოველ კილოზე მეტად რომ უყვარს მოტივი დაბრუნების:  
უძღები შვილის, შორეულ სატრფოს და დაკარგული ხატის,  
გამოცხადების, უიდუმალეს შერწყმით ორთა ბუნების,  
გამოუთქმელი ზე-სიხარულის სულით ნაანდამატი.

აქ გადის ზღვარი განხმულ ბჭეების, საყვარელ  
ქალთან შეყრის,

ჩამომჭკნარ ვარდში ნორჩი კოკორის მშვენიერების მჩენი,  
სიკვდილ-სიცოცხლის შავ განშორების უკანასკნელი მეყის\*  
და სასოების სულმხრწნელობისგან აღვსებით გადამრჩენი.

ამას უმღერის ორთა მიჯნაზე განმარტოების ღირა,  
უფსკრულებიდან მწვერვალებისკენ სიტყვა-ნატყორცნი  
სულთქმა,

ერთხელ რომ მოწყდა მზის სავანეს და წყვიადში ჩაიძირა,  
ამ კაემანზე და პირველ სიტყვად, „დამიბრუნდი“ რომ  
უთქვამს.

18.01.2009 წ



## ვოლჰ

## გალაკტიონი

ჩუმი ნაღველით მომწყდარი ცრემლი  
 შენ არ გშორდება, როგორც ზმანება.  
 შენ თითქმის იცი, თუ რა მოგელის,  
 რომელ მხარისკენ მიექანები.  
 მოვა მირკანი\* მწუხარე ქნართი,  
 ერთგული ძმა და თანაზიარი,  
 განუგეშებს და შეგმოსავს ქართი,  
 როგორც მფარველი თავაზიანი.  
 ლაჟვარდს მიაწვდენს ფიქრებს ოცნება,  
 შესავედრებელს შეწირავს სიტყვას,  
 რადგან იცის რომ შენი ქონება,  
 მხოლოდ ლექსია, ლოცვად რომ გითქვამს.  
 ვერ ამოწურავ ვნებით სიყვარულს,  
 სიზმრისეულ გზას საამსოფლიოს.  
 აყვავილებულს ჰგავხარ გაზაფხულს,  
 მისებრ მიელტვი შენ საიქიოს.  
 ხარ მარტო, როგორც სალოსი მწირი,  
 კაცი, რომელიც ყინვას განუდგა.  
 ცრემლი შეგიშრა, გული არ ტირის  
 და უსაზღვრობა თვალებს წინ უდგას  
 ღამის კივილი შეძრავს ვარსკვლავეთს,  
 ღამის გოდება წალეკავს ზეცას.  
 შეგინდობს დაღატს გაქცეულ პოეტს  
 იდუმალება ნამღერი ლექსად.  
 ბნელეთს ჩამოგლეჯს წყეულ ბრმა ფარდას  
 ღველფ-ქარიშხალი ფერად აფრება  
 და გადმოაფრქვევს ჩანჩქერებს ვარდთა

გიორგი ჭყონია – „დახშული სივრცე“

ფატა-მორგანას\* აკიაფება.  
 იისფრად ნაფიფქ თოვლის სუდარას  
 დაეფინება ზამბახთა წყება,  
 თეთრ უდაბნოში მქროლავი მარად  
 მანდილი შენს ლანდს აედევნება.  
 უხილავ მადლით ნაალერსები  
 მთრთოლვარე ხმებით ზეციურ ჰანგის,  
 დაგიტირებენ პირმშო ლექსები  
 გაწყვეტილ სიმზე ობოლი ჩანგის.  
 ქნარი გადარეკს საუკუნეებს,  
 ჩაესვენება მზე მგლოვიარე.  
 შენ გაფრინდები და ვარდისფერ გზებს  
 გაგისხივოსნებს მთაწმინდის მთვარე.  
 მოფრინდებიან ლურჯა ცხენები  
 მოაბედ ქარის მძლავრი თარეშით.  
 მარადისობად ჩაესვენები  
 მთვარის მაგია ეფემერაში.  
 კვლავ ვერ გაგიგებს წუთისოფელი,  
 ვით მქადაგებელს ახალი სიტყვის.  
 დარჩები სახედ შეუცნობელის,  
 სახელწოდება ზღვა გალაქტიკის.  
 მამა-დავითზე ჩამორეკს ზარი,  
 საფლავთან ვერხვებს აახმიანებს  
 და დღე იქნება, როგორც სიზმარი,  
 მთაწმინდა, როგორც ლურჯი სავანე.  
 მოვა უცნობი, ქალი საფლავთან  
 და დაგელვრება ცრემლების ჩქერი,  
 როგორც ოცნება უჩინარ თვალთა,  
 გამოცხადება შორეულ მერის.

03.1996 წ.

## ექსპრომტი

დრუბელ-ნისლში წვიმას მოაქვს  
 სევდა ნაქაოსარი.  
 ყოველივეს სულ სხვა დრო აქვს  
 ოცნებებში მგოსანის.  
 შენ გაყვები წვიმის ბილიკს  
 დვარ-ნაფშვენ\* ნაპირისკენ  
 და მირაჟში ფენილ ივლისს  
 ცაზე გაშლის ირისე.  
 შეგიჩნდება კაფეების  
 სიდაისე ლანდური,  
 თვალში ქალად ნაფერები  
 სხივები აქატური.  
 არაფერი ქვეყნად სხვა რამ  
 გულს არ მიეკარება,  
 თუ გაუღებ სულს თვალ-წკვარამ  
 ღამეს სათის კარებას.  
 ეზიარები უხილავს  
 წყვდიადებში ხილულის  
 და სულს შეხსნი რიდეს ფრთხილად  
 საკურნებელად წყლულის.  
 მელპომენეს\* არ ივიწყებ,  
 ხმლის და ნიღბის თავნებას,  
 ახალ როლის თამაშს იწყებ,  
 ძველი არ გენანება.  
 დრუბელ-ნისლში წვიმას მოაქვს  
 სევდა ნაქაოსარი.  
 შორ სიყვარულს სხვა გემო აქვს  
 მთვრალ ლექსებში რონსარის.

\* \* \*

ვუმზერ, ვაფასებ გარედან მას და  
 თავს ვეუბნები – „რაც არის, არის.“  
 მე რაღაც უხვად გამაჩნდა, მაკლდა,  
 რაღაც სათუთი, რაღაც საზარი.  
 მიზანგჭყო?.. ვინძლო გვიან არ არის,  
 გამოვასწორო?.. ახლა მით უფრო,  
 რომ მოდის ზვავის ზავით ზამთარი,  
 წინამორბედი ჟამის საუფლოს.  
 როცა ხატებთან დნება ყოველი  
 დანანება და ზრახვათა რიგი,  
 როცა უნდობარ ფიქრით მოველი  
 საშინლად უცხოს, სხვა თადარიგით.  
 როცა ბედითი საზღვრის ვკვეთ ტიხარს  
 და ცად მშვილდოსნის ვდრეკ ჩემს მშვილდ-ბოძალს\*.  
 იმ საწუხარის ვატარებ სტიხარს,  
 ლექსად რომ მშვა და ჰანგი მიბოძა.  
 მხოლოდ მადლობას გწირავ ყოველიერს,  
 სიყვარულისთვის უძღები შვილის,  
 რომ ჩემი წყლული გტკიოდა ძლიერ,  
 რომ მე ვიყავი შენი ტკივილი.

15.01.2010 ♡

## აღსრულდა, ახდა

ამაოდ ცდილობს ჩემს შეცვლას იგი,  
თუმც ვხედავ კანი სხვა ელფერს იკრავს.  
თავზე მეხვევა ყოფის წესრიგი,  
ცარიელ ჭასთან წყურვილს რომ იკლავს.  
მე თავს ვიტყუებ, არაფერი მსურს,  
ცხოვრების ტყუილს ამით თუ ვიტან,  
ვარიდებ გველის გაბმულ სისინს ყურს,  
სიცრუის წვიმას თავს ტელე-ციდან.  
მე ვესალმები უხმოდ ყოველ მგზავრს,  
სულისთვის მათი სიკეთე მინდა,  
გულს ვუსხლავ წყენებს, ვჭრი ბებერა-ჯავრს,  
სიმშვიდის ნართს ვქსოვ, ვით ქალი წინდას.  
მშვიდი ვარ, მშვიდი ჩქამივით სიოს,  
ჩემი პრობლემა ჩემივ თავია,  
ხშირად ვისხენებ დატანჯულ იობს,  
ვიცი სიკეთე ხშირად ავია.  
და როცა ჭიქას ჩავხედავ თვალში,  
ერთი-ორ სიტყვას გავცვლი იმ ქალთან,  
თავს ვეკითხები, თუ დავრჩი ვალში,  
თუ წაუუბილწე სულს ცოდვით კალთა.  
და როცა ვწყდები თავს და ქვეყანას,  
შევრდომილი მის უწმინდეს ხატთან,  
იქ უკან იხევს ყველა სატანა  
და ვიმეორებ – აღსრულდა, ახდა.

19.04.2010 წ.

## ხიდი

*ეუძღვნი ბექა ჭყონიას*

ამ ჯებირ-ტროტუარებს მიემტვერა სევდები  
 წარსულში გაკვალული ჭაბუკ ნაფესურებით.  
 ქუჩას ვტორავ ისე, რომ უკან არ ვიხედები,  
 კაეშანს რომ არ შევრჩე გავლილი სადგურების.  
 „მოდი შემსვი“ – შევისმენ აჯას კაფეებისას,  
 მომავლის მოგონების შევსვამ ღვინოს წინასწარ,  
 რომ საწუხარს შევცინო მტარვალ განშორებისას,  
 გზაზე არ შევჩვილო ეტლს, მოიმედე გარეწარს.  
 ოცნების ტოტებს ვუმტვრევ ნატვრის ამორალურ ხეს,  
 რა ვინატრ-ვიოცნებო, მკედარი გავცოცხლებულვარ.  
 ბალასტივით ვიცილებ, ქვეყნად რაც ავი ვნახე  
 და დირიჟაბლს ვუმიზნებ პარნასის სოსან ბულვარს.  
 ეგოიზმის ბროლის თასს ვუმსხვრევ ღულუნა ბავშვებს,  
 ჩემში რომ ონავრობდნენ აქილევის მძლავრობით.  
 ტირანი გალიიდან ვუშვებ სურვილის შაშვებს,  
 რომ არ ვწყევლო სიბერე წუწუნით გულჯავრობის.  
 ღვინის მძივის თითო წვეთს, თითო ლექსი ჰკიდია.  
 დარდის ხელებს ვუმტვრიე ღირწ\* შულერის თითები.  
 სიცოცხლე ჩემთვის მაინც სიხარულის ხიდია,  
 დემონურ ცის მესამე ცაზე გადაკიდებით.

22.07.2009 წ

## წარსულის შეგონება

როგორც განცდა უეცარი ხილვით თავს დატეხილი,  
 არ მტოვებდა მოუსვენარ დღეების ქარტეხილი.  
 ნიღბებს მასევე მოგონება ტონწასმულს და შეპუდრულს  
 სარკის ნატეხ ასტრალიდან-კომმარებით შესუდრულ.  
 მიზანსცენებში გახლართულ როლთა თამაშს აგრძელებს  
 წარსული და კვლავ გიჟივით მომძახის, მიქნევს ხელებს.  
 „დამივიწყე, დამივიწყე, როლი გამოიცვალე,  
 სხვა ახალი ფეერის ვნებებით განიმსჭვალე.  
 იცოდე, რომ საბოლოოდ ყველა კომედიაა:  
 ევრიპიდეს, სენეკას თუ წერეთლის „მედიაა.“  
 ყოველ წუხილს ამ სოფლიურს ახლა სიცილი მართებს  
 სიმახინჯის დამცინავი კომედია დელარტეს.  
 განსაცდელი მადგას თავზე, ვით მახვილი დამოკლეს,  
 ტრაგედიის შემდგომ, რაც ღმრთის ძე ჯვარს აცვეს  
 და მოკლეს.  
 ჰომეროსის და სოფოკლეს ცრემლების ზღვას დაიტევს  
 ერთი ცრემლი ავაზაკის დაღვრილი სასოდ ქრისტეს.  
 ტრაგედიის გადაჭრა და გააუქმა საზღვარი  
 გამოსყიდვის მისტერიამ წმინდა სისხლით და ჯვარით.  
 განიცდება ფარდა-ახდილ თეატრში კათარზისი,  
 ზეშთა უცხო სამყაროში დამკვიდრების საზრისის.“

02.02.2010 წ





### რვეული III

Vია (გაგლით)

„ჰოი, შენ თაფლმწოლვარე  
    წყაროვ მეუდაბნოისაო,  
შენ დახშული ხარ მეტყველისათვის და  
განხმული მაუნჯებლისათვის დუმილისა.  
ოდეს მოდის მაუნჯებელი დუმილისა –  
    აი ის ჰპოვებს წყაროს.“  
*ლოცვა ტოტისადმი  
პაპირუსი საღლიე 1,2,3.*

## წინარე ორგიაზმი \*

ატომური სადგურები ბლოკ-მიღებად დაინაცრნენ.  
 სილაში თოჯინა გდია უფანჯრებო, ლეგა\* სახლთან.  
 ტალახებში ჩარჩენილი მანქანები გზებს ვერ გაცდნენ  
 და დანგრეულ ქალაქს დამწვარ სხეულების სუნი ახლდა.  
 გატენალდა ტროპიკული წვიმით პირქუში ჯუნგლები.  
 წყლიან მთხრებლში\* ფეხნაგლეჯი ღპება გვამი ჯარისკაცის.  
 დაძვრებიან ჯურღმულებში ტყის ახალი მაუგლები,  
 სიცოცხლის ნიშან-წყალს ქვეყნად არსებობას რომ არ აცლის.  
 ბროდვეიზე ქერა თმებმა მოიტაცა მარტოსული.  
 ფორდში მუხლებს შემოაცვდა ქალს-მოწყურებული კოცნა.  
 მანჰეტენზე ღამეს ფანტავს მზე ილუმინატორული  
 და შტატებს თავისუფლების ქანდაკება ისევ ლოცავს.  
 ცათამბჯენების ხვრელები სიცარიელეს აფრქვევენ;  
 ლანდავ კედლების ნამსხვრევებს შავ ნისლებში აზვინებულს.  
 თავწაკრული თალიბები მიათრევენ ტყვიამფრქვევებს  
 და ბაღდადში ხალხი ჯიჯგნის სადამის ძეგლს მიძინებულს.  
 კამერა წითელ ხალიჩას მიაშტერდა მონუსხული  
 და აშოლტილ ფეხებს მისდევს ფრაკთა შავი ელვარება.  
 აღტაცებად მოქუხს ტაში აღ პაჩინოს და ოტულის,  
 ძია ოსკარს ისევ ძველი პოლიეუდი ენატრება.  
 პლანეტის კიდურ წერტილებს აკავშირებს გზა ტალღური  
 და კვამლ-ცეცხლში განფენილა ნეტარება ორგიათა.  
 ჭუბერის მთებს მოსდევს კვნესა სასოწარკვეთის, ბაღღური  
 მსოფლიოვ, გამოიღვიძე! მსოფლიოვ, დაგაგვიანდა!  
 მიაპობენ აქციების ზღვაში პროცენტებს ბირჟები.  
 შავ ოქროს დინებას მიაქვს ძლიერთა ფარული ომი.  
 მსოფლიოვ, შენ ისევ ზრუნავ, მსოფლიოვ, ისევ ირჯები

მიზნებისთვის საყვარელი ზე-იმპერიული რომის.  
 ისე ღრმაა ეს ინსტინქტი სარაჯების სხივ-ჩქევების,  
 ისე ელვური დიდება ოქროვან სრა-პალატების,  
 დრო ვერ ივიწყებს ზვაობას სიმაღლის ღმერთ-მეფეების,  
 ძალაუფლების ვნებაში კმაყოფილი გალადების.  
 და მარადიულ ძებნაში ტანჯვით მიწიერი სიბრძნის,  
 მიფერფლილა ელვარება იმ უზეესი წმინდა ხატის  
 მსოფლიოს ბნელმა ზრახვებმა იცის მხოლოდ რისთვის  
 იბრძვის,  
 რომ იწვება ღველფში ჯერაც ვერგაყოფილ მიწის ქარტის.  
 მოდერნიზებულ სისტემის ქსელებს ხლართავს ელექტრონი,  
 მუშტში მოიქცია ლურჯი ბურთი კომუნიკაციამ.  
 ახალი არაფერია და მეორდებიან დრონი –  
 გომორად ქალთან ქალია, სოდომად კაცთან კაცია.  
 როკ მომღერალს გვერდით უდგას პარტნიორად პავაროტი,  
 ვერდით სულს რომ აცოცხლებს დიდ რომანტიულ საუკუნის.  
 სტადიონებს ახლა ათრობს ექსტაზურობა ნარკოტის  
 და მსოფლიოს მას-კულტურის საპნის ბუშტის ასდის სუნი.  
 კინო, მუსიკა, თეატრი ახალ ესთეტიკას ბადებს  
 მონობით თავისუფლების და შოკის მომგვრელის კულტით.  
 სტრიპტიზიორივით იხდის შესამოსელს და პირბადეს,  
 როგორც შოუ-ბიზნესმენი მილიონერია მულტი.  
 ფესტივალებს და შოუებს ისვრის ცისფერი ეკრანი,  
 ვარსკვლავებს რომ აანთებენ თინეიჯერების თვალწინ.  
 კივის ბითლზების მაგიით ავარდნილი მოედანი,  
 მიდით ჰიპებო, სხვა ახალ ვუდსტოკებისკენ\* მხნედ გასწით.  
 აკლდამებში გაყურსულო მსოფლიოვ ზე-მითიურო,  
 ხარ მძინარე ვულკანივით პრეისტორიული ხანის,  
 რომ ამოსკდე ჯოჯოხეთად ახალ ნამგალის და უროს,

აღიმართო თავის ქალის მთებად სასტიკ ჩინვის ხანის.  
 მიდი მსოფლიოვ, ჩაები კვლავ მართონულ ფერხულში,  
 გამომგონებლის სიახლის უდრეკი ენთუზიაზმით.  
 ყოველივე მოსახდენი გათვლილია არნახულში  
 გზნებით იმ მოსვლის წინარე წარმართული ორგიაზმის.  
 მიდი, მსოფლიოვ, იქროლე ფანტასტიკურ ხვეულებში  
 ზე-სხივურ სიჩქარეების კვეთება-ძალმოსილებით.  
 ყოველივე დამშვიდდება კაცობრიულ საგულეში,  
 ყოველივე ქედს მოიხრის მზის წინაშე მორჩილებით.

03.09.2008 წ

### ერთი

მე ნერვი ვარ, მე ნერვი ვარ,  
 ვატარებ ნაზს და თან უხეშს  
 და მხოლოდ მაშინ ვარგივარ,  
 თუ წყაროში ვიგრძნობ უყეს\*.  
 მე ფიქრი ვარ, მე ფიქრი ვარ,  
 რასაც ვთესავ, იმას ვიმეი,  
 მიწაზე მყოფი მივქრივარ,  
 აქაური მე ვარ იქით.  
 მსწრაფი ერთ ადგილზე ვდგავარ,  
 მოზარდი კვლავ მიწაში ვარ,  
 მდინარე მე ჭაობს ვგავარ,  
 მაქვს შვეება და მაინც მტკივა.  
 ვმადლდები და კვლავ ვეცემი,  
 დადლილი კვლავ თავს ვიმაგრებ,

ბედნიერი ვარ ნაგვეში,  
 სიმართლისთვის თუ ჯვარს მაკრეს.  
 სიკეთეში ვხედავ ბოროტს  
 და ბოროტში იმ სიკეთეს,  
 თავს რომ მაინც ავლენს ბოლოს,  
 სიავით რომ კარგს აკეთებს.  
 სიყვარულს ისეთს ვაფასებ,  
 რომ არსებობს ჩემში სხვისთვის,  
 გულს რომ სულით ასუფთავებს,  
 სიმძიმე რომ მოხსნას კირთის.  
 ვერმიღწეულს მიღწეულად  
 ვთვლი, რადგანაც არ არსებობს  
 ქვეყნად შრომით მოწეული,  
 რაც სრულყოფას არსით ჩემობს.  
 მე მიველტვი იმას, რაც კი  
 გარეგნულად ძვირფასია,  
 ბრწყინვალეების მიღმა რაკი  
 არ ვიცი, რა შიგთავსია.  
 ყოველივეს მირჩენია  
 ფიქრი გულით გამჭვირვალე,  
 სულს განძად რომ შერჩენია  
 და სინათლით მოსავს თვალებს.  
 მე არ ვიცი, რაც კი ვიცი  
 და ვიცი, რაც არ მცოდნია,  
 რადგან შეცნობაში იმ ცის,  
 ჩემს გრძნობებს შეუცოდია.  
 მე ნერვი ვარ, მე ფიქრი ვარ,  
 სიმახინჯეს ვალამაზებ.  
 მე უფროთოდ ყველგან დაკვირვარ,

ქაოსს წესრიგთან ვათავსებ.  
 მე ხორცი ვარ, მე სული ვარ,  
 მტკივა და ამით ვგრძნობ შვებას.  
 მე ჭეშმარიტ „მე“-სთან მივალ,  
 ძველი „მე“ რომ შემეშვება.  
 და თუ ნერვებს ვერ ვიოკებ,  
 ფიქრებს მივსდევ სულის გვემით,  
 იმიტომ რომ ერთხელ მომკლეს,  
 უამს ჩემი პირველდაცემის.  
 რადგან ერთი გავხდი ორი,  
 სრულყოფილი არასრული,  
 ოფლით მოვრწყე ველ-მინდორი  
 სიხარულ-სევდიან-კრული.  
 ახლა მარტო, ყველასთან ვარ,  
 იმ ერთს ვეძებ ყველაფერში,  
 რადგან სტუმარი რომ წავალ,  
 ვიყო ერთი ისევ ერთში.

09.2008 წ

### მესამე

ქრება სინათლე... სიცარიელე  
 დაისადგურებს გაუსაძლისი.  
 შავი სტუმარი შემოგხვევს ხელებს  
 ყოველიფერის შთანთქმის ხალისით.  
 და როგორც ძილში მკრთალ სიზმრებს ფარულს,  
 იგრძნობ მიღმურის ყოფნას იღუმალს,

კვლავ გაცოცხლებულ, დროში გარდასულ  
 გამყინვარებას დღეების მდუმარს.  
 და სიახლოვეს იმ შორეულის,  
 მოცულს ცივი და მშფოთი სიხუმით,  
 როგორც ხატება და ორეული,  
 კვლავ რომ განაგრძობს ჯიუტად დუმილს.  
 მასთან შენც დუმხარ რა უნდა უთხრა  
 შენ საკუთარ თავს და „მე“-ს მეორეს,  
 მაგრამ მესამეს ხედავ აქ უძრავს,  
 სახეზე ღიმილს რომ არ იშორებს.

10.09.2008 ♡

### მე და მარტოობა

მარტოობავ, დადიხარ და ძველებურად მეძებ.  
 ნულარ მეძებ, განუყრელად მაინც ჩემთანა ხარ.  
 შენი სული ჩემს გულში ხომ მარადიულად ძევს,  
 მაშინაც კი, როცა დაგთმობ, როცა გადაგლახავ.  
 შენ მაფიქრებ და მანატრებ, როცა მაცნებებ  
 ჰალიკარნასს შუქ-შეფარულ სილამაზის ჩქერებს.  
 თავს ვერ ვადწევ სხივ-ჩანჩქერულ ხილვა-მოგონებებს,  
 როცა ჯერაც დაუწერელს მიგზავნი სიმღერებს.  
 შენ არც მეგობარი ხარ და არც მრჩეველი ჩემი,  
 უფრო ორეული თუ ხარ, თანამდევნი ჩრდილი.  
 ისევ ერთად მიგვაქანებს ქარამრიდი გემი.  
 ტაღლის მარად დაუღლელი, მსწრაფი მოლოდინით.  
 შეგიცანი სინანულში, მავედრებელ ცრემლში,

შენს საკურთხეველში ვწავადი მწუხარებას გულის და სიმშვიდეს ვპოულობდი შენს თბილ სამარეში, კვლავ აღმდგარი, ვით აღდგომის უცხო სიხარული. სულის სარკეს ენისღები და როცა მადნები, ვხედავ ჩემს თავს ანარეკლად შენი ელვარების და მესვეიან ფიქრების ჯიუტი ლანდები, შემოქროლვით მელოდიის უტკბეს მღელვარების როცა გაეჩნდი, ჩამიხუტე თვით მშობელ დედამდე, როცა წავალ, მხოლოდ შენ არ დამემშვიდობები, ანგლოზის ფრთის ქვეშაც კი მაინც ციდან ცამდე გამომყვები ჩემი არსი, მადლი და ცოდვები. შენ იმდერებ ჩემს ლექსებში სულის სუნთქვას ორთა, ერთმანეთთან გადაბმულებს რაც გეწავადა და გეწამდა, რაც არა ვთქვით სამუდამოდ, იმას, რაც გაცოცხლდა აღმაფრენა-დაცემაში უპვირფასეს წამთა. და რომ მოხვალ სამარესთან, შენ არ დამიტირებ, აღდგომამდე გამიხსენებ და იქროლებ ხსოვნად კაცის, ვინც სიმაღლით ზეცის ჭვრეტდა მიწის ძირებს, ვინც თვით უფალთან მისასვლელ ზე-გზად შენ გიპოვნა. რადგან მაგრძნობინე განსვლის წინა ბოლოჯამი, როცა მოგაქვს სასოება ერთადერთი, ზეშთა, როცა დაღადებს ობლობა, როგორც ცრემლის ნამი – „ღმერთო, მხოლოდ შენ მინდისარ, მსურს სიცოცხლე შენთან.“



## მე და ნილაბი

აღარ ვატარებ ნილაბს მორგებულს,  
 თავშეფარებულს ცხოვრების წადილს,  
 სახე მაქვს ერთი, რომ ფარავს ჩემს სულს  
 ნაოჭით შუბლზე სიხარულ-დარდის.  
 მიტოვებული, ის მაინც მხვდება  
 გარეუბნებში როგორც აჩრდილი.  
 ხან მეჩხუბება და ხან მშვიდდება,  
 რომ დავალ სოფლად ნილაბ-ახდილი.  
 „ჩემო ნილაბო, მე შენ მაკლიხარ,  
 მაგრამ უნიღბო სახეს ვეღარ ვთმობ.  
 მე რაც ვიყავი ერთდროს, შენც ის ხარ,  
 მაგრამ არ მსურხარ, რადგან აღარ გცნობ.  
 მიყვარხარ, რადგან შენც სხვად გიყვარდი,  
 როცა მცვლიდი და თავს მავიწყებდი,  
 როცა შენს ჩრდილში ის „მე“ დავმთავრდი,  
 ის, ვინც ცხოვრებას ახლად ვიწყებდი.  
 ის, ვინც შენეულ სიყვარულს ფლობდა,  
 ბანგ-მორეულს რომ წვაავდა ალერსით,  
 ფატა-მორგანა სულში უკრთოდა,  
 მღეროდა გულამომსკდარი ლექსით.  
 არა დამეებს, უკუნეთს ჭკრეტდა,  
 ამიერს სხივი რომ უქრებოდა,  
 ტკივილის ართქმულ იმ ტანჯვად კვნესდა,  
 შვების ლექსად რომ იწერებოდა.  
 ვინც ათას ნილბად გადაგაქცია  
 შენ ერთი ჩემი მეტამორფოზა,  
 რომელმაც უღმრთოდ ზურგი მაქცია  
 და სიმარტოვის სიბნელით მმოსა.

მოდი დაბრუნდი, შავ ფარს მოვირგებ,  
რომ გადაიქცე ჩემს ნამდვილ სახედ,  
მე და შენ მხოლოდ ეს შეგვარიგებს,  
ლეგეონ\* ნილაბ-მორგებულთ მნახველთ.  
ახლა მე თუ ვარ ნილბის ნილაბი  
და საწინდარი შენი სიცოცხლის,  
შენ დამანახე მე თავი რაკი,  
მე ერთდროს შენი სახების მორჩილს.“

22.09.2008 ♀

### ისევ თუ ელი

ძველ-ახალ აღთქმის ვინ ჩაწვდეს სიბრძნეს,  
თავს თუ შეიცნობ, გაგიმარჯვია,  
სანთელ-საკმოლვი თვის გზას გაიგნებს,  
შენთვის რომც იყოს ძალიან გვიან.  
არ მოგწონს ვიცი შენ მისი სახე,  
მაგრამ ხელთათმანს არ ესვრი ცივად,  
სიბრაზე მაინც ვერ გადალახე,  
როგორც სიმსივნე სხეულზე გტკივა.  
აპოკალიფსურ ველში ფსიქოზის,  
როცა იელვებს შენთვის სანთელი,  
სიმშვიდის ტკბილი კათალიკოსი  
მოვა ტაძრიდან, როგორც ნათელი.  
თვალეები ჯაჭვზე მონიტორების  
გაჰყვება სიკვდილს ახალ უწყებით,  
ჯარი ენების, სიტყვის ტორების  
დაგგესლავს, დაგჭრის თავდავიწყებით.

გაბმული არის ისეთი ქსელი  
 მსხვერპლი ბუზის და მკვლელი ობობას,  
 გაქცევას მისგან ამაოდ ელი  
 გაწბილება და უსასობა.  
 თუ მოუთმინე, შეუნდე იმას,  
 თუ აღმოგაჩნდა სიწმინდე ზეცის,  
 შენ ვერ მოითმენ ამ ხიროსიმას  
 სულის სიკვდილის, თარეშით მხეცის.  
 არ მოგწონს ვიცი შენ მისი სახე  
 და იგვიანებს მაინც ღუელი,  
 გულში სიბრაზე თუ გადალახე,  
 ისევ თუ ითმენ, ისევ თუ ელი?!

17.04.2010 წ.

### Voა\*

ჰო, ვოყელივე თავის გზით მიდის...  
 მეც მერგო ხვედრი ფრენა-რონინის.  
 მოგზაურს არ მყავს ეტიკი\* გიდი,  
 მავალს მარშუტით გამოგონილით.  
 მინებებული მანქანის სრბოლას,  
 არც ვეკითხები მძღოლს, სად მიყავარ.  
 ისე დაბინდდა და შეიბოლა  
 გზა, უკომპასო პატიმრად ვყავარ.  
 გაჩერებებზე უცნობ ხალხს ვხვდები  
 და ვეკითხები მისამართს ახალს  
 და მხოლოდ სადღაც შორეთში ვხვდები,  
 მისვლის ადგილი გადაილახა.

კვლავ ვერ მივედი ჩემს მისამართზე,  
 ვერ გავათიე ჭერის ქვეშ ღამე  
 და მავალს ათას დაღმართ-აღმართზე,  
 ერთფეროვნება ამ გზის მაწამებს.  
 ვაჩერებინებ მანქანას სადმე,  
 მინდორზე მე ვშლი პატარა კარავს  
 და ისევ კალმით განთიადამდე  
 შთაბეჭდილებით თეთრ ფურცელს ვფარავ.  
 დილის ღიჯლიცში ვარჩევ ნაცნობ გზას,  
 გაღიმებულს და კვლავ მომლოდინეს.  
 მძლოლი ფეხს აჭერს ისევ იმ ძველ გზას,  
 მარადის მავალს რომ მალოდინებს.  
 და მე მივდივარ და მე ვშორდები  
 მინდორს, სადაც ის დავდგი კარავი,  
 ისევ და ისევ რომ ველოდები  
 მასთან შეხვედრას გზით შემზარავით.

19.09.2008 წ

## წარსულის მონოლოგი

მერიკო ჭულუხაძეს

მე გამაცვილა წარსულმა და მითხრა: „ნახვამდის, თუ მოგენატრო, ნუ იღარდებ, მე დავბრუნდები, როცა დადლილ ფიქრს გაიყოლებ განთიადამდის და გაცოცხლებას ჩემსას ლექსში კვლავ მოუნდები. ნუ დამინანებ, ისე მოვალ, რომ ვერც მიხვდები, როგორ მოგტაცე ნერვის თრთოლა და ფიქრის თვალი. მე შენი ხსოვნის მფენ ტალღებში ხმად გაგიჯდები, რაც შენ აგისხნის თუ რა არის გარდაუვალი. სიყვარული და განშორება თანმხვედრი ვადით, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნით რაც გულს შიშად ატყდება, წარსულ-აწმყო რით სუნთქავს ანდა ის სხვა მყოფადი, არასოდეს რომ არ იწყება და არც მთავრდება. თუ გამიხსენებ მოგონებით, მშვიდად იყავი, დაგიბრუნდები სიხარულად მწუხარებაშიც, ხმად მარადიულ სიყვარულით მსუნთქავ ნიავის, სახებად შენი თანამდევი პატარა ბავშვის. შენ მაშინ იგრძნობ ჩემს შემოსვლას გულში უეცრად, ყველაზე მეტად ვაგლახად რომ გაგიჭირდები და მეტყვი მოდი, დამიბრუნდი დამეთა ზეცავ, ჩემო წარსულო მომავალო, მე შენ მჭირდები. მაშინ მიხვდები, რომ მე შენგან არც კი წავსულვარ, ყოველ ფიქრს, ზრუნვას ხვალინდელზე რადგან გითბობდი, ჩემს გაწბილებას, ცრემლორეულ სევდას და ურვას იმედს გჩუქნიდი, რადგან ჩემს ხატს არასდროს გთმობდი.

## სიჩუმე

სიჩუმევე, ტკბილო მეგობარო, ძმავ ერთადერთო,  
 მე ყურდახშულს ხომ არ მესმოდა დუმილი შენი.  
 მარადიულო მეტყველებავე, მუნჯურო, მკვეთრო,  
 მე ყრუმ გავლიე შენს კალთასთან ფრთამალი დღენი.  
 შენ შთამისახე სასოება მართალ სიტყვაზე,  
 ნუგეშისცემავე უმეცრების ჭეშმარიტ სიბრძნით.  
 შენ მპასუხობდი სოფლის ყოველ მძაფრ შეკითხვაზე,  
 იღუმაღ-მცოდნე მჭკრეტელობავე ქურუმი მისნის.  
 როცა მასწავლე დუმილი და დროული სიტყვა,  
 გულით მოსმენა უჩინოს და გამოუთქმელის,  
 მე ვერ შევძელი გამოსატვა იმის, რაც ითქვა,  
 ვერ გამოვცალე ახალ თასით ღვინო უსმელი.  
 იქნებ ყოველი შფოთვა სულის მე შენში ვშთანთქა,  
 შევისისხლხორცო ეგ სიმშვიდე მაცხოვნებელი.  
 ავირჩევ დუმილს, უნებლიედ შენ რომ არ გაგთქვა,  
 ის, რაც მაუწყე, არ წავბილწო სიტყვით მკრეხელით.  
 შენ შეყვარებულს გულწრფელობის სიწმინდით ამკობ  
 და უთქმელობის ცეცხლით აგზნებ, რაც სათქმელია,  
 უსიტყვო მზერით სიყვარულის, ყველაფერს ამბობ,  
 რადგან იგი გშობს, ვინც თვითარსით უცოდველია.  
 შენ აფუძნებ და ადგილს უჩენ ყოველს ქაოსში,  
 როგორც გონების განათება და ღვთივგანბრძნობა.  
 ხარ მიღმიერის ჰანგ-ტკბილობა სააქაოში  
 და შენში ისმის ძალ-დასების ციერი ძნობა.  
 ფიქრის მოდრეკა მშილდივით ხომ შენს მიერ ხდება,  
 ის, რაც გულს განბანს სინანულით, შენი ხელია,  
 რაც ჩუმი ტრფობით იბადება, ჩუმაღვე კვდება  
 და ეს სიმუნჯე ხომ ყველაზე მჭკრმეტყველია.

შენ ამხელ ყოველ ფარისეველს და ამპარტავანს  
და სიბრძნისმეტყვეელს მიანიჭებ წმინდა ღირსებას,  
ახარებ მართალს და აშინებ სიცრუით მავალს,  
შენი სიწმინდის წიაღში კი სიტყვა იშვება.  
ერთს გთხოვ, გაჰფანტე ეგ ქაოსი თავში ფიქრების  
და მსოფლიური მძვინვარების დაახშე ბორკვა,  
მორჩილი სულის მოსვენებით შენში ჩაეჭრები,  
იქნებ გამიძღვე ზე-ნათლისკენ მემარგე\*-მოგვად.

13.12.2008 წ

### სიკვდილის ქორალი

რიტმი წამის ტირანიას მორჩილად ქედს უხრის,  
დრო ისრებით მოხაზულ წრის ჯაჭვით ბორკავს სივრცეს.  
სინათლეს სხივის საბელზე ჩამოახრჩობს მწუხრი,  
რომ მკვდარ დღისთვის უნეტარეს ღამის კუბოდ იქცეს.  
ღამეს ქმნის ბნელ-ნათლის მეფე, რომ სხვა ღამე მოკლას,  
აქ რომ დღეს დაასამარებს, იქ აღადგენს და შობს.  
მზე სიკვდილ-სიცოცხლის გრძნეულ, შმაგ პა-დე-დეს\*  
როკავს  
და შენ მის სარკეში ხედავ ამ ბალეტის ნაყოფს.  
ოთხი საწყისის მწველ ბგერებს რექვიემი კრეფდა  
და მზის ორღანს წვაავდა ზღვაზე ტალღების გოდება.  
მრუმეთი სიკვდილის ქორალს საწურთოს უმღერდა:  
„სცოდე, რადგან რწმენა იტანს ყოველ შეცოდებას.“  
რამდენ ხანს უნდა ვიყო შავ პროცესიის მეკვლე,  
განწირული ბალდახინი უამის მკვლელ ხვედრისთვის?..

ფიქრები დღე-ღამის რხეულ, მწარე ტრელით\* რეკდნენ  
 უპასუხოდ შთენილ კითხვებს: „ცაგ, როდემდის, რისთვის?  
 ცა კი დუმს და ამ დუმილით თითქოს გაძღვეს პასუხს:  
 „შეხედე რა ღამაზია და მშვიდი ბუნება.  
 იგი მოსულის წასვლაზე არასოდეს არ წუხს,  
 რადგან გარდაუვალია იცის დაბრუნება.“

31.07.2009 წ

### პირამიდა

უამს ეჭიდება ქვა მღუმარებით,  
 ქედმიბჯენილი თაღს მარადისის  
 და როგორც სურვილს გაუკვდავების,  
 ეგვიპტეს წვაგდა მზე-სერაპისი\*.  
 მუმბიასავით სთვლემს პირამიდა,  
 იღუმაღება სფინქსს ფეხს უკოცნის,  
 ისმის ტაღღების ხმა ბნელ უამიდან  
 უამს გაცდენილი ღმერთთა ნილოსის.  
 და მისტერიის ცით ჩაიზიდა  
 ქურუმთა ცოდნა ბნელ პალატებში,  
 დაუნჯებული კალთით იზიდას\*,  
 მკვდარ ოზირისის\* ძვალ-სალაგებში.  
 სად გაქრა ცოდნა ზესთ-სამზეოსი,  
 რომელ ცაშია ან სად დამიწდა?  
 იქნებ მუმბიად იქცა ხეოფსის,  
 დროში გაქვავდა, გაპირამიდდა.

21.03.2009 წ



## ოქროს საწმისი

აიას ცაზე ამომწვევრვალდა  
 ოქროს საწმისის მზე სხივ-მკრთოლვარე.  
 აიაგუნდდა პონტოს\*, ააღდა  
 და ფაზისს განბანს მკერდს სისხლ-მღელვარეს.  
 ქურუმებს უხმობს მზე აიეტი,  
 თურმე შობილა მედეა წუხელ.  
 დღესასწაულობს ოქროს კოლხეთი,  
 ღმერთებს ვერძს სწირავს, სიხარულს უმხელს.  
 დიადი მიზნით ატალღებული  
 სწრაფვა შემოჰყვა ლურჯ ფაზისს „არგოდ,,  
 საუნჯე ცოდნით ნათელღებული,  
 სამუდამოდ რომ გადაიკარგოს.  
 მედეა გრძნეულ-მისნური ხვანჯით\*,  
 ტრფიალის ნიშნად გასცემს იღუმალს  
 და იასონიც საფრთხით ნატანჯი,  
 მას დაუფასებს სიყვარულს უმაღ.  
 ახლა აფრები ტალღების ზავით  
 აპობენ სივრცეს თავისუფლების.  
 ზეიმობს ოქროს ტყავს არგონავტი  
 და მანქანებას\* ორთა სულების.  
 და უძველესი, ვიდრე ელადა,  
 ნაპირი სევდით ზღვას გასცქეროდა.  
 შორს მწუხარების ჭვირი\* ელაგდა  
 მზე-კოლხურ სულში საწმისის დროთა.

## მითი

„ეს გული შენი მოიმედეა,  
 გრძნეულო ქალო, ნაზო მედეა.  
 რომ მოგვედეს ახლა აიეტია,  
 გულში რისხვა რომ ვერ დაეტია.  
 მიგვაქვს ელადას ოქროს საწმისი,  
 სიყვარული ვსვათ ლაღის სასმისით.  
 ეს სიყვარული ბოლო დღემდეა,  
 ჩემო მხსნელო და მზეო მედეა.“  
 აწ იასონი განგმირულია,  
 მოირას მიერ განწირულია.  
 ხოლო მედეა ოლიმპოს ბაღებს  
 თვისი მშვენებით ამკობს, ალაღებს.  
 სად არის ახლა ოქროს საწმისი?..  
 მითი თუ არის ვანი აწ მისი.  
 არც კოლხეთია და არც ელადა,  
 არესის ჭაღად\* რაიც დელავდა.  
 არც ოქროს ღვარი და ღაისია,  
 იქ ახლა ვარდთა ქუთაისია.

01.04.2009 წ

### ორფეოსის ღირა

ევრიდიკე, ევრიდიკე,  
 გალობს, როგორც ანგელოსი,  
 ჰადესისკენ\*, ჰადესისკენ  
 წამოსული ორფეოსი.  
 ახლაც დარდობს მისი ღირა  
 უკან მოხედვის დანაკარგს,  
 წყვილიადში რომ ჩაიძირა,  
 მიაქვს ლეთეს\* გრძნეულ ნაღვარს.  
 მესმის როგორ იჰანგება  
 იმ შორეულ ტრფობის ექოდ  
 ღირის მწუხარე განგება,  
 პოეზიას რომ შეეხო.  
 და მეც ლექსი, გარდუვალი  
 განშორების ანარეკლი,  
 დაკარგული, ძვირფას ქალის  
 დარდით მომძიმარი ეტლის.  
 ვწუხვარ ნისლით შესუდრულის  
 მონატრებას სამზეოსი,  
 როგორც ევრიდიკე კრული  
 და კითარა ორფეოსის.  
 ვით პოეზიის ყისმათი,  
 სიკვდილს რომ უსწორებს თვალებს,  
 ჰადესში იმ მიზნით ჩადის,  
 რომ იხსნას ჯავარ-ბრწყინვალე.

11.03.2009 ♣

**აფროდიტე**

ყინულის წუხილს ჩამოგავს მისი სხეულის ნათება,  
 ზამთრის სითეთრის ვნებაში ფითრდება მისი ხატება  
 და მკვდარი ჟინის წყვდიადში თეთრი-ქვით დაიხატება  
 მარადიული სინორჩის სინაზე და აღტაცება.  
 თეთრ დაფნის ფოთოლს დაათოვს სხივ-ნისლოვანი დინება  
 და მორცხვ სიმრგვალებს ოცნების თვალებით დაეფინება.  
 აქ იბადება სიცოცხლის სიკვდილით აღორძინება,  
 ცივ მარმარილოს სუნთქვაში უკვდავ სულს ჩაეძინება.

01.2008 წ

**პოეზიის მისტერია**

სიკვდილი სუფევს ვით უბნელესი  
 და პოეზიის საღმრთო მაგია.  
 ის მისტერიით მოსავს ელევსინს\*,  
 სად საიდუმლო დიდი მარხია.  
 მოვა ქურუმი უმქრალ ჩირადნით,  
 აღორძინების მეტრფე პოეტი,  
 ქალწულ იზიდას საბურველს ახდის.  
 იღუმალ ცოდნის სიმარტოვეთი.  
 წინაშე ბნელით მოხილ საუნჯის  
 შეშდება სული და ირინდება.  
 იქ ორფეოსიც კი ხდება მუნჯი,  
 დაისი სფინქსს როს შეებინდება.

მაშინ სიტყვები კარგავენ ძალას,  
რომ ტოტ\*-ჰერმესის აღწერონ სახე.  
ო, მისტერიაჲ, რისთვის უკრძალავ  
ტრისმეგისტის\* ჰანგს მემფისის ბაღებს.  
პოეზია თუ შემორჩა ჩეროდ  
მისტერიის მზეს, ჟღერს იდუმალად,  
მაგრამ არ ძალუძს რომ არ იმღეროს,  
თავის თავს სხვას ის არ დაუმალავს.  
მაინც, მთავარი რჩება უთქმელი,  
განდობილივით სდუმს და აუნჯებს  
იმას, რაც არის შეუცნობელი  
ლექსის წყარო და წმინდა საუნჯე.

28.03.2009 ♁

### ესთეტი ანტიქრისტე

ოცდაცამეტის შეიქნა იგი,  
მეძავის შვილი დანის მუხლიდან.  
ცოცხალ გვამების მისდევდა რიგი,  
მსოფლიო ქუხდა და ქედს უხრიდა.  
გენიალურთან ეს სიბოროტე  
შეთავსებული სიამტკბილობით,  
ქმნიდა უახლეს ჯიშის რობოტებს.  
ოქროში ჩასმულ სულგახრწნილობით.  
დანის ეს მუხლი კვლავაც მრავალს შობს  
გენიალურთან ახლოს მდგომ ტალანტს.  
ასეთნი სურს და ასეთნი აწყობს

მონამშრომელად მწვანე სატანას.  
 ძველი ოპერის არიებს მღერის  
 აბადონური მზის პოეზია,  
 მშვენება, მაგრამ იმ ლუციფერის,  
 სიავით ვინც უსათნოესია.  
 მოვა ესთეტი ის ანტიქრისტე  
 და სიბილწეში იპოვნის წმინდას,  
 გაწოვნის ფაკირ და ქეჩ-ბაზ არტისტებს,  
 მშვენიერს ხელებს ბილწს შეაწმინდავს.  
 „ატმის ყვავილებს“ წვავს, აქცევს ფერფლად  
 და სვამს სიკვდილის ნაზ ამბროსიას.  
 ის ლექსებს ჰყიდის ოცდაათ ვერცხლად,  
 სიტყვის მოგვი და ანგელოსია.  
 ბელხებელი და თვით ლუციფერი,  
 ბელფეგორი და თუნდაც ლილიტი,  
 ბევრად უკეთ წერს ვიდრე ბოდლერი,  
 ავტორნი მრავალ ლექს მარგალიტის.  
 თუ ყური უგდუ, ჩაგიჩურჩულებს  
 იმნაირს, რომ არც დაგსიზმრებია,  
 ის ნოვატორებს წყალობს რჩეულებს,  
 ვინც რუტინის და ძველის მტრებია.  
 და მერე ასე გენიალურად  
 წაცდება ხელი ვარდ სიკვდილისკენ,  
 რომ გაუსწორებს თვალს პირშავ ლულას,  
 პოეზიის ძე და ანტირქრისტე.

### ჰალიკარნასის სიყვარული

ღამე გაწვა როგორც გველი და სისინებს ავად.  
 მცხეთის ჯვრისკენ მრევლი მიდის წირვად, სალოცავად.  
 ყოველივე ახსოვს ტალღებს თვალ-გოვარ რიონის,  
 პირველ არსქმნის შუქ-ქარვებაც პირველ ორიონის.  
 ბნელ მიდამოს რომ აღვარა სხივის ნაზი ქარვა,  
 ნიავექარმა მანგის სევდა ქროლვით განაქარვა.  
 მარტობამ იქ დაიდო მოგონების ბინა,  
 სადაც ჩემმა ბავშვობამ და სიყმემ გაიბრინა.  
 სიზმრებს მათოვს ახლა დამჭკნარ ენძელად და ვარდად,  
 მას მერე რაც მიიცვალა, უღმრთოდ გადაგვარდა.  
 აკვამარინის მახსნებს ლურჯი ტბების ელდას,  
 ერთხელაც რომ უტკბილესი კაეშნით აღელდა.  
 სონეტში რომ შეფარული ჰანგით მღელვარებდა  
 და მოტივის მოციმციმე ბგერით ეღვარებდა.  
 მპირდებოდა მიუკვლეველ, უხილავ სანახებს,  
 იდუმალი ზმანებების ზღვა რომ დამანახეს.  
 აწ გრძნობს სიკვდილში არყოფნით მსუნთქავ სასოებას,  
 რომ ვერ ჰპოვებს მონატრებულ, ბავშვურ სიტკბოებას.  
 და წლებით ხვეულ გორგალის გახსნას ელის კვანძის,  
 მიღმიერში ეგულება უპოვნელი განძი.  
 სადაც ელავს საფირონის ლურჯი ელვის კვალი,  
 ვით მარადიული აწმყო ლექსის მომავალის.  
 სიკვდილისკენ მიქცეული, რაც მიელტვის შობას,  
 როგორც უზენაეს ყოფნის სხვა უსასრულობას.  
 ვით ვარდ-ხეივანის ტერასებს ღეთაებრივ პარნასის,  
 სიყვარულს აკლდამაში მთქნარ მზის ჰალიკარნასის.

30.05.2009 ♣

## ფიქრს

ფიქრო გაჭრილო, დადლილო ძებნით,  
 სადაც არ უნდა გატყორცნო მზერა,  
 მაინც ერთ წერტილს, ერთ ადგილს ტკეპნი  
 სულში მთავარის თუ კი არ გჯერა.  
 რომ არ გქონოდა შენ რაღაც ნაკლი,  
 არ გექნებოდა სრულისკენ სწრაფვა,  
 ტვინს მოსვენებას როცა არ აცლის  
 შენი მუხტების მუდმივი ძაბვა.  
 რომ არ გქონოდა სხეულით სახლი,  
 შენ ჩაწვდებოდი უფრო მეტს ალბათ,  
 აზრებს მოქსოვდი სისავსით მადლის,  
 სურვილით ქმედით სიკეთეს ჭარბად.  
 შენ კარგად წვდები ყადრს მიწიერის,  
 დღევადევლობით აწონ-გაზომილს,  
 მაგრამ არ იცი ის მიწრიელი\*,  
 ვინც მიზეზია მახე-შეცდომის.  
 საზღვრავ და მიზანს ისახავ ხვალის  
 მათემატიკურ გათვლის სიზუსტით,  
 იმ ქსელებს ხლართავ ტყის გაუვალის,  
 ვერგაღწეულს რომ დაგცემს სისუსტით.  
 ისე გადახვალ აკრძალულ ბაღში,  
 მიგნებად ჩათვლი ცოდვას დამღუპველს  
 და მაცდუნებენ ხიბლის წიაღში  
 ჰპოვებ დაცემას ედემურს, პირველს.  
 გულის სახმილთან რომ გაწყვეტ კავშირს,  
 შენივ სიცოცხე ბოლოს მოგიდებს,  
 გამომწვევდელი ყინულის თავში,  
 სიკვდილის ნაყოფს თუ გამოიღებ.



მიზეზის ძებნას თუ შეეცდები,  
 დაგებინდება თვალსაწიერი,  
 ექსპერიმენტის გაჰყვები ცდებით  
 მასე-დაგებულ გზას მიწრიელის.  
 გულისხმას თუ ჰყოფ, არ მოგინდება,  
 რომ გააგრძელო უსაზღვროდ ფრენა.  
 მხოლოდ გულის ცრემლს თუ უბრუნდება  
 ის, რაც სულში შობს სიყვარულს ზენას.

07.09.2008 ♪

### სუნთქვა

ნურაფერს იტყვი, მდუმარებას რა შეედრება,  
 თუ კი თვალბში მე ვკითხულობ შენს გულის ძვერას.  
 უთქმელ გრძნობას ხომ იმ მუსიკის სენი ეყრება,  
 რომელსაც კურნავს სულის სუნთქვა, როგორც სიმღერა.  
 ამ სუნთქვას მე ვგრძნობ ქვიშის ჩქამში, ალვის რხევაში,  
 გლოვის ქვითინში, სიყვარულს რომ ემშვიდობება,  
 აუხსნელ გრძნობით მწველ ფიქრების შემოსევაში,  
 რაც მარადიულ წარმავალში არ მეორდება.  
 და თუ ამ სუნთქვას შენ შთაბერავ სიტყვას სტრიქონში,  
 ის გააგრძელებს როგორც ბავშვი სვლას სიცოცხლისკენ,  
 როგორც მემარგე დაუვალ მზის იერიქონში,  
 როგორც ლაზარე აბრაამის წიაღში ცისკენ.  
 ისუნთქე მხოლოდ, ისუნთქე და გააუკვდავე,  
 რაც უსათუოდ ითხოვს სიტყვას და არ ყუჩდება,  
 როგორც ტკივილი, რომ მიელტვის წყაროს სათავეს,  
 ორმაგ ფლეიტის\* სულთქმას რაც ვერ გადაურჩება.

13.06.2009 ♪

**უსივრცოს სონეტი**

შენელებული კადრივით მისდევდა იგი ცას  
 და იწვებოდა ლურჯ თაღზე ცეცხლოვან ხილვებად.  
 სად მიყვებოდა დრო სივრცეს, თვალნი ელოდნენ რას?..  
 ო, ყოველივე ერთადერთ ფიქრს ემორჩილება.  
 დღეები ცვლიდნენ ერთმანეთს ნაყშიან ფირის სვლით...  
 ვიღაც წარსულზე იღებდა სრულ-მეტრაჟიან ფილმს.  
 იყო სახეთა ორგია ნიღბისეული ცვლის  
 და იხსენებდნენ სიზმრები ცხად ყოფილ არყოფილს.

კადრების თოვლში მან იცნო ის, მისი მსგავსი მთლად.  
 ნუთუ ეს იყო ცხოვრება, ასეთი, ამგვარი?..  
 მას გაეცინა და სხივი მოადგა თვალს ცრემლად.

შორს კი რეკავდა საყდარი სხვა ზარით, სხვა ზარით  
 და გაწყდა ფირი გათავდა, უცებ მოიცვალა.  
 სად მიყვებოდა დრო სივრცეს, რომელიც არ არის.

### მხატვარი და აგნესა

საღებავები ათას ფერების  
 აირეკლავენ არსებას ჩემსას.  
 მოვხაზავ კონტურს თავდაჯერებით  
 და ულამაზესს შევქმნი აგნესას.  
 ჩემში ჩასახლდა იგი ფერთა ღერის  
 დაუნდობელი ნდომით და ღელვით.  
 ჭმუნვა, წუხილი მასზე ო, არ ღირს,  
 მხოლოდ ხორცშესხმა სულის შთაბერვით.  
 ჩემს სასთუმალთან გარდმოვა ფრთხილად,  
 ჩამოშლის თმებს და მესურნელება.  
 მან ჩემი ღვაწლი გააბათილა,  
 ამოდ ვქმნიდი როგორც ქმნილებას.  
 ის არ ბრუნდება ტილოზე ახლა,  
 სულ ჩემთანაა, აღარ მეშვება  
 საზღვარი ჩემში მან გადალახა  
 და ამით მკარგავს, მიდის, მშორდება.  
 „მე შენ მიყვარდი ოდესღაც სულთ,  
 ფერების თმებში ყვავილო კენტო,  
 მაგრამ მითხარი ჩემო წარსულთ,  
 შენ თვალი ჩემი რისთვის დაგენდო?  
 მე შენ მინდიხარ იქ, იმ ტილოზე,  
 ხელუხლებელი და უსასრულო.  
 შენ იქ ბატონობ სივრცეზე, დროზე,  
 აქ კი კანონით მათით სულდგმულობ.  
 დაგისაკუთრებს ანგარი ვნება,  
 არ იარსებებ სიწმინდის ხატად,  
 შენ სიყვარულის მოკალი ნება  
 და ხელმეორედ ის ვერ დაგხატავს.

ყველას ეკუთვნი იქ, აქ კი ჩემში  
 გსურს რომ იყო და ძლიერ მიყვარდე,  
 ქმნილებასავით ღმერთის ედემში  
 იყავი, რადგან ფუნჯით დაგბადე.  
 დაბრუნდი ედემს ტილოს ფერების  
 და ხელოვნების ტაძრის წმინდაში.  
 მე შენს ნათებას მოვეფერები,  
 მაგრამ ჩემეულ მზის პალიტრაში.  
 შენ სრულყოფილად არსებობ მასზე,  
 შეუბილწავი ხრწნილების ხვედრით,  
 რადგან მსახურობ იმ სილამაზეს,  
 რაც ქვეყნად მხოლოდ შექმნილა ღმერთით.“  
 გაფითრდა იგი, გაშეშდა მერე  
 ფრთხილად გამშორდა, ტილოში აღდგა,  
 შეერწყა ისევ საკუთარ ფერებს  
 და სხვა ელფერით გადაიქარგა.  
 ახლა ტილოდან ჩემი აგნესა  
 მიყურებს, გამჩნევ ცრემლს ვარდის ღაწვზე  
 და მეუბნება – მხატვარო გესაგ,  
 მე ტვირთი შენ ფუნჯისა მაწევს.“

## გამოსხნა

გამიყოლეს სუსხებმა სახმილისკენ ბნელეთის...  
 თავის ქალებს ხარშავდა ბანგ-ნაკლული ცხელება.  
 შავი ყაყაჩოების რძეს ღვრიდა საგველეთი,  
 ხორხებიდან ამომსკდარ სისხლს აქცევდა გველებად.  
 ვიღაც ჯერ გაუხრწნელ გვამს დამსკდარ ძარღვებს ათ-  
 ლიდა,  
 ბნელის კვეთით კრუნხვებში უსიკვდილო წამება.  
 არ ეშველა და მაინც ამას არაფრად თვლიდა,  
 ბოღმა კლავდა სიცოცხლეს, სიკვდილს და დანანებას.  
 გაქრა ფიქრი იმედის უტკბილესი სიკვდილის,  
 ძველ-სოფლიური ტანჯვა ცუდი შედარებაა.  
 არ შორდება წვა-დაგვა ოხვრას, როგორც ხეს ჩრდილი,  
 მისთვის ჯვარცმა, კოცონი ახლა ნეტარებაა.  
 ხილვა ჰქონდა ბელიაღს\*, როგორც ტკბილი ზმანება,  
 რომ იწვოდა ის ჯვარი, რომელზეც ძე კვდებოდა,  
 ჯოჯოხეთში არ იყო არავის ჭაჭანება  
 და სამყარო, როგორც მზეს ფეხქვეშ ეჩრდილებოდა.  
 როცა გაქრა ზმანება, იგრძნო მოვარდნა ქარის,  
 გაახსენდა მოწყვეტა ედემიდან და ფრენა.  
 ვარდებოდა ქვესკნელში სიმაღლიდან სიზმარის  
 და დაეწყო სიკვდილის შეუწყვეტი სისხლდენა.  
 ეს რა ხდება, თითქოსდა თვალს ცრემლები მოადგა,  
 გულში ძარღვი შეტოკდა და შვება ჩაიღვარა.  
 ვინ ჩამოდის, ხელს მიწვდის და მაფარებს თბილ არდაგს,  
 ხსნის ამბავს ვინ ჩამძახის ხმით წინწილის, ნადარას?  
 ახლა გალობს ებანი, მწუხრდება მოგონება,  
 კიდობანზე აღდება ფსალმუნების ეტრადი,

უსასრულოდ ივრცობა სიყვარულით გონება  
და სიმშვიდით ნეტარებს ხილვა ჯავარ-მზემნათის.  
ამოხეთქა და ჯარბის\* თავი ამოიწვერა,  
გასრიალდა ჩრდილივით ჩქამში ყაყაჩოების.  
„კვლავ მომიხვალ იქ, სადაც წარწყმედას აღარ სჯერა  
არც სიკვდილ-სიბოროტის და არც მზის სათნოების.“

30.03.2009 წ

### ლურჯ ბადისკენ

ხილვა-ხილვა, ფერადებად, ტეხილ-მრუდე,  
შუქ-საგრილით\* მეანდრივით\* იხატები.  
პალიტრაში უცხო ფერად ჩაიბუდე,  
ტილოზე ფერ-ნასროლ ლაქად იბადები.  
დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო-დ კლავიშების  
ნოტებში ხარ მელოდია ძველი ჯივის.  
გფარველობენ სევდიანი აფიშები  
მოგონებას რომანტიულ ბრამსის, გრივის.  
სიცხიანი, სტრიქონ-სტრიქონ, რითმა-რითმა,  
მტვრიან წიგნში წვეხარ აგადმყოფი ლექსი,  
რომ გაგრიყა თავს შემორჩენილმა ფიქრმა,  
ტემპერატურით გულის უმხურვალესის.  
იმპრესარიო-გამომცემელი შენი  
არსად არ ჩანს, მარტოობამ გიმეგობრა.  
ლუქსემბურგის ლურჯ ბადისკენ პოლ ვერლენი  
მიაბიჯებს პოეზიით მთვრალი ობლად.

16.10.2008 წ

## რეგული IV

**ბასიანით**

არ მოიგების გვირგვინი  
თვინიერ ტანჯვისა.  
*იობის წიგნი*

## ბასიანით

მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი,  
 წარემართნენ ქართველნი საომრად ბასიანით.  
 მიყვებოდნენ ქრისტეს ჯვარს დასნი ანგელოსთანი,  
 ურჯულთ ურიცხვი სპით იდგა რუმის სულთანი.  
 მიდიოდა თამარი უხამური\*, თმაშლილი,  
 მიუძლოდა მხედრობას ქრისტეს მსასოებელი  
 და დავითი მძლეეთამძლე ლომი ფაფარაშლილი,  
 ესწრაფვოდა რუქნადინს გულით დაუნდობელით.  
 ემთხვეოდა ყოველი მებრძოლი ყმა წმინდა ჯვარს,  
 კარგად უწყოდნენ, რისთვის მიდიოდნენ სამსხვერპლოს.  
 ავედრებდა თამარი უფალს ყოველ მეომარს,  
 ავედრებდა თამარი სრულიად საქართველოს.  
 და სალოსი ევლოგი ხილვით აღტყინებული,  
 ხელებს სამჯერ აღაპყრობს ცისკენ და გაიხარებს.  
 მაცნე მოვა ოძრხეში სახით გაბრწყინებულით –  
 ქართველებმა ბასიანს მტერს შავი დღე აყარეს.  
 მიდიოდა თამარი უხამური, თმაშლილი,  
 მიუძლოდა მხედრობას ლოცვით ღამენათევი.  
 ნიკოფსიით დარუბანდს ოქროსფრად გადაშლილი,  
 ბრწყინავდა საქართველო ღვთისმშობლის თანამდევი.

11.09.2008 წ



**მულღაზარი \***

ჩემი სახლი ქარატეხილ ზღვის მულღაზარია,  
 ანდამატურ მწვერვალების სდის ოფაზის ჭავლი.  
 მისი ენა, ზოსიმე ხმობს – იგი ლაზარეა,  
 ზე-კურთხევით რომ აღდგება, არ გაუვა ყავლი.  
 ოქრომტვერილ ტყავს გაატანს ეგეოსის ტალღებს,  
 მერე თმით შეკრულ ვაზის ჯვარს კრძალვით დაავანებს.  
 ვჭვრეტ გადმოღვრილ სხივ-მომანგე მზეების პარმალებს,  
 როგორც ერთი წმინდა ლავრის საუფლოს სავანეს.  
 ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერ შემუსრავენ –  
 ესე სიტყვა კვლავ ღაღადებს სამრეკლოთა ზარით.  
 ღვთისმშობელის კალთებიდან სულნი ხმობენ – ამენ!  
 გაბრწყინდება საუკუნოდ იგი მულღაზარი.  
 აქ ისხივება მზე-მნათი ცით წმინდა დავითი,  
 ყოველ მისაბაძ საქმეთა საღმრთო მაგალითი.  
 როდის იყო, ყოფილიყოს სიცოცხლის ხე მშვიდი,  
 საქართველო, ქრისტეს ჯვრისთვის ბრძოლის მეგალითი?

28.07.2009 წ

## დავითი

ორიონით წამოვედი  
 გზით ჯანლიან-ჯაგიანი.  
 გამოვფრინდი, ვით მიმინო,  
 ფრთა-მძლავრი, მკრჩხალ\*-ჭანგიანი\*.  
 ცას შევესწირე ზღვა-ოქსინო,  
 სტავრა, ზარქაშ-დიბიანი,  
 მზეს სხივები გამოვსტაცე  
 ოქრომკედის სირმიანი.  
 გელათს ტაძარი ავაგე  
 ქვა-თლილი, ზარნიშიანი,  
 თან შევამკე ჯვარ-ხატებით  
 ოქრო-ვერცხლ, ლალ-გიშრიანი.  
 მრჩევლად მიხნდა მე მუსაფი\*,  
 კვლა სიბრძნე დავითისანი,  
 სულის სალხენად და მოძღვრად  
 თვით სიტყვანი უფლისანი.  
 ხმალი ვლესე, სპა ვალაშქრე  
 თურქ-სელჩუკთა შესამუსრად.  
 მეინახედ გმირნი მახლდნენ,  
 ქვე ვუსხედით სისხლის სუფრას.  
 შემოვიქეც დიდგორს ძღვევით,  
 მაინც ურვა დამეუფლა.  
 გალობანი სინანულის  
 აღვუვლინე ლოცვად უფალს.

**ხარება**

დღეს, აქ ამ წუთას წყდება ყოველი  
 წმინდა წერილით განგებულების.  
 მე მფარველობდა სვეტიცხოველი  
 ზე-სიყვარულით ნაერთგულები.  
 მაგრამ მის სუნთქვას ჩემს სუნთქვას შერთავს  
 ვაზ-ლერწოვანი სულის ქენება,  
 რომ ამეხილოს ბანა და ბერთა  
 ქართლის საზღვრებში ნათლის მშვენებად.  
 და ფრთით გაფრენილ თეთრ ფილაკვანის\*,  
 მოვა ხარება თვალ-მანგი რიწით,  
 რომ დაირწევა ქართლში აკვანი  
 მამთლიანებლის ღვთისმშობლის მიწის.

25.08.2009 წ

**ქაფ-ციხის ხმა**

მოქუხს მდინარე, მძვინვარებს ხევი,  
 სისხლის წვეთები ცრემლში ნაზავი.  
 „ვარ ციხე ომის ქარით ნარხევი,  
 მასთან მე დავდე დროებით ზავი.  
 ასაკი მიტევს სანაცვლოდ მტერის,  
 მაინც ბურჯ-მტკიცე მე არ ვინგრევი,  
 რადგანაც მიცავს ლოცვა ეკვდერის,  
 სიტყვით დამცხრობი ავი სანქრევის\*.

არ დამღვევია მტრის შემოსევა,  
 გარს შემოჯარვა ქაფარ ბოროტის,  
 არ დავცემულვარ მაინც, ვით ევა,  
 მიღალატია მწყემსისთვის როდი.  
 მე გავუკვდავდი ბრძოლებში ხუსტით\*  
 თავსმოხვეული ხანძრის ჩაქრობის,  
 გადავრჩი, რადგან ვარ ჯვრით ნაკურთხი  
 და კვართზე ვდგავარ მარადისობის.“

25.05.2009 ♪

### ბიჭვინთა

ქვიშა ისრუტავს ცხელ სხივებს ხარბად  
 და ბეჟმედ\*-ხავერდს აფენს ფიჭვნარი.  
 უხსოვარ ხანის ღიღინებს ამბავს  
 ქაფ-ვარჯიანი ტალღა ნარნარი.  
 ანგელოზები წყალს ევლებიან  
 და ფრთით არხევენ შიმ-ჰაერ\* ტალღებს.  
 მალე მეუფეს ეახლებიან,  
 აღსავლის კარებს რომ გამოადებს.  
 მწყერ-მარხილივით\* ფრენენ ბაღებში  
 ქედან-მტრედები თეთრჯილოსანი  
 და სავანეთა ლურჯ სანახებში  
 მზირივით დაძრწის პირქუში პანი.  
 ოფაზი მოსავს გუმბათს ბიჭვინთის  
 და საკმეველი ეფრქვევა ფიჭვის.

მას დაუვალი მზე იაკინთის  
 ამზვარებს\*, სოსან ცეცხლად რომ იწვის.  
 ხსოვნა ინახავს ოქროსფერ მიტრის,  
 ეპისკოპოსის ჯვრის ბრწყინვალეობას.  
 პინუს-პიტეუსს\* თოლია მიქრის  
 და ზეცად ნათლის ძელი მალღდება.

2008 წ.

### სისხლიანი ლილიტი\*

დღეთა კრიალოსანი მარცვალ-მარცვალ ითვლება,  
 კუბოების გრძელ რიგში სანთლები ეღვარებენ.  
 ნიღბურ გარდასახვების ფიტულები ითლება,  
 თოჯინა რობოტები სპექტაკლით ნეტარებენ.  
 გულში ნადული სისხლი გაცდა თმენის სამანებს,  
 სადაც აუღებელი ციხის ბურჯი მალღდება.  
 ისევ ტკივა ჭრილობა თოროსანის სამარეს,  
 ტახტზე მორთხმულ სიშიშვლეს კი ეს არ ენადვლება.  
 ჯურღმულებში ოხვრა და წყევლა სუნთქავს ამიწებს,  
 ძარღვებზე მოქანავე გვამებს სახე შეშლიათ.  
 მეგალომანია კვლავ ბინძურ კაბას აიწევს,  
 სკამის ტრფობა მისთვის ხომ სინდისს არ დაუშლია.  
 ის ტაძარში სიყვარულს ხმობს და ანტიგმირია,  
 ქონდაქარი\* სისხლის კვალს ავლებს სკეერებს და შუკებს.  
 მას სატანურ წირვაზე მსხვერპლად შეუწირია  
 ბავშვი, რომლის სიკვდილსაც დედას ცივად აუწყებს.  
 შავი მესით იწყება ყოველი დღე ვიზიტის,  
 რაც ესკორტული ბრწყინვის თვალს აბრმავებს სიყალბით.

ტანჯვის წყლულებს კვლავ აზის საცოხნელად ლილიტი\*,  
 მხოლოდ თავის ჭკუაზე სხვების მართვაში ხარბი.  
 მეჯლისებით დადება უტიფარი ქენება,  
 პირამიდის მწვერვალზე იჯდეს ბილწი საჯდომით.  
 მას უღიმის მთვარობის მოყვარეობის სნება,  
 როგორც ქანდირ-ბაზ\* ნერონს სკიპტრით დამწვარი რომი.  
 ისევ ისმის შეკითხვა – მიწას ვინ ეუფლება,  
 სადაც სისხლი დაღვრილა მეომარი წინაპრის?..  
 დღეს არა აქვს ქვეყნისთვის ბრძოლას დაღლის უფლება,  
 რწმენა წყალზეც გაივლის, მიაღწევს ნანატრ ნაპირს.

25.05.2009 წ

### საჭადრაკო პარტია

ვინ ხარ, პაიკი, შარუხი\* თუ ის ლაზიერი,  
 ვინც მეფისთვის სული დასდო, ეწამა და მოკვდა?..  
 მიქრის ცხენი, როგორც ბაზი\* ოსტატ ბაზიერის  
 და შამათი იმ უეცარ, დამსჯელ წარღვნად მოსკდა.  
 მას შემდეგ მრავალ პარტიის ჩვენ მომსწრენი გაუხდით,  
 იყო დალატი, მონობა, რწმენა, თავგანწირვა.  
 ივერიავე, შენ ხომ ვერცერთ პარტიას ვერ აცდი,  
 მარადიულ ბრძოლას, რასაც მეფე შეეწირა.  
 მეფის შეწირვას თქვენ იტყვით, დამარცხება ჰქვია?..  
 ამ პარტიას სხვა თამაშობს, ვინც არასდროს აგებს,  
 ის, ვინც სამართლიანობის სვლას აკეთებს გვიანს,  
 ვის წინაშეც ამ სისხლისთვის ყველა პასუხს აგებს.

10.2009 წ

### უკვდავება

წარმოვსთქვამ სიტყვას-ტაძრის ლოდს, კირქვას,  
 ძველ უკვდავ მცნებას, ვით საქართველოს,  
 ჩემში რომ იშვა და აღმოითქვა  
 საგალობელად და სადღეგრძელოდ.  
 როგორი მწარე და სისხლიანი  
 ჰქონდა წარსული მამა-პაპური  
 და მაინც მოყვა ის მაღლიანი  
 სული ვაზის ჯვრის ცრემლად ნაჟური.  
 მაინც არ გატყდა ციხე-გოდოლი,  
 ვით ფარი მთელი საქრისტიანოს,  
 რომ იცლებოდა სისხლისაგან ბრძოლით,  
 განსაცდელთაგან ბედ-სატიאלო.  
 რომ იოტებდა ქაფარი მტერი,  
 გონიო\* ეპყრა ხმლის ნაცვლად ხელში,  
 აღსამართავად ჯვარ-მონასტერის  
 სასოებად და რწმენად ქართველში.  
 და აღაშენა ოშკი და ხანძთა  
 და გამოკვერა ხატი ღვთისმშობლის,  
 ვით სილამაზის შეგრძნება, განცდა  
 ცხოველი სვეტის სახების სოფლით.  
 ბაღნარჰყო იგი მარტვილი ტაო,  
 საგალობელით ჰანგ-ანაჟღერი.  
 შემოქმედების სულო უკვდავო,  
 შენ არ გაცლიდა ქმნას და ღწვას მტერი.  
 იგი დაჭრილი ურჯულოს ხელით  
 რომელ ველზეა, სად განისვენებს,  
 სად დაჭიხვინებს ტრედანა ცხენი,  
 ხმალშემართული რომ ვერ აგელვებს?..

რა გაიფიქრა მან სიკვდილის წინ,  
 როცა ტოვებდა ამ წუთისოფელს?..  
 იქნებ ისმენდა მშობელი მიწის  
 ჩურჩულს ნუგეშად, ვით სამადლობელს?..  
 და თუ არ ვიცი მისი სახელი,  
 მარად გუგუნებს ზარი სამრეკლოს,  
 რომ ქრისტეს სჯულის სისხლით დამცველი  
 სახელირქმევა თვით საქართველოდ.

16.10.2008 წ

## მე და შენ

*ედგენება ჩემს ძმას  
 შოთა ფოცხიშვილს.*

ტაძრისფერი ღვინობისთვე მოდის  
 ნელ სიოში შეპარული სუსხით.  
 ოქროს სთველო\*, ხეივლით\* გულზე ლოდის,  
 მე ვკვებდები, როგორც ხმალი მესხის.  
 იქნებ მაგ ნაჟურით განმაახლო,  
 პირველ მტევნად რომ დაიცრემლება.  
 ფიქრით შენთან ალაზნის ველს ვსახლობ,  
 ამარტისფერ დაისს რომ ეშლება.  
 ჰო, ვბერდები, თმებზე ქარვა მათოვს,  
 მზის თვალი რომ ჩადგომია მტევნის.  
 გაზაფხული თითქმის აღარ მახსოვს,  
 ქიტესა\* რომ ღვინობისთვეს მდევნის.  
 ვაზს ვკვიდე ზვარში ლალ-ყურძნებად,



ჩამომასხეს მურავაყიანი\*,  
 შემკრეს ოფაზ-თაველების ძნებად,  
 გაგხდი სთველი ფოთოლდარდიანი.  
 ახლა მტკივა ქარც\* სირმების გროვა,  
 მზის წნულად რომ გულს შემოეწნება.  
 ყაყაჩოსთმა ასულმა დამტოვა,  
 შენ მოხვედი ცრემლიან ძეწნებად.  
 ღვინისფერო ოცნებაო ჩემო,  
 ვარ ზამთრის ნაპირს მიწვენილი რქა.  
 იმ წარსულს ვგრძნობ ტკბილ ბადაგის გემოდ,  
 მაჭარ სიჭაბუკედ რომ წამერთოვა.  
 ღვინო მეღვრება გაფრენილ წლებად,  
 წარაფს ხსოვნის ელვარებით ვფერავ.  
 გულში სევდა ფოთოლივით ჭკნება  
 და ვსვამ მოგონებას, ვით საფერავს.  
 არდაბრუნების ნაღველით ვთვრები,  
 მარნის სურნელს რომ სდის ახდილ ქვეერთან.  
 წრიულ გზაზე ისე დავიღლები,  
 როგორც ნიშა ხარი კალოს კვერთან.  
 და ვიმღერებ ზვარს ატეხილ რთველის,  
 ოროველას სისხლად ავაჩქროლებ.  
 სთველო, მეც ხომ შენი ბედი მეღის,  
 ქარი მომწყდარ ფოთლებს გაგეაყოლებს.  
 ჰე, მამღერე მხნე ჩაკრულო სთველო,  
 სიყვარულის საწნეხელში მწურე.  
 ვაზში ჯვრად ვიპოვნე საქართველო,  
 მევენახედ როცა ვემსახურე.  
 ნინოს ჯვართან მუხლის ჩოქვით მოვად,  
 კალათს დავცვლი გულის ჭირნახულის

და ღმერთს შევთხოვ სიყვარულს უხსოვარს,  
 ია – მჭკნარი, შორი გაზაფხულის.  
 მზე დამხუნძლავს სხივების მტევნებით,  
 მწუხრში ჩავიღვრები ტკბილ ზედაშედ.  
 ჩვენ ერთნაირად, ერთად ვევენებით  
 სთველო, მე და შენ, სთველო, მე და შენ.

2008 წ

### მატიანეს ხმა

ხელზე მეწვეთება ცხელი კირის თეთრი ღვენთი,  
 თვალებს მეწამულ-ოქროსფრად შემოენთო ფრესკა.  
 ეს რა ტაძარი აიგო ღამის ქუფრის მკვეთი,  
 ქვანაზიდი რომ ამაღლდა მთაზე და ზარს რეკავს.  
 ჰოი, მესმის შორით მაცნე ქარის ბორგვა, შფოთვა,  
 ველზე შევი ნისლეების ქარავანი გაწვა.  
 წუხელ სიზმარეულ ღამის არ ცხრებოდა ბოდვა  
 და ქედებს სისხლის ღრუბელი გველივით დააწვა.  
 ველი ცხენების ფლოქვებით გადათელა რისხვამ.  
 თავი გაგორდა და სისხლის ყვავილმა იფეთქა.  
 ბედუინმა\* ხახა-მშრალში სისხლი გადაისხა  
 და მთვარის იატაგანი\* დაჰხაროდა მექას.  
 „წამომაცენეთ, ტაიჭი გამექცა და ვკვდები,  
 ორღესული ვერ დაგკარი მაგრად არჯალ\* ურჩხულს.  
 მეს-ნაქუხარ მტრის მოხდომას მკვდარი დაენებდები,  
 სიცოცხლისთვის კვლავ დაგუვლი სიკვდილს მეღვარ  
 ფერსულს.“

ციხის კედელს შეეხავსა სურო ნაზ-ფურცლება,  
 ზეცა შაბარდუხმა\* სერა და ყრიალით გაქრა.  
 იმ მეომარს ჭრილობები ადარ უხორცდება,  
 მან დრო ბრძოლა – სისხლის ღვრის გზით ველარ  
 შემოსაზღვრა.

დგას ციხე და მდუმარებით ჩქამობს სამურავის,  
 უცებ მხედარმა შეჰყივლა, გამოენტო ველზე  
 ცეცხლით თავად მეხის, ღვარცობ-ქარის შემმუსრავი,  
 რომ ააღდა მუშტად შეკრულ სამას არაგველზე.  
 სვავებმა გაიყრანტალეს და ლეშებს დააცხრენ,  
 მტკვრის გადაღმა ცას შეასკდა ყიჟინა და ზათქი.  
 მათ იბრძოლეს, გაწყდნენ, მაგრამ მაინც არ დამარცხდნენ,  
 არაგველებს იხსენებდა მცხეთას პატრიარქი.

04.04.2009 წ

### ვადღებრბელოთ

გამახსენდება არაყი,  
 მომიმენდება მე სმა რაკი,  
 – ბიჭო, ბევრს ნუ ლაპარაკობ,  
 სუფრა ვშალოთ საარაკო.  
 – არაყს რომ არ უყვარს სუფრა? –  
 მეგობარი გამეხუმრა.  
 – კარგი, ღვინო ჩემზე იყოს,  
 დავლევთ, გავფორინდებით თითქოს.  
 ქვეყნად ზვარ-ყანები იქოს,  
 მრავალჯამიერად იყოს.

პურიტ ღვინო, ღვინით პური  
 სულს არ ვაკლოთ საამური.  
 თამადად ბუღბული გვეყავდეს,  
 გულში ვარდი რომ აყვავდეს,  
 სიმღერა რომ არ მოგვაკლოს,  
 საზის ჰანგებს მიგვაახლოს.  
 მერიქიფედ შევარდენი,  
 რომ ვილხინოთ ფრენა-ფრენით.  
 მენახედ ხაიამი,  
 რუმი, ჰაფიზი, ნიზამი.  
 რომ გავლიოთ იგი დღენი,  
 პოეტური აღმაფრენით,  
 ყარაჩოხლური მოტივის  
 გადავცუროთ მტკვარი ტივით.  
 ვთქვათ ლექსი გალაქტიონის,  
 პოეზიის მეფე-მონის.  
 ისევ პაოლოს ლექსებით  
 შევსვათ ცისფერყანწლების.  
 ინდურ-სპარსულ-არაბული  
 ჰანგი თბილისურად თქმული,  
 მათ კილოს რომ აღარ ჰგავდა,  
 ხმით გამრავალფეროვანდა.  
 ვადღეგრძელოთ იოსების  
 ძველ-თბილისური დოსტები,  
 მესაზანდრეების დასტა,  
 მოკაეშნე ხმით „შიქასტას\*“  
 გავიხსენოთ საიათნოვა,  
 ლექსი საზის ძლით რომ ქსოვა.  
 ვადღეგრძელოთ რაც თბილისმა  
 სიყვარულით ითილისმა:

სიტყვა-მჭედელ პოეტებად,  
 ქართულ სულში რომ არ კვდება.  
 იმ უვარდო მუტრიბებად  
 ცას რომ გალობით ედება.  
 გაჭრილნი ბიამან-ველად  
 მშვენიერების სათხზველად,  
 ყველა წმინდანი თუ მეფე,  
 ივერიის და ღმრთის მეტრფე.  
 ყველა ვინც მისთვის სისხლს დვრიდა,  
 ხატს, სანთელს და ტაძარს ქმნიდა.  
 ის რაც ქართულ სულში იშვა,  
 ბგერად, ფერად, კირქვად, სიტყვად.  
 იგი ჯვარი ქართულ ვაზის  
 ღვთაებრივი სილამაზის.  
 მისი ნაუური მადლ-მფენი,  
 ლიტურგიის დასამშვენი.  
 ღვინო სულსაკურნებელი  
 და ნუგეშინისმცემელი  
 უფლის სისხლად მომდინარე,  
 რომ შეუნდობს და იწყნარებს.  
 მეფე მეომარ-მგოსნები  
 რომანტიულ მოგონების.  
 რუსთაველი და შავთელი,  
 პოეზიის დასი მთელი.  
 ოცდაჩვიდმეტს ვინც გადაყვა,  
 ხელისუფალთ რომ არ აყვა.  
 ვინც მათხოვრებს ეწეოდა,  
 ქუდით ხელში რომ მღეროდა.  
 ვინც ისე გადაიკარგა,  
 მოსაქარგი ვერ მოქარგა.

ისე აკენესებდა ქნარებს,  
 გაწირეს, არ შეიწყნარეს.  
 ვინც ამ სოფლიდან გაიქცა,  
 ლექსის მუზად გადაიქცა.  
 გადაიქცა „მე და ღამედ“,  
 სულს სინათლით რომ აწამებს.  
 გადაიქცა „ეფემერად“,  
 ლექსის სიმბოლო-სიმღერად,  
 აჩუქურთმა ჰანგი წმინდა,  
 პოეზიის ჯვარი ზიდა.  
 გამახსენდება არაყი,  
 მომინდება მე სმა რაკი.  
 – ბიჭო, ბევრს ნუ ღაპარკობ,  
 სუფრა ვშალოთ საარაკო.  
 – არაყს რომ არ უყვარს, სუფრა? –  
 მეგობარი გამეხუმრა.  
 – მაშ დავლიოთ, ჩვენ კახური,  
 ქართული, მურასი\* სურით.  
 ვადღეგრძელოთ სანუკვარი  
 სული პოეზიის მხარის,  
 წმინდა დავითი, თამარი  
 და საქართველო ფრთამალი.  
 ვადღეგრძელოთ მომავალი  
 სიყვარულის გზით მავალი,  
 გამთლიანებისთვის ქართლის  
 გამრჯეს მადლით მზის სიმართლის.

14.09.2008 წ

## ტყეს

ნეტავი იმ ტყედ მაქცია ახლა,  
 სავალალოდ რომ ბორჯომთან იწვის.  
 მე სინანული იმ ხეთა მახლავს,  
 ცრემლი ვაგლახად დაფერფლილ-წიწვის.  
 ვედინებოდი წყლად მძლავრ ფესვებში,  
 საროვ მორჩ-ნაზო და ზეანდანო,\*  
 რომ გესალბუნო ნაჭრილობევში,  
 შენში სიცოცხლედ რომ დავივანო.  
 გიკოცნი ფოთლებს და ხსოვნას ძვირფას  
 გაზაფხულების ვატარებ გულში..  
 მე ვიცოცხლებდი ღრმა ტყერში ირმად,  
 რომ ჩაგისახლდე მოჩირთულ\* სულში.  
 მე ვიძირები ზურმუხტ არეში,  
 რტომობლარდული\* ვიწვი უღემერთოდ,  
 რომ ავლორძინდე შენს მადნარებში,  
 ხევ სიცოცხლისა, ხევ ერთადერთო.

02.09.2008 წ

## ივერიისთვის

მე ნიავექარმა, როგორც ბილილა,  
 ბალახს მომწყვიტა ფრთა-შემართული.  
 მე სიყვარულის ცეცხლმა მიშვილა  
 და ვქროდი სულად მთების ქართულის.  
 ხეეებს, ჭიუხებს გადამატარა  
 ქარტყილების ტალღად აღძრული.  
 რამ დაახურა მიწას პატარას  
 ცა ასე წმინდა, ასე ტაძრული?  
 რამ მოადვარა წყალი მკურნალი,  
 სპეტაკ მწვერვალთა დაადგა თაჯი,  
 შემოადეღვა მადნართ სურნელი,  
 ზღვა კიმილიად\* ლალ-ალმას-მარჯნის?  
 ბერის ქვაბს ვლანდავ ფრიალო კლდეზე  
 და ვგრძნობ ფრესკების ღმერთ-მოსილ კდემას.  
 სხვამ რამ შემიქმნას აზრი ედემზე,  
 თუ არა ჯვარზე მზის დიადემამ?  
 რამ ამამღეროს საგალობელად,  
 თუ არა ჯვარმა ვაზ-შემოსილმა?  
 სხვამ რამ გამხადოს მადლის მფლობელად,  
 თუ არ ვარძიის კლდოვანმა სულმა?  
 გამაგებინოს ტბეთის, ხახულის  
 დვაწლ-სიდიადე მსგავსი შესაქმის,  
 სულის სიმაღლე ჯერ არნახული,  
 მაღიდებელი ღმრთის ყოველ საქმით?  
 რამ დამადონოს, ოფლმა თუ სისხლმა,  
 დაღვრილმა ქრისტეს რჯულის საცავად,  
 მეფემ მძევალმა და ქედ-მოხრილმა  
 თუ მოდალატემ ღირწმა, სულ-შავამ?



რამ მომაზღვაოს თვალებზე ცრემლი,  
 უსუსურ ჩვილთა უღმერთოდ ქლექამ  
 თუ უტადრებოდ დარჩენამ მრევლის,  
 მტერმა სანგრევად რომ გაიმეტა?  
 რომელმა ერთმა დღემ ნაომარმა,  
 ნამშვიდობარმა დღემ შემომქმედმა,  
 ყაენმა გულქვამ და ონავარმა,  
 ქართლის საოხრად მარად მოქმედმა?  
 ვით ვუპატრონო მიწას კურთხეულს,  
 დღესაც რომ მტრების საჯიჯგნი ქმნილა,  
 სიცოცხლის ალვას ქარით შერყეულს,  
 უფლის ნაკრძალში რომ დანერგილა?  
 როგორ ვატარო ამ ბეწვის ხიდზე,  
 სულის წარწყმედის ზღვარზე გადებულ,  
 რომ არ დაიდგას უღელი ქედზე  
 მონობის, სოფელს ცოდვით მორგებულ?  
 მესმის დიდგორით ყიჟინა ძღვევის  
 და ვჭკვრებ დაცვარულ ეტრატს მეფისას.  
 უმრთელებია ნაგლეჯ-ნახევი  
 ქართლის სხეული ხმაღს მესიისას.  
 მას ვერ გატეხავს და ვერ შემუსრავს  
 ყოველი მტერი, რაც კი ყოლია,  
 რადგან ღვთისმშობლის კალთები ჰფარავს,  
 ომში გიორგი წინ გაძლოლია.  
 რადგან უზრდია ისეთნი სულით,  
 ვით ქეთევანი, მღვდელი თევდორე,  
 მდინარეს მარად ბრძოლის წარსულით,  
 თერგივით ჯიქურს, მტკვარივით მღორეს.  
 რადგან ქვაშიც კი ეძებდა უფალს,

კლდეში ვარძია რომ უკვეთია,  
 სანთელს უნთებდა სამ-მზეს დაუვაღს  
 გზაზე, რაც მისთვის ერთადერთია.  
 მაგრამ თუ ბედის ჩარხის ტრიალი  
 ხშირად უკუღმა შებრუნებია,  
 მაინც აღმდგარა, ვით ქრისტიანი,  
 ჯვარს რომ უცვიათ, უწამებიათ.  
 მე სინანულმა შემმუსრა ცრემლით  
 და ცოდვილობამ წინაშე ღმერთის.  
 გცოდე საბაოთ ელი\*, ო, ელი,  
 შენ აღადგინე მამული მკვდრეთით.

03.07.2008 ♪

### არ ამოდ

*აფხაზეთში და სამახაბლოში  
 დაღუპულთა ხსოვნას.*

წვეთი წვეთს ეღვენთება და კერეონი\* დნება.  
 სინათლეო დაგფარფატებ, ვით ფარვანა კანდეღს.  
 სახლსა ამას მწამს, რომ მარად მშვიდობა იქნება,  
 ღვთისმშობლისთვის შესაწირავ სავედრებელს ვანთებ.

\*

საგონებელის გორგალი მუდმივად იხვევა  
 და მსურვალე გრძნობებს აღღობს გულის მწველი ბრძმედი:  
 ივერიის გოლგოთის გზა როდი განილევა,  
 ბრძოლა ურჯულობასთან სამების იმედის.

\*

მახლდა შიში, როგორც წყევლა – იქნებ გვიანია,  
უკანასკნელ ცრემლს ხომ არ ღვრის სასოება ღოცვის?  
ქრისტეს ჯვართან მსხვერპლად სული რომ მიუტანია,  
სასყიდელი არის ყოველთ ცოდვათა წარხოცვის.

\*

წუთისოფლის რა ვიწუხო, სამსჯავროზე მივალ,  
ამ გულს თუ არ ვუმკურნალე, სხვას ვის შევეწვიე?  
მიწის შვილი ვარ, რომელიც პაპთაითგან მტკივა,  
მტკივა მისი თითო გოჯი, მდინარე-ზღვა-ხევის.

\*

მე არ მივტირი მის წარსულს, რადგან მით ვამაყობ,  
რომ ღმრთის ძესაგით ჯვარცმული დაეფლა და აღდგა  
და ვლოცულობ გადასარჩენ მარაბდას და მარტყოფს,  
წმინდანებს, ვისი ნათელიც შარავანდად ადგას.

\*

ოცდამეერთეს ვითვლი და კომპიუტერს ვუმზერ,  
მონიტორის მიღმა მაინც იმის ნათელს ვხედავ,  
ვინც მომავალს მიმზადებდა სიმართლის გზის უმზესს,  
ვისი კვართიც ზე-განგებით დაესვენა მცხეთას.

\*

ორი კვართი ქართლს რომ სუფევს, ვით არ გავიოცო,  
ეს წყალობა მე როგორ ვთქვა, შემთხვევითი არის?  
მხოლოდ ამის სამადლობლად მარად რომ ვილოცო,  
მაინც ვერ გადავიხდი ამ თანანადებს ჯვარის.

\*

განმეშორე სასოს მკვეთო, მე ხომ მას ვეკუთვნი,  
ვინც ვაზის ჯვარი მიბობა და სულის ბეჭედი,  
მე ხომ “გეორგია” მქვია მიწისა და გუთნის  
და მეოხე ღვთისმშობლის ხატს ხმალთან ერთად ვჭედდი.

\*

აყოლილი თუ ვარ მაინც მღვრიე ნაკადს სოფლის,  
იმ ტოტს ვეჭიდები იმ ხის, არასდროს რომ ხმება.  
სიყვარულია ის ერთი, რაც არასდროს მყოფნის,  
რითაც ველი იმ ერთ სიტყვას, იმ ერთ გაბრწყინებას.

\*

და არ ვტირი წარსულ-აწმყოს, მხოლოდ მიხარია,  
რომ ეს მიწა წამებულის წმინდა სხეულია,  
არა მარად ბედნიერის, რომელიც მკვდარია,  
თუკი უფლის მიერ სოფლად მიტოვებულია.

\*

სულნათელ ლუარსაბ მეფეს რაღა უნდა ეთქვა,  
არ დააკლდა მეს-დამტყდარი განსაცდელის ღვარი.  
დიდმოწამეს სახელი ქართლს ტყუილად არ დაერქვა,  
ასიათასის სისხლად არ ამაოდ ჩქეფს მტკვარი.

## გაბრწყინდება

შენ, ძველი აღთქმის ირისეს თვალო,  
 მაცხე მირონი სხივოსან ფერის.  
 უმანკოებავ ცათა, უბრალოვ,  
 მასმინე ჰანგი ზე-მიწიერი.  
 მასმინე მიწის წრფელ სინანულის  
 ლოცვა-ქენება ცრემლ-შეუმშრალი.  
 ვარ ხე ქვამუხის ქართლში დარგული,  
 ფესვმძლავრი, ვით კლდე ვარძიის სალი.  
 არ მომრევია ურვა-ნაღველი  
 და სასოებამ შემასხა ფრთები,  
 რომ გაბრწყინდება ალაზნის ველი,  
 ციხე-შემართულ კლდეკარის მთები.  
 რომ გაბრწყინდება ქართველი ხალხი,  
 ქედმოუხრელი ბრძოლების გზებზე,  
 ჩამოიხევა მის მკერდზე თალხი  
 ხმლით, რომ უპყრია სიმათლის ზე-მზეს.  
 რომ დაიბრუნებს ტაოს და შავშეთს  
 ღმრთისმოსაობა სამარადუამოდ  
 და როგორც ნინო, შემუსრავს შავეთს,  
 მტერს, ვინც ღვთისშვილთა წარწყმედას ღამობს.  
 რომ ნიკოპსიით დარუბანდამდე  
 კვლავ ატოტდება ხე-ივერია,  
 ოღონდ გვიყვარდეს და ოღონდ გვწამდეს  
 იგი, ვინც მარად უძლეველია.

23.05.2009 წ

## რეგული V

თითო სახე

„უფრო გრძელი გზა არ ვიცი მთელს ზღვასა და ხმელზე,  
თავიდან და გულიდან რომ გადის კაცის ხელზე.“

*მირზა შაფი (ვაზეხი, 1796-1852)*

## ამერიკული ფორტუნა

## I

იაგუარი გაცდა ლურჯ ტეხასს  
 და პრერიები ფშვენენ კაქტუსით.  
 ცას ხერხემალში ფრთით გადატეხავს  
 რკინის არწივი მზით შენატრუსი.  
 შტატიდან შტატში დახეტიალობს  
 ადევნებული დოლარს ფიქრებით  
 ყველა, ვინც წვალობს და ვინც არ წვალობს  
 ამერიკული ხილვა-სიზმრებით.  
 რა სურს, აწუხებს იქ მასაჩუსეტს,  
 აქ ოკლაჰომას ანდა ჩიკაგოს,  
 მათ ყველას თეთრი სახლი მოუსმენს,  
 რომ პრობლემებზე პასუხი აგოს.  
 ნაცრისფერ ჩიხში ზანგურ კვარტალის  
 გიტარით ხელში მიდის ბიჭუნა,  
 ჰენდრიქსი, როკის მთავარსარდალი,  
 ჰიპურ მუსიკის ავი ფორტუნა.  
 გაჰკივის, ეძებს ულევს ვუდსტოკი,  
 ჯიმის მაგი და შმაგი გიტარა.  
 ამ ჰანგებისგან მოგვრილი შოკი  
 შ -მაც ვერ გადაიტანა.  
 ჯაზ-როკის ჭირი, მუდამ თანმდევი  
 აჰერონებს ჰანგს მკვლელი ბანგით.  
 ის აწუხებდა მეტრ მაილს დევისს,  
 მოკლა პარკერი, გენია ზანგი.  
 ღარიბი გახდა მილიარდერი,  
 ბიზნესს ტალანტმა შეუწყო ხელი.

ჩვილ ბავშვს უმღერის კვლავ სტივ ვანდერი,  
სიყვარულით ბრმა, მუსიკით ხელი.

## II

მათ დაამკვიდრეს თავისუფლება,  
ჯეფერსონმა თუ ფრანკლინ რუზველტმა  
და უჩინარმა იმ ავსულებმაც  
ვინც მას აწვიმა სნებათა დეღგმა.  
იქ აღარ ისმის ინდიელთა ხმა,  
მათი ყივილი შიშის მომგვრელი,  
ის შთანთქა სისხლის წარმღვნიელმა თავსხმამ  
თეთრკანიანი განგსტერის ხელით.  
იქ აღარ თრგუნავს მძიმე უღელი  
ზანგს უსამართლო, მკვლელი რასიზმის,  
დღეს სიტყვა კინგის ქედმოუხრელის  
თავისუფლების სიმბოლოდ ისმის.  
იქ ისევ ავობს და უჩინარობს  
ტრადიციული, წმინდა ოჯახი,  
მემკვიდრე ლანსკის და ლუჩიანოს,  
თავის გამტანი ომით და ჯახით.  
მის ნამოდვაწარს ბიზნესი ჰქვია  
და მონახვეჭი გაცემულს ჭარბობს;  
სადაც აღარ ჭრის, ჭრის მხოლოდ ტყვია,  
და უკანასკნელ სიტყვას ის ამბობს.  
იქ დასცინოდა ცხოვრებას სპლინი,  
უინით სიმართლის თქმის მდუმარებით,  
მუნჯი სინემა ჩარლი ჩაპლინის  
სიცილით ცრემლის და მწუხარების.



იქ იმუქრება ის ალქაიდა,  
 ტერორისტული აქტის მოხდენით,  
 თეთრი სახლის რომ ვეღარ აიტანს  
 თავგასულობას, იმ ბინ ლადენის  
 იქ ყველაფერი შრომა, ოფლია,  
 იქ წარმატება დოლარზე ბრწყინავს.  
 იგი ჯანმრთელი ავადმყოფია  
 და შეჯიბრებით ასრჩობს ცინცინატს.  
 ცით დოლარები ჩამოიფანტა,  
 დოლარის საბნის ქვეშ ძინავს ვარსკვლავს.  
 ხარობს დენვერი, ბრწყინავს ატლანტა,  
 მდერის, თამაშობს, იკეთებს, შობს, კლავს.  
 გრგვინავს ყიჟინა, დუღს ბეისბოლი,  
 მაიკლ ჯორდანი ფარში ვარდება.  
 გერშვინით ღნება „კარნეგი-ჰოლი,“  
 ფიცჯერალდი შლის ბგერებს ვარდებად.  
 პლაჟებად ნაქარგ სანტა-მონიკას  
 ფირი ასხივებს ფრანტ ჰოლივუდის  
 და სიყვარულის გეთავაზობს იგავს  
 ოცნება ქალით მთვრალ ალენ ვუდის.  
 კოდაკის მანგის იღება კარი,  
 წითელ ხალიჩას მისდევს კამერა.  
 ვის გაუღიმებს ბედი ოსკარის,  
 დიდება ზღაპრულ ცით ვინც დაფერა?

## III

იქ რახმანინოვს ესიზმრებოდა  
 რუსეთის სტეპის მეღანქოლია,  
 ამერიკა კი ჰანგით თვრებოდა,  
 მას წარმატება კი არ ჰქონია.  
 მუსიკის იყო ეს აპოგეა,  
 ამერიკული რუსეთის სევედის,  
 რასაც არ ჰქვია თვით ნოსტალგია,  
 რაღაც მეტია ქვითინით ბედის.  
 ანდა რა იყო მჭექარე ბუმი,  
 ოთხმა „ბითლზმა“ რომ იქ მოახდინა,  
 მძლავრი მოვარდნა ექსტაზ საშუმის,  
 სად ელვის პრესლის მზემ გაიბრწყინა?  
 თუნდაც რად ღირდა ბოჰემა პოეს,  
 ედგარის შავი, მთვრალი მისტიკა.  
 არ ასვენებდა ყორანი პოეტს,  
 ვით მისი ლექსის ხმა ამერიკას.  
 მაგრამ წარსული ოფლზე და სისხლზე  
 მღვარი იტაცებს კვლავ ცისკენ შტატებს,  
 რომ მუდმივ მიზნად ბევერლი-ჰილზზე  
 ბრწყინავდეს ნიკე\* მოანდამატე.  
 და ტალანტების, გენიოსების  
 მზეს არ ივიწყებს დღეს ვაშინგტონი,  
 სიყვარულს, ბრძოლას, ბანგს გიჟ ოცნების,  
 სდუმს ქანდაკება, უღერს ელინგტონი.

## სექსუალური აქტი

როლს-როისის ფარზე ანარეკლი ქალის,  
 ჟურნალების ყდებზე მიმავალი ლანდი,  
 ფანტომი ხარ ტელე-სივრცის წარმავალი,  
 დიდი ალბიონის თუ ძველ „დოიჩლანდის.“  
 ჩავრთე, დაგიჭირე ტელე-არხის ტევრში,  
 სიყვარულს გიხსნიდი რეკლამას დაუღვეს.  
 ინფორმაციების მთოვარ ქუჩის მტვერში  
 ილუმინაციის ვიჭერდი შენს ქულებს.  
 მე გიპოვნე კლუბში მთვრალი ჭიქის ფსკერზე,  
 სიყვარულის ექსტაზს ვერ უძლებდა გული,  
 შენ იწევი გრძნობის მწარე ანაჭერზე,  
 გაყუჩებდი ტკივილს ბანგით როკერულით.  
 მძიმე როკი მძიმედ გიხსენებდა მსუბუქს,  
 სოულის მკლავებზე გატარებდა სევდა,  
 შენ მივსებდი სულის მწუხარე „ნოუთ-ბუქს,“  
 „საიტების“ ტყეში შენს ჩრდილს რომ მისდევდა.  
 თინეიჯერების ჯარში მეც ვიყავი,  
 ვინც სახელს და ვარსკვლავს ოცნებას უძღვნიდა,  
 კროუფორდი ხარ თუ ის ნაომი შავი,  
 შენი ბრწყინვალება მუდამ გვერდს მივლიდა.  
 გამოვდივარ ახლა მიკროფონის ღვეთი,  
 ვარსკვლავი ვარ უკვე, როკს დიდებას ვწირავ,  
 მოლოდინი შენთან შორი უიქენდის,  
 ჩვენს სიყვარულს მალე გიყ სექსში ჩაძირავს.

მასმედია დამდევს, პაპარაცის თვალი,  
 ათას ჭორებს ხლართავს ელიტური ენა –  
 „ნარკოტიკის ტყვეა, არის ხშირად მთვრალი,  
 უყვარს ავსტრიის და ჰერონის ვენა.“  
 კლინიკების შემდეგ ფესტივალის ტაშით  
 მხვდება მონატრებულ მელომანთა ჯარი.  
 ისევ ვეძალები გადაღების ჰაშიშს,  
 სიმადლეს ოსკარის, ვით კლიმანჯაროს.  
 მაღე მიხილავენ ახალ პრეზიდენტის  
 გვერდით მდგარს და მისი პოლიტიკის მომხრეს.  
 როგორც ანტი შიდსის, ტერორისტის დენტის,  
 მაღლა-მაღლა ვწევ თავს და მოცურავის მხრებს.  
 ახლა მთავარია ის კარგი პარტია,  
 როცა სიყვარულის ფრთებს დოლარი ამკობს,  
 რადგან ქორწინება ის ანდამატია,  
 რომელიც სექსს, ჯიბეს, შოუ-ბიზნესს აწყობს.  
 შიშველ რიოს ცეკვით, როგორც ნარკოტიკი,  
 სერპანტინებს ისვრის კარნავალზე სამბა  
 და გმობს რომანტიკა ნოვალისის, ტიკის,  
 ახალ ჰოლივუდურ სიყვარულის ამბავს.  
 ასეთია არსი დარღვეულ კონტრაქტის,  
 შოუ-ბიზნესური, ნაზი განშორებით,  
 ვარსკვლავების ცაზე სექსუალურ აქტის,  
 ფილმის, როკის, ჯაზის და მბორგავი რეპის.

## ბომონდი

ესაღმებთან რევერანსით და მიმოდიან...  
 ფერების თოვლში მიელავენ სერპანტინები.  
 ზღაპრის ტევრიდან შემოჭრილი ჩქეფს მელოდია,  
 საყურე-თვალის, მკერდ-კულონის, პალანტინების.  
 კმაყოფილია, ბუტბუტებს და თვრება ბომონდი  
 და ირონია დათამაშებს ღიმილს შეფარვით.  
 მაგნატს პრინცესა, სერს ვარსკვლავი, სენატორს ლორდი  
 დიდების მოსავს ძოწ-ქლამინდით\* მზე-კეისარის.  
 თვალზე შეზრდილი შავ სათვალთ ვირი\* დაძრწოდა,  
 რომ გადაკვეთა ბანგნარევი ნისლის სინორი\*  
 და სიბარიტი შიშველ მკერდზე განცხრომას წოვდა,  
 ფუფუნებაზე ჩამოედო ავხორცი ტორი.  
 ცისფერ ლაუვარდის მირაჯებში ქროდა სადამო,  
 ვის ტრფობით ძარღვი აუტოკდა, ვის გაეყინა  
 და წარსულ-აწმყოს მომავალთან ერთად საამოს,  
 კომფორტ-მოსილი სიხარულის სნატი\* ევინა.  
 აქ რომანტიკაც დროულია თვალთ-გაელვების,  
 აქ მოლოდინი არ აცლის ვარდს გაშლა-გაფურჩქნას,  
 როგორც დენდების რაინდობით ტკბობა ელფების,  
 მოულოდნელი შეხვედრისთვის გულების მიძღვნა.  
 მელანქოლიის დაღი აჩნდა გადაღლილ განცდას.  
 ჯერ განუცდელი სხვა ახალი ხვალ რა იქნება?..  
 ვნება-აყოლილ ნერვ-წნულებში უჯრედი გაცვდა,  
 რომ აისრულა ყველაფერი, რაც კი ინება.  
 და მიინავლა ნადვერდლებად ღველფი ორგის  
 და გაეშურა ფეხ-შიშველა სრა-პალატისკენ,  
 თითო გზად ბიზნეს-კარიერის ტექნოლოგიის,  
 დაცემით ფენილ აღზევების სიდიადისკენ.

## ლევიათანი

აღიმართება ბომონ-კერპი მრავალი კვლავაც,  
 ხოტბას შეასხამს კაცი გვირგვინს მოღვაწეობის,  
 ისევ იმ კერპის დასამხობად და მოსაკლავად,  
 აღიარებით მისი ნაკლის და უმწეობის.  
 უსამართლობის კვლავ მოისხამს მსოფლიო პორფირს,  
 სამართლიანის დამკვიდრების ყალბი სურვილით,  
 რომ გამოიცვლის პროგრესისთვის განკუთვნილ პროფილს,  
 საკაცობრიო კეთილ მიზნით თავშებურვილი.  
 ის ყოველ კრიზისს გადალახავს მაინც ბებერი  
 და იზარალებს ისევ ხალხი ძლიერთ შემყურე.  
 ისევ დამოდღვრავს ის თავადი და ბელზებელი,  
 წარმატების უნს ამ სოფლიურს რომ გაუხურებს.  
 მსოფლიო გიჟი, მომხიბლავი, მდიდარ-ღარიბი,  
 მეტოქეობის მართონში გადაშვებული,  
 აღმსარებელი და იმავ დროს მკვლელიც ტარიგის,  
 ძველი სოდომის მემკვიდრეა რჯულ-აშვებული.  
 მილიონ რეისს გამოიცვლის ის ფაინდერი\*,  
 ახალ საქონლის დასაყრელად ბიზნეს-ბაზარზე,  
 რომ კვლავ აღზევდეს სხვა ახალი მილიარდერი,  
 ვინც შესძლო გავლა რისკით სავსე ფულის ბაწარზე.  
 კონტრაქტები და რეკლამები, ინვესტიცია,  
 ათასი გათვლა-ანგარიში და ვიზიტები,  
 მბრუნავი ფულის დაბანდების ის ზღვა სივრცვა,  
 კვლავ წარმატებით რომ სერავენ მაგნატ-ჩიტები.  
 კვლავაც დიდების ამ მწვერვალზე ქველმოქმედება  
 ფრთებს შლის და ამაყ სიხარულით უღიმის ყველას.  
 იგია ფულის გათეთრების შემოქმედება,

ომის მსხვერპლ ლტოლვილს, შიდსიანს და ბავშვს რომ უშველა.

ჩირადნით ხელში ქანდაკება თავისუფლების  
ქედს უხრის, ლოცავს, ახალ მიზნებს უსახავს ისევ,  
თუ აქვს კანონის ფარგლებში მას ყოვლის უფლება,  
კანონსაც შეცვლის თუ დაჭირდა საქმისთვის მყისვე.  
უორენ ბაფეტი, ბილ გეითსი, დუმბერგი, სხვანი,  
ოცდამეერთე საუკუნის გოლიათები,  
დოლარის ზღვიდან ამოსული ლევიათანი,  
მსოფლიოს მართავს მარკეტინგის ფოლიანტებით.  
მიაგეთ წილი პატივისა მათ გარჯა-შრომას  
და მოხერხებას უადრესი საზრიანობის,  
ბიზნესის ცაზე სხივმოცისკარ ვარსკვლავთა კროტმას,  
გარანტს მსოფლიო წინსვლის და მტერს ომიანობის.  
ძლიერთა ამა სოფლის ახალ ზე-იმპერიას,  
ქვედინებებით მცურავ ზვიგენს, კოსმიურ კოლოსს,  
გადაშენება ამ ქვეყნად რომ არ უწერია,  
განცხრომას, შფოთვას, სწრაფვას, აზარტს ამ  
უთავბოლოს.

.შ.

ილუმინაციად ბრწყინავს ურჩხული რეკლამა  
და არჩევნების ქარცეცხლში გრგვინავს აღტაცება.  
მწვანოსანმა გადასერა ქუჩა წამის წამად,  
მილიარდთა გულის, ტვინის, სულის მოტაცებამ.

20.10.2008 წ

## ფერარი და სიცარიელე

წითელი ავტო ფარებით მწველი,  
 ცარიელთა მუდამ.  
 მხოლოდ ერთია მისი საშველი,  
 მას მოძრაობა უნდა.  
 გაშხლართულია ქალი პარპრიზზე,  
 შუშას ლოკავს და დნება,  
 უძლიერესი ყოველ კაპრიზზე  
 აჩემებული ვნება.  
 გარს უვლის ბრბო და ლოცავს, შეჰხარის,  
 ნიკელზე ლანდნი კრთიან,  
 ხელდასხმა არის წითელ ფერარის,  
 გააქროლებენ ფრთიანს.  
 მას კი არვინ სურს, გაუხედნავი  
 არის და იღრინება.  
 დაანებებდნენ თავს ო, ნეტავი,  
 იფრენდა ნება-ნება.  
 ღამით მიგელავს გულგასახეთქად  
 მანქანა და ჭიხვინებს,  
 ვიღაცამ ბოღმით ვისკი ჩახეთქა,  
 გაჩენის დღეს აგინებს.  
 ფერარიმ არვინ არ გაიკარა  
 ძვირფასმა მეტისმეტად.  
 ძალზე ბევრი თუ ცოტა იარა,  
 გზაზე გაჩერდა კენტად.  
 და გადმოვიდა სიცარიელე,  
 კარი გაიჭახუნა.



ფერარი დგას და ამ პატრონს ელის,  
 ასფალტს მოწყენით სუნავს.  
 გაქროლდა ისევ ხომალდ-მანქანა,  
 ისევ არარა მართავს,  
 დრომ რომ დაქოქა და გააქანა  
 სივრცეში უკუღმართად.  
 გზაზე ჩოჩქოლი, მიმოსვლა, ტეკი  
 და დაჭმუჭნული რკინა...  
 სიცარიელე მიდის შავ სტეკით,  
 კატამ გადაირბინა.

15.01.2009 ♡

### ქალი

რა უნდა იყოს ამაზე მეტი  
 მშვენიერებით გაუგებარი,  
 ქმნილებათანაგან ღმერთ-შემოქმედის  
 უფრო ღამაზი და საქებარი?..  
 ნუ ახლებთ უხეშ ხელს მიუწვდომელს,  
 შემოუნახეთ სულს ზე-მწვერვალად.  
 მხოლოდ პოეტს სურს ჯავართა მდომელს,  
 მშვენიერება აქციოს ქალად.  
 მას ესმის შორი, რაინდულ გზნებით  
 ნაოცნებარი სიმღერის სევდა,  
 როცა ლაჟვარდებს შეიდთა\* გზების,  
 მხედ ატყდება თვალების ელდა.  
 ისე სწყუროდა სულში სიყვარულს,

არარსებულებაც მოეცვა ქვეყნად,  
 რომ მას უდაბნოდ გაჭრილ-მოარულს,  
 ქალი სიცოცხლის მზედ შემოეწნა.  
 და ელანდება მთქნარი\* შორეთში  
 ქალის სახება მტირალ ტარიელს.  
 სულნო შთენილნო სიმარტოვეში  
 გმობთ უმიჯნურო ყოფას ცარიელს.  
 ის წამიერი, ვით გაელვება  
 რომეოსი და ჯულიეტასი  
 სიყვარული გულს გადაეკვება  
 განშორებების ცრემლების თასით.  
 რისთვის თვრებოდა ასე შეხვედრა  
 თაგანწირული ტრფიალით ქალის?  
 ამაყო დარდო, სურვილში ფედრას,  
 სიკვდილს აენტე ვნების ციალით.  
 კამერის თვალში მბრწყინავო ვარდო  
 გრეტა გარბოსი და ვივიენ ლის,  
 იმ მოულოდნელს, აუხსნელს ვდარდობ,  
 თქვენით რომ რჩება გამოუთქმელი.  
 ვით შეეგუოს წარმავალობა  
 ქალად ნაყვავებ ხიბლს და შევენებას,  
 როცა ნაოჭში ვარდ-ყვავილობა  
 დროის სამსხვერპლო ძელზე ევნება.  
 აკროპოლისის ტაძრულ სითეთრეს  
 ჩაესახება მზე აფროდიტე.  
 სხივს შეიმოსავს ხაზთა სიმკვეთრე,  
 ქვაში ღვთაებრივს რომ ვერ დაიტევს.  
 იდუმალებავ, ქალურ ხატების  
 მოდილიანის, და ვინჩის ფუნჯის,

მწვავეთ თვალთა შუქით ანდამატების  
 შემოთოვასში ფერთა საუნჯის.  
 ქალისთვის დავამ ქცეულმა ომად,  
 თვით ისტორიის ჩარხი აბრუნა,  
 შურისძიება რომ მოიღომა,  
 ტროას სიკვდილის ხვედრი არგუნა.  
 არ იქნებოდა იგი სამყარო,  
 არაფერისგან რომ არ ქმნილიყო,  
 არც სილამაზე სიცოცხლის წყაროდ,  
 ზეშთა ქალური არ ყოფილიყო.  
 და ვუმზერ, ვუმზერ ჯოკონდას ღიმილს,  
 ბაგის ქარვიდან გამომკრთალ ჩეროს  
 და ვსვამ მზის ღვინოს სხივთა ბარძივით,  
 რომ სილამაზის ლექსი ვიმღერო.

08.09.2008 ♪

### თითქოს

მრავალს გადაშლის კვალს ქარი მქროლი,  
 ამ უსაშველო მიმოსვლით ჩნეულს,  
 წარსული გიმზერს სახლთან ობოლი,  
 როგორც ხილვები ზმანებით სნეულს.  
 ამ ქუჩის თითო კუთხე-კუნჭული  
 შენ მოგივლია ცელქი ნავარდით,  
 შემორჩენილი სიყრმეს კუნძული  
 თასში ღვინით და ლარნაკში ვარდით.  
 გაქრა ორგის ეიფორია,  
 როგორც მირაჟის ფარდის შერხევა,

ზაფრიან ღვიძლის ალეგორია:  
 ლოთობა, სიძვა, კეთება, წვევა.  
 ცხოვრება, ყოფნის დიდი აფსურდი,  
 არჩევანის გზა, ვით ხარაკირი,  
 სიამოვნება სიცოცხლის ქურდი,  
 შავი სიკვდილის ზღვის შენაპირით.  
 გაქრა და მაინც ნეტავ რა დარჩა,  
 სინანული თუ მელანქოლია?  
 გასცქერი წარსულს და თითქოს არ ჩანს,  
 თითქოს სიცოცხლე არც კი გქონია.

26.03.2010 წ.

### ბაჰომეტის თვალი

რქა-სისხლიანი კვლავ ბაჰომეტი\*  
 საუკუნეებს მოაპობს რქებით.  
 რა ცოდვის ბოღმა არს ქვეყნად მეტი  
 პირველ ამბოხზე იმ შურისგებით.  
 უფლებამოსილ უძველეს ცოდვას  
 სოდომის მყრალი საროსკიპოდან  
 იმ ზმანებების შემორჩა ბოდვა,  
 სიძვის ენკომად\* რომ გაისმოდა.  
 არაფერი არ შეცვლილა თითქოს,  
 უცოდველ სისხლის დაღვრის დროიდან,  
 რადგან სხვას ხედავს, გრძნობს და სხვას ფიქრობს  
 თვალი უბნელეს სამყაროიდან.  
 ისე უეცრად როგორც სიზმარში  
 მოვა, შეარყევს ბუდეს არწივის.

სვლით ორგიული, ავხორცი მარშის  
 შეწირულ ბავშვის სისხლს სვამს, გასწივის.  
 ოქროს მუაბა\* შეხორცებული  
 ლირწების\* უინით უტკბეს სიზმრებთან  
 იგრძნობს მწარე ცრემლს მირონცხებულის,  
 მოწამლულ ბოძალს\* ავ სამიზნეთა.  
 და დაძრწის თვალი ბროლ-განაბზარი,  
 სისხლიან რქებზე შემოსკუპული,  
 ხმების ჩამხშობი სამრეკლო ზარის  
 შეთურ\* ხარხარით ცისფერ უფსკრულის.  
 ცისფერ ეკრანის გაფითრდა სივრცე  
 და ბაჰომეტის იელვა მზერამ,  
 სიკვდილთ-უწყების წყაროდ რომ იქცეს  
 თვალსისხლიანი ჰიპნოზის კერა.

01.06.2009 ♪

### თავ-უღწევარი

ის მიაბიჯებს შავი მანტიით,  
 მწვანე ნიღაბით – ხრწნილების სახე,  
 როგორც მაგიის, ხირომანტიის  
 მეტრი და ტკბილ-ყანდიანი\* მახე.  
 შემოხლართული მაქვს თავზე სუსხის  
 ცივი, ტალღური აურის ბადე,  
 რომელმაც მხოლოდ სიკვდილი უწყის,  
 არა ის, როდის, სად დაიბადე.  
 და მონიტორი შხამის წვეთებით,  
 ნასექსარ სტრიპტიზ-ბარის სიმყრალით,

ინფორმაციის კვება კეთებით,  
 კამერის ღვიძლის ზაფრით მიმქრალი.  
 ლურჯ ტელე-ციდან გავარდნილ მეხის  
 კრთება ელვები გრძნეულ ეთერში.  
 ინფორმაცია მაქვს ჯოჯოხეთის,  
 თუ როგორ ჩაკლეს ევა ედემში.  
 ფრინავს ქრონიკა სიკვდილის ფრთებით,  
 სიტყვის გაზებით მხუთავი სულის.  
 ყოველდღე ავის უწყებით ვკვდები,  
 რეპორტაჟული ხმით ვირუსულით.  
 რა ბრწყინვალეა სექსუალური  
 თეთრ პოდუმიზე კლაკნა კანჭების,  
 შოუ-ბიზნესი მენსტრუალური,  
 ტვინს რეკლამის რომ წნეხავს ქანჩებით.  
 რა მშვენიერი არის ვიდეო  
 თვალი, კუბოს რომ საფლავეში ჩაყვა,  
 მზერით აშიშვლებს მონტე-ვიდეოს,  
 დასმენა-თვალთვალს სცემს გულწრფელ თაყვანს.  
 და ლას-ვეგასის მზეც ხელოვნური  
 პირამიდით და სრა-პალატებით,  
 დასცქერის ხელებს კაზინოური  
 ოქრო-საფასეს მძლე ძალადობით.  
 რა სანდომია აპარატურა,  
 სამწუხაროდ რომ ვერ ვხედავთ ფარულს,  
 რომ უსმენს ქვეყნის „მტერ აგენტურას.“  
 ყოველთა პრობლემას, წუხილ-სიხარულს.  
 სხვათა სულებში ხელს აფათურებს,  
 კრეფს სამხილებს და თან აშანტაჟებს,  
 სხვის უფლებას აუპატიურებს,  
 თავს სახელმწიფოს მცველად ასაღებს.

სად წახვალ, როგორ უნდა ეგანო,  
 დიდოსტატ ჯადებს\*, ჯაშუშ ბელფეგორს\*,  
 ჰიპნოზს და დევნას უკიდებანოს,  
 შიშის, სიკვდილის გზად კაცს რომ ერგო?

13.03.2009 ♪

### დერვიშული ბოჰემა

მობარბაცებს გზაზე მწირი,  
 ვინმე მელექსე დერვიში\*,  
 ბახუსს ისე შენაწირი,  
 სხვა რამ განძი უძევს ტვინში.  
 ბიჭები შეხვდნენ დუქანთან  
 შაყირ-ქილიკა ცინიზმით.  
 გულის ისე შეუქანდა,  
 ეგონა ხილვავა სიზმრის.  
 ბიჭებმა სუფრა გაშალეს  
 ისპახანს ჯერ უნახავი,  
 დერვიში ისე წაშალეს,  
 ლექსის თქმის არ ჰქონდა თავი.  
 მაინც რაღაცის თქმა სურდა,  
 ვერ თქვა, კალამი ითხოვა.  
 რომ დახატა, ლექსში ხურდად  
 ჯამი მთართვეს მათხოვარს.  
 ხაიამის ამბავს ყვება,  
 შუბლს ღვინოდ რომ მოწურვია.  
 იცის მის თავდავიწყებას,

ღვინის ნაცვლად რაც წყურია.  
 მრავალჟამიერს დამღერენ  
 ძმები, მაგრამ რა იციან,  
 ისინი, ვინც ჩანგად უღერენ,  
 ოდენ ღვინით არ თვრებიან.  
 რომ ზღვას სვამენ, მუშთარს\* წყვეტენ,  
 მირაჟებში ითქმებიან,  
 სამეფო საქმეებს წყვეტენ,  
 პლანეტებად ითქმებიან.  
 მსხემია\*, მათხოვარია?  
 უსახელო მწერალია?  
 იაღბუზი, მყინვარია,  
 თვით უფლის მომღერალია.  
 დილის საარზე დუქანთან  
 გამოჩნდება როგორც წესი  
 და გული თუ შეუქანდა,  
 ღვინით იწყებს წერას ლექსის.  
 რომ იმ ლექსით სატროფო იის  
 სიყვარული მზეს ავედროს,  
 რომ სიცოცხლე პოეზიის  
 სილამაზით ახავერდოს.  
 რომ საკალამო გულისთქმა  
 სამყაროს გაუზიაროს,  
 რაც სიტყვამ სულს უთილისმა,  
 იმ იდუმალ გზით იაროს.  
 მაინც გრძნობდა, რას უქადდა  
 ბედი დაწერილი ლექსად,  
 ხსოვნად სვამენ ძველ დუქანთან  
 დერვიშების მოთქმა-კვნესას.



### აშუღის აღსარება

სირაჯხანის ბნელ სარდაფში ჩემს ძველ ცოდვებს ვსვამ  
ყანწიდან,

იქ ჩავზიდე საგონებლით ენა-მდუმარე წუხილი.

ყოფის ქონგურიდან ყარობს ცხოვრება წარღვნად მაწვიმდა,  
სახლაურის გადახდით და გამაფრთხილებელ ქუხილით.

შეზარხოშებულ ლექსებთან ობოლი შამი\* იწვოდა,

„ნუ ჩაქრები“ – ჩურჩულებდა ღვინო და ფიქრს მიხელებდა.

მოგონება, როგორც ყომრალ\* ველზე ჟღერი\* დამჩხაოდა –  
ეტლუკუდმართს ზეგანგება სად, რა გზით მიმაქანებდა.

„ერთიც დამისხი სირაჯო, ცხოვრების შესანდობარის,

დაბრმავებულ თვალებს რომ არ აღირსა მზეთა სინათლე,

ამ სოფელმა ისე ურტყა, დაუნგრია ძვალ-სახსარი,

განსაცდელეები მოიმკა ჭკვასასწავლებელ სიმართლედ.

უხაროდა, სიხარულშიც უცხო სევდას ატარებდა,

ქალში ჭვრეტდა შეუცნობელ სილამაზის ზღვას უსამნოს,

სულში სამეუფო დრაქმას ვერ ცნობდა, ასამარებდა,

არავინ არ დააკლო რა, საკუთარ თავს თავად ავნო.

შენ, სოფლის გაუგებარო საპატიჟოვ\*, სარდაფიდან

გიმზერ და მესმის იმ ფეხის ხმა, რითაც გადამიარე.

ღმერთო, ვუწყი, აღარ შემქმნი თიხიდან და არაფრიდან,

ის შემინდე რაც ვიარე, შენსკენ რაც არ გავიარე.

სიყვარულის ქამანჩაზე\* ლექსებს რომ ვთხზავ სამიჯნუროს,

მაგრამ მაინც ჭეშმარიტი ვერ შევიცან მისი ფასი,

რომ თავადმა ცოდვა თავზე მომახვია, როგორც სურო,

წმინდა სისხლის ნაცვლად რომ სულს ვნების მწარე ღვინო  
ვასვი.

ღიღის საარივით ამ ჯამს დავღიღინებ ცოდვით სავსეს,

ღვინის ცრემლით, საკუთარით რომ არ განვბან მომღერალ გულს,  
 ისევ სატრფოს თვალებიდან მზირალ მაისის ვცლი თასებს,  
 მუნასიბი\* მტკივა, როგორც სიყვარული შეყვარებულს“.

26.10.2008 ♪

### სალამი თბილისს

მაგიდა, ჭიქა, ბოთლი, კალამი  
 და მიმოყრილი მასზე ფურცლები...  
 განმარტოებავ ფიქრთან სალამი,  
 სალამი განცდავ შორეულ წლების.  
 ქუჩა, მანქანა და მაღაზია  
 ბენზინის სუნი, ნაბოლქვი კვამლი...  
 სალამი თბილისს, ამ ევრაზიას,  
 პოეზიის გზას ბრძოლებში გავლილს.  
 კლუბი, კაზინო და სტრიპტიზ-ბარი,  
 თინეიჯერთა გიჟი ამაღლა...  
 სალამი აშუღს ძველ ავლაბარის,  
 სულისკვეთებას მთაწმინდურს გალას.  
 მიყვები ვერცხლის ქუჩას და შარდენს,  
 წყალნასვამ თვალში კრთება „სამება.“  
 არ შეგიძლია, რომ არ გიყვარდეს,  
 რაც მიდის, გტოვებს, რაც იბადება.  
 ქალი და ვაჟი, შეხვედრა, კაფე  
 და შადრევნებში იასამნის რტო...  
 სალამი თბილისს, სულით ვარდნაფენს,  
 სიყვარულისთვის რომ ერთადერთობს.

03.06.2009 ♪

**რამე მითხარი***მერიკო ჭულუხაძეს*

ხავსმოდებული საღამოს ბლონდი,  
 ბურუსის ბაღში ჩრდილების თოვა,  
 კვამლის კანკალით ირწვევა, მოდის,  
 სხივის ძაფებით გადაიქსოვა.  
 ვესტიბიულში ფოტონის წნული  
 ღანდებს ირეკლავს შუქის მინაში,  
 ბოლში სუნამო-გაჯერებული  
 მკვირცხლი პორტიე დგას ჩვენს წინაშე.  
 ბორბალი ბეტონს ჭრის ვით სკალპელი,  
 მიწა ჩამოგვწყდა და დაიძირა,  
 ღამეულ ხმების კორიანტელით  
 ქალაქმა მწერალად ამოიყვირა.  
 სხივში კამკამებს წყალი ცისფერი,  
 სხეულში ცურავს სინაზე ქალის  
 და საქსოფონში დარდობს პარკერი:\*  
 „მოდი ძვირფასო, რამე მითხარი.“

08.10.2008 ♪

**ყინულის ჭიქით**

თეთრ ყვავილების დადგა ტაძარი,  
 მადლის მთოველი და ნათლისფერი.  
 ეს თოვლის უხმო განდობა არის,  
 რაც მიღმიერის სიჩუმეს მღერის.

ეს სიყვარული აგვიხსნა ზენამ,  
 სხვა რა უნდა თქვას ამაზე მეტი,  
 რომ დაგვანახა ცით გარდმოვლენა  
 თეთრი ხატების ცხოველი სვეტის.  
 იქნებ მოყინოს, გადაეფაროს  
 მიწას ზეწარი ენძელას ფიფქის.  
 ვსვამ სადღეგრძელოს ცის სანეტაროს,  
 ამ თოვლით სავსე ყინულის ჭიქით.

01.2009 წ

### ძამიკოური (სასიმღერო)

*კახა მგელაძეს*

მარსალა და მალვაზია  
 დესერტ-ღვინოებია.  
 სადაც ქართული ვაზია,  
 სხვა ნაჟურით თვრებიან.  
 შევსვი წვენი და გავოცდი –  
 ეს ვის დაუწურია.  
 ღვინო, ჩემი ძველი დოსტი\*  
 სასიმღეროდ მწყურია.  
 საკურნებლად მომექარვა,  
 სულის კარი გამიღო.  
 დამიჯერე, ლოთი არ ვარ,  
 ერთიც შევსვათ ძამიკო.  
 მე წარაფის მადლის მჯერა,  
 ზომიერად ხმეულის.

მომაშორე ეგ მადერა\*,  
 გულ-სულ-გონწართმეული.  
 არ ვარგია კაცი რინდო\*,  
 შარს გამოკიდებული.  
 ლოთობას უნდა ერიდო,  
 სვი ზედაშე ცხებულის.  
 მაგრამ მაინც ასე გეტყვი,  
 ყველა ღვინო კარგია,  
 თუკი ერთი ლექსიც გეთქმის,  
 სიყვარულს თუ არგია.

2009 წ

### სექსუალური ფანტომი

დგას პარნასის მთაზე ის მუზა ერატო\*,  
 მხოლოდ პოეზიის შუქით რომ ფერადობს  
 და ვერ გაუგია მზე ეროტი რატომ  
 გაქრა, გაჰყვა რომელ სექსუალურ ფანტომს.  
 ყოველივე ძლიერ სექსუალურია,  
 ისიც, რაც კი არამენსტრუალურია.  
 პოდიუმზე კაცი ისე ქაღურია,  
 რამდენადაც რინგზე ქალი კაცურია.  
 შერწყმა ორი სქესის არაკოიტუსით,  
 სულის ეკლებია ცისფერი კაქტუსის.  
 ბრწყინვალეა იგი, ვით ჰოფმანის „ტუტსი“,  
 კაცი ნატუშარი, ქალი თმანატრუსი.

რა სექსუალური არს საყურე ყურში,  
 ობლად რომ ირწევა, როგორც ბაიყუში,  
 გარბის ფესტივალზე ახლა იმ სადგურში,  
 რაც აცისფრებს ძაღლსაც ამსტერდამს თუ ურში.  
 სექსუალურია ფესხაცმელიც, წინდაც,  
 კბილის თეთრი პასტაც, როგორც სპერმა წმინდა.  
 სექსუალურობით მხოლოდ დატკბე გინდა  
 ნაომის თუ სინდის, კლავდიას თუ ლინდას.  
 სტრიპტიზ-ბარში ბიჭებს კაბები ეცლება,  
 მხოლოდ ქალის კაცით ხდება ჩანაცვლება.  
 კონკურენტი გაჩნდა, რაღა ეშველება  
 სტრიპტიზიორ ქალთა კლიმაქსურ ცვლილებას?  
 სამსახურის შემდეგ წავა, ყანწსაც აწევს,  
 ქალებს სამადლობელს ეტყვის და შეაწევს.  
 იგი მეუღლეა, გვერდით ცოლი უწევს  
 და სტრიპტიზიორის მძიმე უღელსაც წევს.  
 მაგრამ შემოვიდა მისტერ ვალენტინი,  
 შეყვარებულების ცდუნება და ჟინი,  
 ლამპარია იგი ახლა ალადინის.  
 თინეიჯერების რომ ჩაფერფლა ტვინი.  
 დგას პარნასის მთაზე ის მუზა ერატო,  
 მხოლოდ პოეზიის შუქით რომ ფერადობს.  
 ქალი რატომ კაცობს, კაცი ქალობს რატომ?..  
 უკვირს ერატოს და ვერ იცილებს ფანტომს.

## სახალწლო შოუ

შემოსილა კვლავ ქუჩა ილუმინაციებით,  
 ახალი წლის შეგრძნებით ძველის შავ-ბნელ წიაღში.  
 დიდ კვერცხს დადებს ქიმერა გრიალ-ცხელებ-ციების,  
 როგორც გველი ევასთვის საცდურს სამოთხის ბაღში.  
 აქეთ შოუ, იქით შენ მოლოდინში ტაშის კერის,  
 ფერადდება წარსული ოპტიმისტ იმედებით,  
 მხოლოდ არამარაბდის, მხოლოდ არატაშისკრის,  
 მხოლოდ არათევდორეს წმინდა თავგამეტების.  
 მრავალ ვარსკვლავს აანთებს შოუ ცისფერ ეკრანზე  
 და მრავალს აუთრთოლებს სახელ-მოთაყვანე ნერვს.  
 მიქრის მთვრალი ორგია ნეტარების მერანზე,  
 გართობის ცხელ ჟინით რომ მიწრიელსაც გადარევს.  
 თბილისურს შეცვლის დენდი ჰოლივუდის სიმღერა,  
 ჰომოსექსუალების კიჩი გათამაშდება.  
 მერალ იუმორს აცლის თმებს ჯამბაზი ღერა-ღერა,  
 ის კი გაგიჟებული მაყურებელს აწყდება.  
 ხორციელ გახელებას ღვინის სმა არ უნდება,  
 ის მთვრალია ისედაც სისხლში ბანგის ყივილით.  
 შოუმენი ჰიპნოზის გაკეთებას უნდება –  
 ის რაც სამარცხვინოა, აღარ არის სირცხვილი.  
 ისევ გვხიბლავს სინატრა ხმით ბურჟუა ძველ-ბიჭის,  
 მიბაძვას რომ ვერ იტანს და თავის სვინგს აკვნესებს.  
 მიდის ყოფა-ცხოვრება უპოვარის ნაბიჯით  
 და „კომედი-შოუ“ დგამს მასზე მწარე ნაკვესებს.  
 ახალ ტალღას გადმოღვრის პოლიტიკის ცხელი ზღვა,  
 მხოლოდ ხსნის და საშველის მოლოდინი იქნება.  
 მისი მთავარი არსი, რაც არის, ჯერ არ იშვა,  
 მხოლოდ „ცნობად“ სახეთა გაღერვა იცვლება.

აბორგებულ მიტინგებს გადაიყოლებს ქუნა,  
 ხალხის საკურნებელ წყლულს კი გააღიზიანებს.  
 თავს მშვიდად გრძნობს ქექ-ბაზი\*, რისხვას რაც გადაურჩა,  
 „იმედი“ კი გამქრალა, იმედი იგვიანებს.  
 დაფლეთილი სხეულის ქართლი კვლავ ითმენს ტკივილს,  
 სასოწარკვეთის განცდა მას არა აქვს წამებულს.  
 გაცოცხლებული შავი წარსული კი გაჰკივის –  
 მხოლოდ განსაცდელები განსწმენს და ამთელებს გულს.  
 ძველი წელი ბებერ ძვლებს მთვრალ ახალ წელს მიუგდებს,  
 ისე დახრავს იგი მას, თვალს არ დაახამსამებს,  
 მერე ახალი ნიღბის მაკიაჟს გაიკეთებს,  
 ჯამბაზივით გაჰყვება გზას თამაშით ნაწამებს.

2009 წ

### თემა \* - იმპროვიზაცია

ბი-ბოპ\*-სვინგის\* წამი რეკავს,  
 დროს აფიქსირებს გონგი.  
 ფიქრებს სევდა გადარეკავს  
 ხმაჩახლქილ არმსტრონგის.  
 ვისკის მძიმე არომატით  
 და სიგარის ნაპასით  
 წაშლილია ზანგ-აქატის  
 პროფილი თუ ანფასი.  
 ჟილეტ-ბაფთიან ბარმენი  
 ბოთლის გახსნა-გადადგმით,  
 რიტმის გიჟური გარბენი  
 საქსოფონის წვა-დაგვით.



აზიარებს ერთგულ მსმენელს  
 მაგიურ მსახურებას.  
 ისერის ბგერის მწარე ენებს  
 ტრომპეტის შეხურება.  
 უცებ პიანისტ ჯარეტის  
 შესძრავს სმენას ჰანგები.  
 ჯადეგური სიგარეტის  
 ბანგით დაიბანგები.  
 როგორც იმპროვიზაცია  
 ყოველდღიურ ცხოვრების,  
 ყოველივე მიზანშია  
 ჰანგების მათხოვრების.  
 მერე მეტრი ელინგტონი  
 გიხსნის ცხოვრების ავ-კარგს,  
 მთელი თუ ნახევარ-ტონით  
 მიგნებულს, ნაამაგარს.  
 ქუჩიდან მანქანების ხმით,  
 ციდან თვითმფრინავების,  
 ზღვაში ქალის ოქროსფერ თმით,  
 ტბაში ოქროს ნავებით.  
 ლირიკულ-დრამატიულად  
 ჯაზი გებაასება,  
 რომ აგიხსნას ინტიმურად  
 მითიურის საესება.  
 აფრიკიდან მოყვებიან  
 მდინარეებს მონები  
 და ჯაზს დაუმოყვრებია  
 მუსიკის დემონები.  
 მისისიპთან ჩამომჯდარი  
 უცნობი, როგორც ნატვრა,

მღერის ბენსონის გიტარით  
 ძველ სიმღერას სინატრას.  
 ცხოვრებამ იწარღო-პარკერა  
 და იმაილს-დევისა,  
 რომ იწამო თუ არ გჯერა  
 ჯაზის უკვდავებისა.  
 იმპროვიზაციით თვრება  
 დიდი ჯანგოს გიტარა.  
 ისე ამიტაცა ფრთებით,  
 ბროდვეიზე მატარა.  
 ჯადოქარი „თეიქ-სიქსი“  
 ბანიდან გაწვდილ ალტით,  
 არის გამოცანა იქსი  
 სიცოცხლის ანდამანტის.  
 კაცის ნატვრის თუ ოცნების,  
 ქალის მიუვალობის,  
 განშორების თუ კოცნების,  
 გაწირვის თუ წყალობის.  
 ღირიკულ-დრამატიული  
 ენით გეპაასება  
 ჯაზი მხიარულის, ბრძნულის  
 სევდიანთან მსგავსებას.  
 მოდის ბლუზით, დიქსილენდით,  
 ცხელ-გრილ-თავისუფალი,  
 ტემპერამენტით ბიგ-ბენდის  
 თავად ჯაზი უფალი.  
 რომ კლავიშით დე ფრანჩესკოს  
 მობარბაცე ჰამონდის\*,  
 სიყვარულმა ჩამორეკოს,  
 უხილავად რომ მოდის.

## ცათამბჯენი

შავად მკრთოლვარე ცათამბჯენის მიყვები კიბეს,  
 კიდევ ერთ სართულს გავცდი წუხელ დღით დამაშვრალი.  
 ჩემი მსუბუქი მძიმე ჯვარი შემოვიკიდე  
 და ავიარე ხალხმრავალი ზე-აღსავალი.  
 ქვედა სართულზე ჭახჭახებდა წითლად ბუხარი,  
 პროექტორები შუქ-ფერადი აფრქვევდა ალებს.  
 იყო სტვენა და ღრიანცელი, ტაში მქუხარე,  
 როკი ლომივით მძვინვარე და ბას-მოდრიალე.  
 საძირკველზე კი შავი მესა ქნარს აკვნესებდა,  
 სისხლი წვეთავდა და უხმობდა მფარველ ბელიარს:  
 „მოდო სიკვდილო, ტანჯვა-გლოვის ცრემლად და სევდად,  
 მას დაეღვარე, ვინც თავადის ღვთით მგმობელია.“  
 დარბაზებიდან ოფისებში მიმორბის მასა,  
 ნაკადი უწყვეტ მოძრაობის აქ ითრევს ყველას.  
 ისმის – „ოქეი, ვაუ, ვაი, ურა და ვაშა,“  
 მშვიდობა მაინც ვერ გადარჩა, ომს კი ეშველა.  
 ზევით გრიალებს რესტორანი, კლუბი, კაზინო,  
 დოლარი დოლარს ეცემა და ზვინად ხვავდება,  
 სადღაც ფელინის გზაზე მიდის გმირი მაზინას  
 და ამ ყველაფერის გვერდის ავლით გზა არ მთავრდება.  
 ბნელ დერეფნებში ცივი საკნის მარტოობაა,  
 არ ხვრეტნენ, მაგრამ სამუდამო ხვედრი მდუმარებს.  
 აქ დაწნეხილი ცხოვრების ის მგლური მტრობაა,  
 თავისუფლებას პატიმარს რომ კლაეს, ასამარებს.  
 ვიეთი\* გაჰყავთ საკნიდან და ზოგიც შემოჰყავთ,  
 ტანჯვის კივილი, კვნესა ხეთქავს გულის თხელ ფიცარს.

აქ შიშს პატიმრად მარტოსული დამნაშავე ჰყავს,  
 რომელსაც ხვედრთან შეგუების ფიქრები იცავს.  
 მიკროფონები გაჰკივიან ცარიელ სივრცეს  
 და ორატორი არ ჩანს, მხოლოდ ჰაერი ყვირის.  
 ტკივა პარლამენტს კანონები, იღებს, ამტკიცებს,  
 ბუღბული ნაზად გალობს, მაგრამ იქვეა ვირიც.  
 კიბეს მიეყვები სართულ-სართულ ისევ მყოვარუამ,  
 ერთ საფეხურზე ჩამოვჯდები, რა სიმშვიდეა.  
 სანთელს ანთებენ, ლოცულობენ და გალობენ ჟამნს  
 და მოდის ფიქრი, რაც სცილდება კიბის იდეას.  
 გზა არის ერთი – ამ კიბეზე სვლა მხოლოდ მაღლა.  
 მას ხელ–შესახებს მარად მისდევს სხვა უხილავი...  
 დადლილი ბრძენი მხოლოდ მისით თუ იკრებს ძალას,  
 მისი ზე-მაღლით ხილულ კიბის გადამლახავი.  
 არავინ იცის აღმასვლაში ვინ სად მოწყდება,  
 გაფრენილთ ლოცვის დადევნება თუ შეეწევა  
 და კიბის ყოველ საფეხურზე ის ბედი წყდება,  
 დაცემის შემდეგ რომ შეიცნეს ადამ და ევამ.  
 ცათამბჟენი კი უსასრულოდ იზრდება ძველი.  
 ყოველ სურთულში უკანასკნელს ვჭვრეტ და ტევრს ვკაფავ  
 და ვგრძნობ სულ უფრო გახშირებულ ხადილს\* მფარველის,  
 რომ გავერიდო სახლს მღვდელმთავარ, ავ კაიაფას.

25.12.2008 წ

### უოხჯნო

ხარებაო ცათაო, ვარდთოვლობის ციაგში,  
 სად გაფრინდა მაისი, მე რომ მევარდებოდა?..  
 იგი ისე მინავლდა ფერმკრთალ დღეთა წიაღში,  
 როგორც ხატთან სანთელი, ვედრებით რომ დნებოდა.  
 ახლა იგი სხვა ველთა ფერებით ისოსნება,  
 კრთება სნება-სევდიან სიზმარეთის შორეთში  
 და იმ წლების ბურუსის ცვილად მესხივოსნება,  
 დაისივით რომ დადნა, დამნთქა ღამის მორევში.  
 ბინდის იდუმალების სიმარტოვევ ლაუვარდის,  
 მოგაქვს წმინდა არარას სიმშვიდე და ზე-შეება.  
 ყოფნა გახდა სიკვილის ფრთებით შენზე ნავარდი,  
 ახლა სიზმარ-ნისლებში ფარფატიტ რომ ეშვება.  
 მუდამ რომ ისევდება წარმავლობის ამარტით\*,  
 იმგვარ უსაშველობით მიქრის, მიემართება,  
 რომ რაც პირველ არსქმნის ცით სუნთქავს კვირტებში  
 მარტის,  
 რაც არ ჭკნება ვარდებში, მზეში არ სამარდება.  
 რაც არაფერს იმოსავს, საწყისს არსთა არსების,  
 რაც დროს წუხილს უქარვებს უოხჯნო\* სიხარულით,  
 რომ რაც სიცარიელით, მიზეზია ადვსების,  
 ჩემში მუდამ სუფევდეს უზევისი\* სიყვარულით.

10.06.2009 წ

## შავი ტოტი

შავო ტოტო, დათოვლილო, რას ჩურჩულებ მდუმარებით?  
 ნაცრისფერმა დღემ ჩაგაცვა სველი სევდა თეთრი ფერფლის.  
 აღარ გახსოვს გაზაფხულის შორეული სიზმარეთი,  
 აღარ გახსოვს სითბო მწვანედ აბრიალებული ცეცხლის.  
 ჩააშტერდი ასფალტს ცივად, მისი ტალახის შავ სახეს,  
 შორიასლოს მიმოდინ ლანდური მოჩვენებები.  
 ყინვა გეფერება უხეშ ხელით, თოვლის ძონძებს გახვევს  
 და ზამთრის ყინულის ჯვარზე მიტოვებული ევნები.  
 ქუჩაში კი დაძრწის ქარი და ყინულის დველფს აღვივებს,  
 ევედრები ზეცას მარად განსასვენებელ სამყოფელს  
 და ჯალათი ქარი გიმსხვრევს დაუნდობლად დამზრად  
 წვივებს,  
 მხოლოდ შეშად თუ ჭირდები ახლა ანგარ, გულგრილ  
 სოფელს.  
 მოგჭრეს, სითბოც ტანჯვად გექცა, ცეცხლი მოგიკიდეს  
 უცებ  
 და სხეულზე გრძნობდი ლორთქო კვირტები როგორ  
 ამოგსკდა.  
 გრძნობდი სიხარულს წყალ-მდინარს, ნეტარებით  
 გულადუესებს  
 და ცის სამადლობელ ღოცვად წამებულს სული ამოგხდა.  
 მაგრამ ჰოი საოცრებავ, თითქოს სიზმრიდან მოხვედი,  
 ქერონამ\* შეიფრთხიალა და ნისკარტი გიკაკუნა –  
 „მაღე მოვა კვირტით მარტი, მაისის წინამორბედი,  
 მაღე მოვა თაიგულით ვარდ-ფურცლობა საუკუნო.“

19.12.2008 წ

## გამოცხადება

მე დავინახე განგების ხელი,  
 როცა მოვიდა სპეტაკი თოვლი.  
 ფიფქის დაუშვა ცამ კრეტსაბმელი,  
 თეთრ ვარსკვლავების მოძრავი ხომლი.  
 ბროლის წყვდიადის დაბერტყა კალთა,  
 გადმოაფრქვია სიწმინდის ჩქერი.  
 მის მოსვლას ხსოვნის ნაღველიც ახლდა  
 გადაქროლილი წლების ნამქერის.  
 ეჰ, ვიცი წახვალ მოსული ხილვად,  
 გაიპარები ველის ნისლივით –  
 გულში ჩამდნარი ფიქრების ყინვა  
 ნანატრ კერაზე ოხვრით სიცივის.  
 ერთ გუნდად შეგკრავ და ჩამადნები,  
 როცა წამართმევ სხეულის სითბოს,  
 ჩემი ოცნება ყინულ-მადნების,  
 სულს ხომ თოვლის თეთრ აღებზე ითბობს.  
 მე ხომ დამზრალ ვარდს აკოკრებულზე  
 უფრო ვეტრფი და ვეთაყვანები,  
 ცეცხლი მინთია გაყინულ გულზე  
 მზე-მონატრებულ თეთრი ყანების.  
 გაუსაძლისი ყინვის მარწუხებს  
 მე სიყვარულის ბეჭდად ვატარებ.  
 არ დავიჩივლებ, რაც კი მაწუხებს  
 არც ქარიშხლიან უეტლო დარებს.  
 დამზრალ ვარდებით მე შენთან ერთად  
 გაყვები ღანქერს მტირალ სითეთრის  
 გაზაფხულისკენ, რომ შემაბერდა

სასოდ სიცოცხლის შორ ერთადერთის.  
რომელ მდინარეს მიმცემ არ ვიცი,  
მარადისობის ზღვაში ჩამავალს,  
სიმაღლიდან ხომ უხილავი ცის  
ნანატრ შეხვედრის ხიდზე გადავალ.

15.12.2008 წ



### ბოლოსიტყვაობა

პირველი ამოტირებით თუკი იწყება ქვეყნად მოვლენილი ყოველი ადამიანის სიცოცხლე, ალბათ სამყაროს შექმნის პირველი წამიდან გაისმა მუსიკა და ის კვლავაც განაგრძობს ჟღერას, რაც ყოველ არსში, ყოველი ადამიანის გულში, გონებასა და სულში თავისებურად აისახება. ყველაფერი, რაც-კი შექმნილა მწერლობაში, პოეზიასა თუ მუსიკაში, იქნებ მისი გამომახილიცაა.

დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი, ვმუშაობდი მსახიობად და ამიტომაც მქონდა კავშირი პოეზიასთან, რაც ბუნებრივად გამოიხატებოდა მხატვრული კითხვის მეშვეობით, ხოლო მუსიკალურმა განათლებამ მაზიარა კლასიკურ მუსიკას.

წინამდებარე კრებული, ჩემი პირველი ცდაა პოეზიის მუსიკაში თვითგამოხატვისა. ამიერ-იმიერი, ადამიანის შეუცნობელი და უსაზღვრო სამყარო, ხილულ-უხილავ – აი ის სფეროები, რაც მადელვებს და მაწვდის წყაროს შემოქმედებითი უნარის გამოვლენისათვის, ხოლო ამის არსი ხომ თავისუფლებაა?..

განმარტებები:

## რვეული I

### გამოცხადება

ქორაკანდელი– ჭადი, ხომლი

ამანტი– უწველი (ცეცხლგამძლე) ხე

თორნიკს– თორნიკე ერისთავი

### არ განიყოფის

ინქითად– უცებ, მყის, მოულოდნელად

ზადენი– წარმართული კერპი

### წარღვნის მოტივით

მერეხი– თავსხმა, კოკისპირული წვიმა

ირისე– ცისარტყელა

### სამაროვანთან

სამაროვანი– სასაფლაო

ამბარჩა– მარწუხი, გაზი

სარდა-სარო– კვიპაროზის მაგვარი ხე

სოხასტერი– მონასტერთან აშენებული სახლი, ბერის დასაყუ-  
დებელი

### თუ გახსენდება

მთხე– ყუთი

ქართული საგალობელი

აღყა-ანაძგერი– სიმ-ანაძგერი

ძნობა– გალობა

ძღისპირი– ძველი ქართული საგალობო ტერმინი

### მაისის მისტერია

ასფოდელოს– სამოთხე

თაჯი– გვირგვინი

მტილი– ბალი, ბაღჩა

საზორავი– შესაწირავი, მსხვერპლშეწირვის ადგილი, საკურ-  
თხეველი

ტაროსი– (ძვ.) ამინდი  
ფიქოსანი– ბერი, ძაძით შემოსილი  
ლეშხი– ფოთლებიდან წვიმის ჩამონაჟონი  
ვანი– სადგომი, სახლი  
ლივანოტი– სურნელოვანი საკმეველი  
ჯავარ-სრული– სრულყოფილად ბრწყინვალე  
კერეონი– დიდი სანთელი

#### აპოკალიპსი

ჯადეგური– ჯადოსნური  
ამბა– მამა  
უმოლხინესი– უმჯობესი, უფრო კარგ მდგომარეობაში მყოფი  
რახსი– შავ-მოწითალო ცხენი, რაში  
“მიწყალე მე, უფალო”  
ათბალი– ათსიმიანი საკრავი  
აღყა– ლითონის სიმი

#### ენკენია

ენკენია– განახლება  
ლიტანია– საყოველთაო ლოცვა ეკლესიის გარშემოვლით.  
სიხარული, შვება  
მარტვილია– სულთმოფენობა  
ადვსება– აღდგომის დღესასწაული

#### ხილვა

ქეში– ირიბი, აღმაცერი, დახრილი  
სამარაგდო– ზურმუხტი  
ლობდანი– ძვირფასი ქსოვილი  
სთველი– შემოდგომა  
მრწემი– მორჩილი, უმცროსი  
ქარაგოზი– ქვის ხავსი  
ბიამანი– უკაცრიელი, უდაბნო ადგილი  
კუნკულა– ბერის თავსაბურავი, ბარტყულა  
უოსჭნო– უსასრულო, დაუბოლოვებელი

**ბაზმა**– ზეთის სანათი, კანდელი

**ძალი**– სიმი

**საფსალმუნე**– სიმებიანი ფსალმუნთ საგალობელი ჩანგი

**სიჩქურე**– ოცნება, ზმანება

#### **გამოსლვათაი**

**მოზე**– უზენაესი არსება (ნ.მარი)

**ფარაო**– ფარაონი

**მისრეთი**– ეგვიპტე, მისრი

#### **პირველი სინანული**

**ზარნიში**– ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახე.

ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული

**კელინი**– ბერის სენაკი, ოთახი მონასტერში

**ოსანა**

**უცადნი**– მიწიერნი

#### **ისხარი ცრემლი**

**არული**– (ძვ.) შეძახილი ჭიაკოკონობის დროს მავნე სულების დასაფრთხობად

**ისხარი**– ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი (საბა)

**შეთება**– გაგიჟება, გახელება

#### **სასოება**

**ამონი**– ძველეგვიპტური მზის ღმერთი

**მითრა**– სიკეთისა და სინათლის ღვთაება ძველ აღმოსავლეთში; მზის ღმერთი

**მოაბელი**– მოგვი, წინასწარმეტყველი

**ზატიკი**– დღესასწაული აღდგომისა, გამოსხნისა, განთავისუფლებისა

## რვეული II

### შორი იაგუნდი

**ლარი**– ძვირფასი ნივთიულობა, განძი, საუნჯე

**სანტა მარია დელ ფიორე** ტაძარი იტალიაში

**ჩოლი**– უკაცრიელი ადგილი, უდაბნო

**ქენება**– ვედრება

**ქაფარი**– ურწმუნო, ურჯულო

### მისტრალი

**მისტრალი**– ჩრდილოეთის ცივი და მშრალი ქარი სამხრეთ საფრანგეთში

**პალეგონი**– (ძვ.) ზღვის სივრცე

### პარნასიდან

**ლედა**– (ბერძ.) ეტოლიის მეფის ქალიშვილი. ლეგენდის თანახმად მისი სილამაზით აღტაცებული ზევსი ვეროტში მობანავე ლედას გედის სახით გამოეცხადა

### წამის ელეგია

**ოცება**– მოხვენება

**დროის ელეგია**

**აპნისი**– (ძვ.) იანვარი

### დემიმონდენი

**დემიმონდენი** – მაღალი საზოგადოებისკენ მსწრაფი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი

**შარტრეზი**– ფრანგული ლიქიორი

### დამლევინეთ

**გაშეთდა**– გაგიჟდა

### ვით გალატვა

**გრასი**– პარფიუმერიის მსოფლიო დედაქალაქად წოდებული ქალაქი საფრანგეთში

**ოლიერი**– სასტუმრო ნიცაში

**მოლინარი**– პარფიუმერიის განთქმული ფირმა საფრანგეთში

**გალატეა**– ერთ-ერთი ნერეიდთაგანი, წყნარი და მოკამკამე ზღვის განსახიერება

**პარნასი**

**დიბა**– ფარჩა ოქრომკედით ნაქსოვი

**ქეჯაო**– ტახტრევანი

**ორთა მადრიგალი**

**ქერეთი**– მღვიმე, ხარო

**მადრიგალი**– პატარა ლირიკული ლექსი, მიძღვნილი ქალი-სადმი (სალონური პოეზია)

**მოგზაური**

**განუცადი**– თვალთ დაუნახავი

**ვიტო დიუმა**– ფრანგი მეზღვაური, რომელმაც შეგნებულად არჩეული ყველაზე რთული მარშრუტით გარს შემოუარა დედამიწას გემით

**წყალ-ჯავარი**– ძვირფასი ქვა, თვალი პატიოსანი

**მარინი**– ომის ღმერთი-მარსი

**ვია დოლოროსა**– გოლგოთასკენ მიმავალი გზა იერუსალიმში

**მწუხარე ფატუმი**

**ეწერი**– უნაყოფო მიწა

**სპირიტუელსი** – ზანგური, ამერიკული სასულიერო ჰიმნი

**ჯალდა**– ქარვა

**სავაჭრო ცენტრი**– 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლი მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ნიუ-იორკში.

**სასწაული**

**ღვერფლი**– ფერფლი, ნაცარი

**აბაღონი**– ბიბლიური წარმოშობის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს არსებობის შეწყვეტას, სიცოცხლის გაქრობას – ჯოჯოხეთი, ქვესკვნელი.

**სამურავი**– აკლდამა, სამარხი

**ტოტი**– ძველევგვიპტური სიბრძნის ღმერთი

**მბივთი**– კუპრი

**მორტალეს**– ხრწნადი, სასიკვდილო

**მოლოხი**– ომის ფინიკიური ღმერთი, რომელსაც მსხვერპლად ადამიანებს წირავდნენ

**ოხრა**– ხმა, ხმაურობა

### **გლობუსში**

**ვარსკვლავის არკა**– ტრიუმფალური თაღი პარიზში

**არიმანი**– ძველ სპარსულ რელიგიაში ბოროტების ღვთაება

**მოირა**– (ბერძნ.) ბედისწერის ღვთაება

**იგი მზეც**– იგულისხმება იულიუს კეისარი, რომელიც შეთქმულებმა მარტის თვეში გამოასალმეს სიცოცხლეს

**ასსიახი**– სამყაროს I უდაბლესი შრის აღმნიშვნელი კაბალისტური ტერმინი

**აცილუტი**– სამყაროს IV უმაღლესი შრის აღმნიშვნელი კაბალისტური ტერმინი

**ლუქსორი**– სასტუმრო ლას-ვეგასში

### **ლტრა**

**ულტრა**– იქითა მხარეს

**სანქრევა**– ძვ. ქარიშხალი

### **ემპირეა**

**ევთია**– ლანდი, მოჩვენება

**ემპირეა**– ცეცხლით მოცული

**მქნარი**– ჩქარა მომდინარე

### **გაელვება**

**მინერვა**– გონებისა და შემოქმედებითი უნარის იტალიური ღვთაება

### **შექმნა**

**გლისანდო**– თითის სრიალით გატარება ფორტეპიანოს კლავიატურაზე ან ვიოლინოს სიმებზე

### **ზამთრის პირას**

**ლუტი**– უსახლკარო, უქონელი



## ქარის მეგობარი

უზამბარი– (ძვ.) ლომი

მამზებელი– მზის მომფენი

ამბოკარი– უმამულო, უსახლკარო

სტაფრა– ფარჩა, ოქრომკედით ნაქსოვი

მუშე-ამბრი– სურნელოვანი საკმეველი ნივთიერება

სალოსი– რისთვისმე ან ვისთვისმე (მაგ. ქრისტესათვის) თავის მომგიჟიანებელი

## ემპირეა

ემპირეა– ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სუფთა ცეცხლითა და სინათლით მოცული

ირმის ნახტომი– ჩვენი გალაქტიკის სახელწოდება

მეყი– (ძვ.) წამი

## ვოლო

ვოლო გაფრენა

მირკანი– მარტი

ფატა-მორგანა– მირაჟის ნაირსახეობა

მოაბელი– მოგვი, წინასწარმეტყველი

## ექსპრომტი

ღვარ-ნაფშეენი– ღვართქაფი, წყლის დიდი ღვარი

მელპომენე– ტრაგედიის მუზა

\* *ეუმზერ, ვაფასებ გარედან მასდა...*

ბოძალი– ორპირი, ორწვერა ისარი

## ხიდი

ლირწი– ურცხვი, ავხორცი

### რვეული III

#### წინარე ორგიაზმი

მთხრებლი– ორმო

ლეგა– ნაცრისფერი

ვუდსტოკი – ლეგენდარული როკ მუსიკის ფესტივალის ჩატარების ადგილი, დაბა ა.შ.შ-ში

#### ერთი

უყე– ტალახი, მწვირე

#### მე და მარტოობა

ლეგეონი– უამრავი, ურიცხვი

#### Vია

Vია– გზით, გავლით

ეტიკი– მეგზური, გზის გამკვლევი

#### სიხუმე

მემარგე– წინასწარმეტყველი, მოგვი

#### სიკვდილის ქორალი

პა-დე-დე – ბალეტში: წყვილის ცეკვა

ტრელი– (მუს.) მოცემული ნოტის ჩქარი და მრავალგზისი შენაცვლება მის მეზობელ საფეხურზე მდგომ ნოტთან. რაკრაკი, კრიმანჭული

#### პირამიდა

სერაპისი– ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღმერთი

იზიდა– ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოზირისის და და ცოლი

ოზირისი – მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ღვთაება ძველ ეგვიპტეში

#### ოქროს საწმისი

პონტოსი– შავი ზღვა

ხვანჯი– ხრიკი

**მანქანება**– ფარული ხერხი, ეშმაკობა, ცბიერება

**ჭვირი**– სხივი

**მითი**

**არესის ჭალა**– ჭალა აიაში, სადაც ხეზე ეკიდა ოქროს საწმისი  
**ორფეოსის ლირა**

**ჰადესი**– მიცვალებულთა სულების მბრძანებელი მიწისქვე-  
შეთში

მიცვალებულთა სულების სამყოფელი, მიწისქვეშეთი

**ლეთე**– დავიწყების მდინარე ჰადესში

**პოეზიის მისტერია**

**ელეგსინი**– ადგილი, სადაც იმართებოდა დღესასწაულები,  
მისტერიები ძვ. საბერძნეთში

**ტოტი**– ძველევგვიპტური სიბრძნის ღმერთი

**ტრისმეგისტო**– იგივე ჰერმესი, სამჯერ დიადი

**ფიქრს**

**მიწრიელი**– ეშმაკი, ავი სული

**სუნთქვა**

**ორმაგი ფლეიტა**– ლირიკული პოეზიის მუზის ვეტერპეს  
ატრიბუტი

**გამოსხნა**

**ბელიალი**– ეშმაკი, სატანა

**ჯარბი**– გველი

**ლურჯ ბადისკენ**

**საგრილი**– ჩრდილი, ჩერო

**მეანდრი**– ორნამენტის გავრცელებული სახეობა, ხვეული ან  
ტეხილი ხაზი

## რვეული IV

### ბასიანით

უხამური– ფესშიშველი

### მულღაზარი

მულღაზარი– წალკოტი

### დავითი

მუსაფი– ყურანი

მკრჩხალი– ბასრი

ჭანგი– ბრჭყალი

### ხარება

ფილაკვანი– პელიკანი, ვარხვი (ფრინვე)

### ქაფ-ციხის ხმა

ხუსტი– უინი

სანქრევა– ქარიშხალი

### ბიჭვინთა

ბეჟმელი– მწვანე ფერის ძვირფასი თვალი.

შიშ-ჰაერ– ბროლივით გამჭვირვალე და ჰაეროვანი.

მწყერ-მარხილი– ზღვის ფრინველი, რომელიც ცხოვრობს არაბეთის ზღვის სანაპიროზე

ამზვარებს– ამზიანებს

პინუს-პიტუს – ბიჭვინთის ძველი ბერძნული სახელწოდება, რაც ნიშნავს ფიჭვს

### სისხლიანი ლილიტი

ლილიტი– ეშმაკი, ავი სული

ქონდაქარი– ჯალათი

ქანდირ-ბაზი– ჯამბაზი, მუშაითი

### საჭადრაკო პარტია

შარუხი– ეტლი

ბაზი– ქორი, შევარდენი

## უკვდავება

გონიო– სადურგლო, სამშენებლო,საზომი კუთხოვანი ხელ-  
საწყო

## მე და შენ

სთველი– (ძვ.) შემოდგომა

ხვიფლი– ხავსი

მურავაყიანი – დაწმენდილი ღვინო

ქარცი– ქერა

ქიტესა– ღვინის და ვაზის ქართული, წარმართული ღვთაება

## მატიანეს ხმა

არჯალი– ანხლი, ურცხვი

შაბარდუხი– ქორი

იატაგანი– აღმოსავლური მოღუნული ხმალი

ბედუინი– მომთაბარე არაბი

## ვადღეგრძელოთ

შიქასტა– ყარაბაღში შექმნილი აზერბაიჯანული ჰანგი

ძალი– სიმი

მურასი– შემკულ-მოკაზმული, მოოჭვილი

## ტყეს

ზეანდანი– საროსტანიანი, ტანკენარი

ჩირთი– ახალი, ნედლი ფოთლები

რტომობლარდული– რტომოხვეული, რტოშემოსილი

## ივერისთვის

კიმილია– საუნჯე, საგანძური

ელი– ღმერთო ჩემო.

## არ ამოდ

კერეონი– დიდი სანთელი

## რვეული V

### ამერიკული ფორტუნა

ნიკე – გამარჯვების ბერძნული ქალღმერთი

### ბომონდი

ქლამინდი – პორფირი, ძოწეული, წითელი ფერის სამეფო ტანსაცმელი

წირი – ლანდი

სინორი – ზღვარი, მიჯნა

სნატი – ძვირფასი საფენი

### ლევიათანი

ფაინდერი – სიახლის დამწერგავი, ახალი საქონლის გამომგონებელი

### ქალი

შეიდი – შეყვარებული, ხელი

მთქნარი – ჩამქრალი, გამქრალი, დაბნელებული

### ბაჰომეტის თვალი

ბაჰომეტი – არაბული წარმოშობის ღვთაება (დემონი)

ენკომი – შესხმა, ქება, ხოტბა

შეთი – გიჟი, ხელი

მუაბა – ტახტრევანი, საწოლი

ლირწება – ავხორცობა

ბოძალი – ორწვერა ისარი

### თავუღწევარი

ყანდი – თეთრი, მაღალი ხარისხის შაქარი (შაქარყინული)

ჯადეგი – ჯადოსანი, გრძნეული

ბელფეგორი – ეშმაკი, სატანა

### დერვიშული ბოჭემა

დერვიში – (სპ.) მოხეტიალე მუსლიმანი ბერი, მწირი

მუშთარი – პლანეტა იუპიტერი

მსხემი – მწირი, უბინაო, უცხო

## **აშუღის აღსარება**

**შამი**– სანთელი

**ყომრალი**– ნაცრისფერი

**ჟღუღი**– ყვავი

**საპატიჟო**– სატანჯველი, სასჯელი

**ქამანჩა**– ჭიანური

**მუნასიბი**– კაფია, ექსპრომტად შეთხზული ლექსი

## **რამე მითხარი**

**პარკერი**– გენიალური ამერიკელი საქსოფონისტი ჩარლი

პარკერი

## **ძამიკოური სასიმღერო**

**მადერა**– ერთგვარი მაგარი ღვინო (პორტუგალიის კუნძულ

მადეირას მიხედვით)

**რინდო**– მთვრალი

**დოსტი**– მეგობარი

## **სექსუალური ფანტომი**

**ერატო**– სასიყვარულო პოეზიის მუზა

## **საახალწლო შოუ**

**ქერ-ბაზი**– თამაშში უპატიოსნო, ყალბი

**თემა**-იმპროვიზაცია

**ბი-ბოპი**– ერთერთი მიმართულება ჯაზში

**სვინგი**– რხევა, რყევა, ლივლივი (მიმართულება ჯაზში)

**ჰამონდი** – ჰამონდის ორლანი

## **ცათამბჯენი**

**ვიეთი**– ძვ. ზოგიერთი, ზოგი

**ხადილი**– მოწოდება, დაძახება

## **უოხჭნო**

**უოხჭნო**– უსასრულო, დაუბოლოვებელი, სამარადისო

**უზევსი**– უზენაესი

**ამარტა**– ეშმი, ქარვა

## **შავი ტოტი**

**ქერონა**– ბელურის მაგვარი ჩიტი ლეგა ფერის

## სარჩევი

### რეჟული I

ნათლისღება (საგალობელი) .....	5
გამოცხადება (ზღვის ქალწული).....	6
არ განიყოფის .....	7
წარღვნის მოტივით .....	8
სამაროვანთან .....	9
თუ გასსენდება?! .....	10
ქართული საგალობელი .....	11
მაისის მისტერია .....	13
აპოკალიფსი .....	15
I.....	15
II.....	15
ხილვა.....	16
„მიწყალე მე, უფალო“ .....	18
ენკენია .....	19
ორი ნება.....	20
გამოსვლათაი .....	21
პირველი სინანული .....	22
ოსანა .....	23
ხელისუფალთ .....	24
ისხარის ცრემლი .....	25
დაბრუნების ელეგია .....	26
უხილავი ჭიდილი .....	27
სასოება.....	28
ჭეშმარიტება .....	29



## რეეული II

შორი იაგუნდი.....	33
მისტრალი*.....	35
ღამე .....	36
პარნასიდან .....	36
წამის ელეგია .....	38
დროის ელეგია .....	39
დემიმონდენი* .....	40
დამალეკინეთ! .....	41
სხვა სიზმრებს .....	42
ვით გალატეა .....	42
პარნასი .....	43
საფო .....	44
ორთა მადრიგალი .....	45
მოგზაური .....	46
მწუხარე ფატუმი .....	48
სიკვილის სიცოცხლე .....	49
სასწაული .....	50
გლობუსში .....	51
ულტრა* .....	54
ემპირეა .....	55
ემმაკის და ნარკომანის გასაუბრება .....	56
გლორია .....	56
გაელვება.....	57
შექმნა .....	58
მუსიკა.....	58
ზამთრის პირას .....	60
ქარის მეგობარი .....	61
დამწვარი გვარნერი .....	62
ემპირეა* .....	64
ვოლო* .....	67

ექსპრომტი .....	69
* ვუმზერ, ვაფასებ გარედან მას და .....	70
აღსრულდა, ახდა .....	71
ხიდი .....	72
წარსულის შეგონება.....	73

### რეგული III

წინარე ორგიაზმი* .....	77
ერთი .....	79
მესამე .....	81
მე და მარტოობა .....	82
მე და ნიღაბი.....	84
ისევ თუ ელი .....	85
Vია* .....	86
წარსულის მონოლოგი .....	88
სიხუმე .....	89
სიკვდილის ქორალი .....	90
პირამიდა.....	91
ოქროს საწმისი.....	92
მითი .....	93
ორფეოსის ღირა .....	94
აფროდიტე .....	95
პოეზიის მისტერია .....	95
ესთეტი ანტიქრისტე .....	96
ჰალიკარნასის სიყვარული .....	98
სუნთქვა .....	100
უსივრცოს სონეტი .....	101
მხატვარი და აგნესა .....	102
გამოხსნა .....	104
ღურჯ ბადისკენ .....	105

## რეგული IV

ბასიანით .....	109
მუღლაზარი* .....	110
დავითი .....	111
ხარება.....	112
ქაე-ციხის ხმა .....	112
ბიჭვინთა .....	113
სისხლიანი ლილიტი* .....	114
საჭადრაკო პარტია .....	115
უკვდავება .....	116
მე და შენ .....	117
მატიანეს ხმა .....	119
ვადღეგრძელოთ .....	120
ტყეს .....	124
ივერიისთვის .....	125
არ ამოდ .....	127
გაბრწყინდება.....	130

## რეგული V

ამერიკული ფორტუნა .....	132
I.....	132
II.....	133
III.....	135
სექსუალური აქტი .....	136
ბომონდი .....	138
ლევიათანი .....	139
ფერარი და სიცარიელე .....	141
ქალი .....	142
თითქოს.....	144

ბაჰომეტის თვალი .....	145
თავ-უღწევარი .....	146
დერვიშული ბოჰემა .....	148
აშულის აღსარება .....	150
სალამი თბილისს .....	151
რამე მითხარი.....	152
ყინულის ჭიქით .....	152
ძამიკური (სასიმღერო) .....	153
სექსუალური ფანტომი .....	154
საახალწლო შოუ .....	156
თემა*-იმპროვიზაცია .....	157
ცათამბჯენი .....	160
უოხჭნო .....	162
შავი ტოტი .....	163
გამოცხადება .....	164
ბოლოსიტყვაობა .....	166
განმარტებები: .....	167